

1239
2009



საქართველოს იულოთეკა

2009

ქართული ნაბეჭდი წიგნის
საიუბილეო წელი

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი - 1629

პირველი სტამბა საქართველოში - 1709

ISSN 1512-0880

№1 (34) 2009


საქართველოს



ბიბლიოთეკა




რედაქციის მისამართი:
 თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ.7
 საქართველოს პარლამენტის
 ეროვნული ბიბლიოთეკა
 ტელ.: 36-09-51



ქურნალის რედაქცია:
 ადექსანდრე ღორია
 - მთავარი რედაქტორი
 გურამ თაყნიაშვილი
 - მთავარი რედაქტორის
 მოადგიდე, პასუხისმგებელი მდივანი
 გუნდარა სცურუა
 - სამეცნიერო-მეთოდური და
 კორექტორ-მეთოდური მუშაობის
 რედაქტორ-კორდინატორი



ინფორმაციის „ალი“
 დამფუძნებლები: საქართველოს
 პარლამენტის იდია ქავჭავაძის
 სახელობის ეროვნული
 ბიბლიოთეკა; საქართველოს
 საბიბლიოთეკო ასოციაცია.





საქართველოს ბიბლიოთეკა № 1 (34) - 09
შინაარსი

წიგნი - ბიბლიოთეკა - მკითხველი	4
წიგნის ისტორია	
ლალი ყაულაშვილი - პირველი ქართული სტამბა თბილისში	6
გიორგი სარაჯიშვილი - 1888 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“	9
მაია მიქაბერიძე - რეპრესირებული ლიტერატურა	14
ქართული მწერლობა	
იური სიხარულიძე - სვიმონ ეფვრატელი	20
ტერმინოლოგიური ძიებანი	
ბადრი ცხადაძე - წიგნმცოდნეობით - პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში	21
ბიბლიოთეკების ისტორია	
მანონი ხორავა - დედაქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა -100	22
საბიბლიოთეკო მეთოდოლოგია	
ნანა ქავთარაძე - რჩევა, როგორ შევინარჩუნოთ მკითხველი	26
ნატო მჭედლიშვილი-საბიბლიოთეკო მომსახურება თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში	28
ნელი ხიტალიშვილი - ბიბლიოთეკარი - მკითხველის ნდობით აღჭურვილი პიროვნება	32
კორექსონდენციები	
ინგა გოგიბერიძე - საზღაპრეთში	33
სიდონია გონჯილაშვილი - პოეზიის საღამო - „ლექსო, არ დაიკარგები“	34
სასკოლო ბიბლიოთეკების ბედი ალელვებთ	37
რეცენზიები	
გურამ თაყნიაშვილი - დაზრდილან, კიდევაც დაიზრდებიან	38
ლაურა ასლამაზიშვილი - მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ფასი	40
ინგა ფილაური - ერთი მნიშვნელოვანი წიგნის ირგვლივ	41
მაგდა მჭედლიძე - მნიშვნელოვანი გამოკვლევა და ფასდაუდებელი წყარო	42
ინფორმაციები	
აბლუმუგის სამაროვანი	44
ფრიდონ სიხარულიძე - ფასდაუდებელი წყარო	45
მოგონებები	
ოთარ ოსაძე - როცა მომავალი იკვეთება	46
ჩვენი შემოქმედება	
გურამ თაყნიაშვილი - სიტყვაში გაცხადებული სიმართლე	49
ლია გურეშიძე - ლექსები	51
ზუმრუდ გოდერძიშვილი - ლექსები	52
ცირა გამყრელიძე - ლექსები	53
ცავლინა გოგუაძე - ლექსები	54
ჩვენი ენა ქართული	
მიხეილ რეხვიაშვილი - რით სჯობია?	55
ჩვენი გამოფენა	
გენადი მახარაძე - წიგნიერების გავრცელების უპირველესი საშუალება თავად წიგნია	57
ჩვენი მილოცვა	59
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	59
საცნობოდ საკითხავი	
ბ. ობამა ბიბლიოთეკების დახურვის წინააღმდეგ	59
ნეკროლოგი	
პოეტი-ბიბლიოთეკარის გზის დასასრული	60

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №1 (34) -09

Содержание

Книга - Библиотека – читатель	4
История книги	
Лали Каулашвили – Первая грузинская типография в Тбилиси	6
Георгий Сараджишвили – "Витязь в тигровой шкуре" 1888 года издания	9
Майя Микаберидзе – Репрессированная литература	14
Грузинская письменность	
Юрий Сихарулидзе – Семен Евфратский	20
Терминологические изыскания	
Бадри Цхададзе – Книговедческо-палеографические термины в грузинском	21
История библиотек	
Манони Хорава – Главная библиотека столицы – 100	22
Библиотечная методология	
Нана Кавтарадзе –Советы, как сохранить читателя	26
Нато Мchedlishvili – Библиотечное обслуживание в условиях современных технологий	28
Нелли Хиталишвили – Библиотекарь – доверенное лицо читателя	32
Корреспонденция	
Инга Гогиберидзе – В царстве сказок	33
Сидония Гонджилашвили – Вечер поэзии "Стих, не потеряйся"	34
Их волнует судьба школьных библиотек	37
Рецензии	
Гурам Такниашвили – Росли, и будут расти	38
Лаура Асламазишвили – Цена краеведческой работы	40
Инга Пилаури – Вокруг одной значительной книги	41
Магда Мчедлидзе – Значительное издание	42
Информация	
Усипальница Абулмуга	44
Фридон Сихарулидзе – Бесценный источник	45
Воспоминания	
Отар Осадзе – Когда прорисовывается будущее	46
Наше творчество	
Гурам Такниашвили – Правда высказанная в слове	49
Лия Гурешидзе – Стихи	51
Зумруд Годердзишвили – Стихи	52
Цира Гамкрелидзе – Стихи	53
Цавлина Гогуадзе – Стихи	54
Язык наш грузинский	
Михаил Рехвиашвили – Чем лучше?	55
Наша выставка	
Генадий Махарадзе – Средство распространения книг – сама книга	57
Наши поздравления	59
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	59
Чтение для любознательных	
Б. Обама против закрытия библиотек	59
Некролог	
Конец пути поэтессы-библиотекаря	60

Georgian Library, 1 (34) - 09

Table of content

Contents

Book – Library – Reader	4
Book History	
Lali Kaulashvili – The First Georgian Printing House in Tbilisi.....	6
Giorgi Sarajishvili – The 1888 Edition of <i>the Knight in the Panther's Skin</i>	9
Maia Miqaberidze – Repressed Literature.....	14
Georgian Belles-Lettres	
Iuri Sikharulidze – Svimon Evfrateli.....	20
Terminological Exploration	
Badri Tskhadadze – The Paleographic Book Study Terms in Georgian.....	21
History of Libraries	
Manoni Khorava – The Main City Library's 100 Year Celebration.....	22
Library Methodology	
Nana Qavtaradze – 50 Tips: How to Retain Readers.....	26
Nato Mchedlishvili – Library Services Under Modern Technology.....	28
Neli Khitalishvili – Librarian: Person Trusted by the Reader.....	32
Correspondence	
Inga Gogiberidze – In the Fairyland.....	33
Sidonia Gonjilashvili – A Poetry Evening <i>Oh Poem, Don't Get Lost</i>	34
Concerns about the Fate of Libraries.....	37
Review	
Guram Takniashvili – They've Grown Up, and Will Still Do.....	38
Laura Aslamazishvili – Value of a Local History Specialist's Work.....	40
Inga Pilauri – On One Important Book.....	41
Magda Mchedlidze – An Important Contribution Appreciated.....	42
Information	
Burial Site of Abulmugi.....	44
Friedon Sikharulidze - Important book	45
Recollections	
Otar Osadze – When the Future Is Shaping Up.....	46
Some of Our Works	
Guram Takniashvili – Truth Revealed in Words.....	49
Lia Gureshidze – Poems.....	51
Zumrud Goderdzishvili – Poems.....	53
Tsira Gamkrelidze – Poems.....	53
Tsavlina Gogvadze - Poems	54
Georgian – the Mother Tongue of Ours	
Mikheil Rekhviashvili – “Rit” Is More Preferable.....	55
Our Exhibition	
Genadi makharadze - Spraiding a Book depends on the book	57
The Chronicle of the Georgian Library Life: Events, Facts.....	57
Some interesting Facts	
B. Obama - Against Closing Libraries.....	59
Obituary	
Poet and Librarian: the End of the Life Path.....	60

წიგნი - ბიბლიოთეკა - მკითხველი

როდესაც წიგნზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ყველაფერს, რაც თანამედროვე პოლიგრაფიის ნაწარმს წარმოადგენს – ტრადიციულად გავრცელებული კოდექსური წიგნი, ბროშურა, ბუკლეტი, ჟურნალი, გაზეთი, კალენდრები და სხვა სახის გამოცემა, რომლებიც საინფორმაციო-შემეცნებით თუ სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებთანაა ძირითადად დაკავშირებული, სულ ერთია - რა ასაკისთვისაც არ უნდა იყოს ის გათვალისწინებული. ამ უზარმაზარ მასაში, ცხადია, პრიორიტეტი, ჩვეულებრივ, ე. წ. "საკითხავ წიგნს" ეკუთვნის, რომლითაც ადამიანები თავიანთ სულიერ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ ესთეტიკური, ან რაიმე პრაგმატული თვალსაზრისით. ამ ნიშნით წიგნი, როგორც ასეთი, შეუცვლელია და ძნელი წარმოსადგენია, რამემ შეცვალოს ის, როგორი ტექნიკური პროგრესიც არ უნდა განვითარდეს. შეიძლება შეიცვალოს წიგნის გარგეგნული სახე - ფორმა, ფორმატი, მასალა, მოცულობა, მაგრამ მისი დანიშნულება, არსი და შესაძლებლობები უცვლელია.

ხშირად "წინასწარმეტყველებენ" წიგნის "კვდომას", რაკილა ელექტრონული კითხვის საშუალებები გაჩნდა; ყოველ შემთხვევაში, მისი მნიშვნელობის დაქვეითებას მაინც ვარაუდობენ.

არ უნდა ავუროთ ერთმანეთში მნიშვნელობის, ამოცანების, დანიშნულების გაგება მოთხოვნილების შემცირების გაგებაში. წიგნზე, როგორც პოლიგრაფიულ საგანზე, მოთხოვნილების შემცირება სრულებითაც არ ნიშნავს წიგნის მნიშვნელობისა და დანიშნულების, მისი შესაძლებლობებისა და ზემოქმედების რაიმეგვარ ცვლილებას.

ერთი რამეცაა მხედველობაში მისაღები: როდესაც კომპიუტერსა და წიგნს უპირისპირებენ ერთმანეთს, ზოგი სპეციალისტი არ ითვალისწინებს იმას, რომ კომპიუტერი,

ერთგვარად, იგივე წიგნია, რომელთანაც გონებრივ ურთიერთობას ადამიანი კითხვის მეშვეობით ამყარებს. ის, რომ შეიქმნას ელექტრონული წიგნები და ადამიანმა კომპიუტერში იკითხოს, სრულებითაც არ ამცირებს წიგნის როლს, თუმცა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით - აღქმა, შემეცნება, ემოცია, ესთეტიკური გრძნობების გამოვლენა, მასალის ათვისება და წვდომა, დამახსოვრება და სხვა მოვლენები, შეიძლება სავსებით განსხვავებული იყოს.

ამგვარად, ახლა იმაზე ლაპარაკი, რომ თანამედროვე ადამიანმა აიღო ხელი კითხვაზე საერთოდ, ჭეშმარიტებასთან შორსაა. თუ კომპიუტერს კითხვის საშუალებად მივიჩნევთ, ცხადია, არ ითქმის, რომ დღეს საზოგადოებაში კითხვის მოთხოვნილება უკიდურესად დაბალია, მაგრამ საქმე იმაშია, გავარკვიოთ, თუ რას კითხულობს მკითხველი, რამდენად აქტიურად იყენებს ის კომპიუტერს შემეცნებით - ინფორმაციული თვალსაზრისით გართობა-თამაშთან შედარებით. უბრალო დაკვირვებითაც ნათლად ჩანს, რომ კომპიუტერის გამოყენება გართობა-თამაშის მიზნით გაცილებით უფრო მაღალ პროცენტს შეადგენს, ვიდრე შემეცნებით-ინფორმაციული მოთხოვნილებით კითხვა. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ის, რომ ჩვენი მკითხველების უდიდესი ნაწილი - ბავშვები (მოზარდები) და ახალგაზრდობა კომპიუტერს სწორედ გართობის მიზნით იყენებს. ცხადია, არაა გამორიცხული, კომპიუტერით სარგებლობა ხდებოდეს ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების, რაიმეს გარკვევის, შემეცნების, ინფორმაციის მიღების მიზნითაც, მაგრამ სადავო არაა, რომ სწორედ ამ კატეგორიის მკითხველები ეტანებიან უმეტესად კომპიუტერს გართობა-თამაშის მიზნით. ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ ამგვარი მიზნით კომპიუტერს მოზრდილი მკითხველებიც მიმართავენ.

ასეთ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლექტოლოგიურ კვლევას, რომლის შედეგების განზოგადება განსაკუთრებით საყურადღებოა ბიბლიოთეკებისათვის. ამ საკითხებზე ჩვენს ჟურნალსა და სამეცნიერო კრებულებში არაერთი მასალა დაბეჭდილია და, ამდენად, ამაზე არ გავამახვილებთ ყურადღებას. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ვიმსჯელოთ იმაზე, როგორ უნდა იმოქმედოს მოცემულ შემთხვევაში ჩვენმა ბიბლიოთეკებმა. საფიქრალია, რა უნდა გააკეთოს ბიბლიოთეკამ, თავი რომ გაართვას მოზღვავებული ელექტრონული რესურსების მართვას.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კომპიუტერული ტექნიკის დამკვიდრება ბიბლიოთეკებში. ვერ ვიტყვით, ეს დიდი ინტენსიურობით ხდებოდეს ჩვენში, მაგრამ ეს საქმე დღეს უკვე შეუქცევადია და კომპიუტერებით ბიბლიოთეკების აღჭურვა დაწყებულია. საჭიროა ოღონდ მათ მაქსიმალურ გამოყენებაზე ზრუნვა. ამისთვის კი აუცილებელია შესაბამისი კადრები, რომელთა მომზადება და სპეციალიზაცია გადაუდებელი საქმეა. ამაზე ყოველი ბიბლიოთეკა უნდა ფიქრობდეს და პრაქტიკულად ახორციელებდეს ამასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

ბიბლიოთეკაში საქმე იმგვარად უნდა იყოს დაყენებული, რომ ის კომპიუტერების უპირველესი დანიშნულების - ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით გამოყენებას უზრუნველყოფდეს. ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით მათ სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებასაც - თუნდაც გართობა-დასვენებას შეეხებოდეს ეს, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, იმგვარი მასალა შევთავაზოთ მკითხველებს ჩვენი რესურსებიდან, რაც მათ გონივრულ მოთხოვნილებებთან იქნება დაახლოებული.

ყოველივე ამისათვის საჭიროა ბიბლიოთეკის მომხმარებელთა გადამჭრელი უმრავლესობა ფლობდეს საამისოდ სავალდებულო ტექნიკურ ცოდნას, დამოუკიდებლად შეეძლოს კომპიუტერით სარგებლობა, კარგად ერკვეოდეს, თუ რისი მიღება შეუძლია მას ამ "გონივრული მანქანისაგან".

ამისათვის კი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკის პირობებში მკითხველებისათვის ორგანიზებული ხელშეწყობა სავალდებულო ცოდნის დაუფლებისათვის. ეს ამჟამად ყველაზე საშური საქმეა, რაც გა-

სათვალისწინებელია ყოველი ბიბლიოთეკისათვის. როცა მკითხველი სისტემატურად ეძიებს საჭირო მასალას, მუშაობის პროცესში უამრავ ინფორმაციას ღებულობს, ხშირად პარალელურად ახალი ინტერესები უჩნდება, ცდილობს მის დაკმაყოფილებას, რაღაცას არკვევს, უფიქრდება, ეძიებს... ყოველივე ეს ზრდის და აფართოებს, აღრმავებს ადამიანის ცოდნას და ამით აღძრავს მასში შემეცნებით იმპულსებს. ინფორმაციის მიღების მოტივით კომპიუტერის გამოყენება უპირველესი საშუალებაა იმისათვის, რომ მომხმარებელი გარკვეული დროის განმავლობაში კომპიუტერის შემეცნებითი ღირებულებით გამოყენებაზე გადაერთოს.

არ შეიძლება საჯარო (მასობრივ) ბიბლიოთეკებში სრულიად აღიკვეთოს კომპიუტერის გამოყენება გართობა-თამაშისა და დასვენების მიზნით. პირიქით - ამას კიდევ ითვალისწინებენ ზოგან, ოღონდ ამ დროს საჭიროა ერთგვარი თვალყურის მიდევნება, დახმარება, ჩვენი შესატყვისი რესურსების გამოყენება, რჩევა-რეკომენდაციები, რომ, რამდენადაც შეიძლება, ეს პროცესი დახვეწილად, გემოვნებით, მაღალესთეტიკურად და ეთიკურად ხორციელდებოდეს. ამგვარი მოქმედება ხელს შეუწყობს ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვას, მათ სურვილს - დაუახლოვდნენ ბიბლიოთეკის მუშაკებს, მეტი დრო ატარონ აქ, სადაც მეტად ხელსაყრელი ნივინიერი გარემოა. კითხვის მართვა, თანამედროვე გაგებით, სწორედ ამაში ჰპოვებს გამოვლენას.

კომპიუტერს თავისი განვითარების გზაკვალი აქვს, წიგნს - თავისი. უერთმანეთოთ ისინი ვერ იარსებებენ, მხოლოდ მათი კოლორაციის შედეგად მოხერხდება წიგნიერი საზოგადოების შექმნა, რომელიმე ერთი მათგანის გარეშე საზოგადოება ვერ განვითარდება სრულყოფილად. ბიბლიოთეკის მოვალეობაა, თანაბრად იზრუნოს როგორც წიგნის, ისე კომპიუტერის დანერგვისათვის. ამისთვის უნდა იღვწოდეს ოჯახი, სკოლა, ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება ბიბლიოთეკის წინამძღოლობით. ამ საქმეში ბიბლიოთეკის როლი პრიორიტეტულია.

ყველა ბიბლიოთეკა, რა ტიპის, პროფილის თუ უწყების არ უნდა იყოს, მკითხველებთან ურთიერთობისას ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს. ამაზე დიდადაა დამოკიდე-



ბული მკითხველი სზაოგადოების ორიენტაცია, ის, თუ რა მიმართულებით განვითარდება ქვეყანა, რა დონეს მიაღწევს და როგორ დაიმკვიდრებს თავს მარადცვალებად მსოფლიოში.

ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს დღეს ბიბლიოთეკას ჩვენს ცხოვრებაში, რაოდენ რთული ამოცანების წინაშე ვდგავართ, რა მიმართულებით უნდა ვიღვაწოთ, რომ არ დავკარგოთ წიგნისადმი ლტოლვა და მიდრეკილება. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, საზოგადოება წიგნს დავუკავშიროთ. ამისთვის საჭიროა კარგად ვფლობდეთ შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს. დღეს, როგორც არასდროს, აუცილებელია წიგნიერე-

ბის დახვეწისათვის ზრუნვა, მკითხველი საზოგადოების გონივრულად მართვა კითხვის მოთხოვნილების დაკმაყოფილების სრულყოფილი ორგანიზაციისათვის. ამ მიმართულებით მრავალი მეთოდიკური პრინციპი და რეკომენდაციაა შემუშავებული, ბევრი სიახლეა დანერგილი, რომელთა შესწავლა და გათვალისწინება ყველა ბიბლიოთეკისთვისაა სავალდებულო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, წიგნის გავრცელებისა და პოპულარიზაციის გააქტიურებას, რაც ჩვენი ბიბლიოთეკებისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს.

წიგნის ისტორია

დ. ყაულაშვილი

პირველი ქართული სტამბა თბილისში

თბილისში ქართული სტამბის გახსნა დაკავშირებულია ვახტანგ მეექვსის სახელთან. იგი იყო გამოჩენილი პოლიტიკოსი, დიპლომატი, მეცნიერი და პოეტი. მან კარგად იცოდა სახელმწიფო და სამხედრო საქმე. კულტურისა და მეცნიერების დიდი მეცენატი საოცარი გულმოდგინებით აგრძელებდა ბიძის - მეფე გიორგი მეთერთმეტისა და მამის - ლევანის მიერ დანერგილ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებებს. ის იყო ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იმ საგანგებო კომისიისა, რომელიც მან შექმნა ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით "ახალი ქართლის ცხოვრების" დასაწერად.

ქართული სტამბის ისტორია ვახტანგ მეექვსიდან იწყება,

თუმცა ამ საქმიანობას ბევრად ადრე ჰყავდა დაინტერესებული პირები ქართველთა შორის. სტამბის გახსნის იდეა თაობიდან თაობაში გადადიოდა, ღრმავდებოდა, ივსებოდა, მნიფდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა. ამ იდეის განხორციელებისათვის საქართველოში კულტურული პირობები სავსებით მომნიფებული იყო, რადგან უკვე არსებობდა გამოცდილება ქართული წიგნის გამოცემისა საზღვარგარეთ, კერძოდ, რომსა (1629 წ.) და მოსკოვში (1705 წ.), ჩამოსხმული იყო ქართული სასტამბო შრიფტი, ამან გარკვეულწილად ხელი შეუწყო ვახტანგ მეექვსეს განხორციელებინა დიდი ხნის ოცნება და გაეხსნა სტამბა თბილისში. ამისათვის მან საკმაოდ დი-



დი მოსამზადებელი სამუშაო გასწია, კერძოდ, სარედაქციო მუშაობის ჩასატარებლად მას სტამბის დაარსებამდე ჩამოუყალიბებია ქართველ მწიგნობართა გუნდი, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი გადამწერ-კალიგრაფები და ტექსტის აღმდგენელ-შემსწორებლები. სწორედ მათ დაუდგენიათ საღმრთო წერილის ტექსტები ბერძნული დედნების მიხედვით. ამ საქმიანობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა სულხან-საბა ორბელიანის ძმა ნიკოლოზ ორბელიანი ანუ მროველი, რუისელი ეპისკოპოსი, ერისკაცობაში მოსამართლეთუხუცესი, ვახტანგ მეექვსის უახლოესი თანამშრომელი, თბილისის სტამბის წიგნების პირველი რედაქტორი. მას გაუმართავს წმინდა "სახარება", "ლოცვანი", "კონდაკი", "პარაკლიტონი" და სხვა.

ასევე დიდ მუშაობას ეწეოდა ბერძნული ენის საუკეთესო მცოდნე კიპრიანე სამთავნელი, იგი ასწორებდა სასულიერო ლიტერატურას, ხოლო "კურთხევის" წიგნი მას ხელახლა უთარგმნია, რადგან ქართულ ტექსტში დიდი შეცდომები და მეტ-ნაკლებობა აღმოჩენილა. ამ საქმეში კიპრიანეს ეხმარებოდნენ არქიმანდრიტი სერგი და ბერძნულად კარგად განსწავლულნი პირნი.

სხვა კალიგრაფ-გადამწერთა და აღმდგენთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ზოსიმე ორბელიანი (ნიკოლოზისა და საბას ძმა), მეფის მდივანი მელიქისედექ კავკასიძე და სხვანი.

ვახტანგმა, როგორც განათლებულმა მმართველმა, საჭიროდ სცნო ენერგიულად ეზრუნა თბილისში ქართული სტამბის გახსნისათვის. როგორც ამ სტამბაში გამოცემული პირველი წიგნის რედაქტორი ნიკოლოზ ორბელიძე თავის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ერთ-ერთი მიზეზი წიგნის სტამბურად გამოცემისა ყოფილა ის, რომ ხელით გადანერის დროს საღმრთო წიგნები შერყვნილა, ამასთან, გაზრდილა მოთხოვნა წიგნზეც.

ვახტანგ მეექვსემ სტამბის გახსნაში დახმარება სთხოვა იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს, რომელმაც თავის მხრივ იგი დააკავშირა რუმინეთში მცხოვრებ ანთიმოზ ივერიელს, რომელიც 16 წლის ასაკში, 1666 წელს ტყვედ გაუყიდიათ და იერუსალიმის პატრიარქს ნექტარიოსს გამოუსყიდა, მან კარგი აღზრდა-განათლება მიიღო, ჯერ ნექტარიოსის, ხოლო შემდეგ დოსითეოსის მეშვეობით. ანთიმოზს კარგად სცოდნია ქართული,

თურქული, არაბული, ბერძნული და რუმინული ენები და დამწერლობა, იყო შესანიშნავი მხატვარი, გრავიორი, კალიგრაფი და დახელოვნებული მესტამბე, სწორედ მისი მოღვაწეობის პერიოდში მიაღწია უნგრო-ვლახეთის სტამბამ აყვავების უმაღლეს საფეხურს. რუმინეთში მას დიდი წარმატება ხვდა წილად. იგი ჯერ რიმნიკის მიტროპოლიტია, ხოლო 1708 წელს პროვინციის - ვლახეთის ეპისკოპოსად უკურთხებიათ. მაგრამ არასოდეს არ უშვებდა ხელიდან შემთხვევას, თავისი ქართველობა აღენიშნა. სწორედ მას მიმართა ვახტანგ მეექვსემ თხოვნით, დახმარებოდა ქართული სტამბის დაარსებაში. ანთიმოზ ივერიელი გულისხმიერებით შეხვდა თანამემამულეთა თხოვნას, მან შერაჩია სტამბის საუკეთესო მოხელე, თავისი ყოფილი მოწაფე, უნგროვლახელი მიხეილ იმტვანოვიჩი (სტეფანიშვილი) და გამოაგზავნა ვახტანგ მეექვსესთან სტამბის გასამართად. იგი საქართველოში მიხეილ სტეფანიშვილის სახელითაა ცნობილი, რასაც ადასტურებს ვახტანგ მეექვსის მიერ გამოცემული წიგნების კოლოფონი, რომელშიც ვკითხულობთ:

"მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა". ამასვე აღნიშნავს ნიკოლოზ ორბელიძეც, როდესაც წერს: "ვახტანგმა იგულმოდგინა და მიიღო სტამბა ვლახეთით". მანამდე საქართველოში სტამბა არ ყოფილაო.

ვახტანგ მეექვსემ უნგრო-ვლახეთიდან მხოლოდ ერთი სპეციალისტი მოიწვია, დანარჩენი მესტამბეები ქართველები იყვნენ და როდესაც ერთი წლის შემდეგ მიხეილ იმტვანოვიჩი სამშობლოში დაბრუნდა, წიგნის ბეჭდვას ქართველი მესტამბენი აგრძელებდნენ.

ვახტანგ მეექვსემ ამ ახალ ნამოწეებას სპეციალური "სტამბის სახლები" აუგო. იგი ბევრს ზრუნავდა და არაფერს იმურებდა იმისათვის, რომ წიგნი ხალხში გასულიყო, აქ დაბეჭდილ წიგნთა უმრავლესობა ბიბლიურ-ლიტურგიკული ხასიათისაა და მნიშვნელო-



ვანი ნანილი მხედრული შრიფტით არის დაბეჭდილი. ამ შრიფტით დაიბეჭდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა "ვეფხისტყაოსანი", რომელიც 1712 წელს დაისტამბა ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და გამოკვლევით.

ვახტანგ მეექვსის სტამბაში იბეჭდებოდა არა მხოლოდ საეკლესიო და ლიტერატურული ნაწარმოებები, არამედ ისეთებიც, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მოსწავლეთა აღზრდისა და თვითშეგნების ამაღლებისათვის. ასეთია 1711 წელს დაბეჭდილი "სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლა მონაფისა", რომელიც შეადგინა გერმანე მღვდელ-მონაზონმა, ნიგნი დანერილია მარტივი, გასაგები ენით. დაიბეჭდა აგრეთვე სასკოლო სახელმძღვანელო და სამეცნიერო ნიგნი "აიათი". დიდი მუშაობა გაიშალა მეცნიერების მრავალ დარგში. ვახტანგის შექმნილი "სწავლულ კაცთა" კომისია შეუდგა ქართული ნარატიული საისტორიო



ძეგლების გამართვას და XIV-XVII საუკუნეების ისტორიის წერას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისტორიული მეცნიერებისა და წყაროთმცოდნეობის განვითარების თვალსაზრისით. "საქართველოში ქართულ ენათა ლექსიკონი აღარ იპოვებოდა"; მისი შედგენის მძიმე ტვირთი თავს იდო სულხან-საბა ორბელიანმა, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობდა ვახტანგ VI. დასაბეჭდად მზადდებოდა ქართული ბიბლიის სრული ტექსტი, რომლის გამოსაცემად გამართვის რთული და საპატიო საქმე კვლავ სულხან-საბა ორბელიანმა ითავა, მაგრამ მისი განხორციელება ვერ მოხერხდა პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო.

თბილისის სტამბაში სულ ოცი ნიგნი დაიბეჭდა. სტამბამ თექვსმეტი წელი იარსება და 1724 წელს შეწყვიტა არსებობა. მისი დახურვის მიზეზი იყო საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რამაც აიძულა ვახტანგ მეექვსე დაეტოვებინა საქართველო და რუსეთში გადასახლებულიყო.

თბილისში სტამბის დაარსებას და ნიგნის ბეჭდვის შემოღებას დიდი სახელმწიფოებ-

რივი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ქართული მწერლობის, მეცნიერებისა და, ერთოდ, სწავლა-განათლების გავრცელებისათვის. XVIII საუკუნის პირველ ორ ათწლეულში თბილისის სტამბა იყო ერთადერთი კულტურული კერა მთელ საქართველოში, სადაც არასოდეს განელებულა ინტენსიური მეცნიერული ლიტერატურული საქმიანობა. ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში ვახტანგ მეექვსის სტამბა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენს. ამ სტამბაში დაბეჭდილი ნიგნები საოცრად ლამაზი შრიფტითა და შესანიშნავი გრაფიურებითაა ილუსტრირებული. პირველად აქ განხორციელდა სხვადასხვა ზომის მხედრული შრიფტის ჩამოსხმა და საეკლესიო ნიგნებთან ერთად საერო ნიგნების ბეჭდვა, მკვლევართა აზრით, ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი ნიგნები

არ ჩამორჩება ევროპაში იმ დროს დაბეჭდილ ნიგნებს, როგორც მხატვრული გაფორმებით, ისე შინაარსობრივი სიღრმით. ამ სტამბის შრიფტი და მხატვრული გაფორმება მიუწვდომელია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის როგორც საქართველოს, ასევე რუსეთში მოქმედი ქართული სტამბებისათვის.

ლიტერატურა:

- გვინჩიძე ო. ანთიმ ივერიელი: (მესტამბე და პოლიტიკური მოღვაწე). - თბ., 1973.
- კასრაძე ო. ნარკვევები ქართული ნიგნის ბეჭდვის ისტორიიდან. - თბ., 1997.
- კვასხვაძე შ. ქართული ნიგნის გრაფიკული ხელოვნება: (ვახტანგ VI სტამბის ნიგნი 1709-1722). - თბ., 1952.
- იოსელიანი ა. ქართული მნიგნობრობის, ნიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები: (უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე); ტ. 1. - თბ., 1990.
- ლორთქიფანიძე ე. ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი. - თბ., 1962.
- მეტრეველი ე. ბერაძე ე. ვახტანგ VI: (აღბომი). - თბ., 1975.
- შარაშიძე ქ. პირველი სტამბა საქართველოში: (1709-1722). - თბ. 1955.
- ჭიჭინაძე ზ. ისტორია ქართული სტამბისა და მნიგნობრობის ბეჭდვისა: (1625-1900). - თბ., 1900.
- Джинджихашвили Ф. Антиоз Ивериели (Антим Ивериану): Жизнь и творчества; (1650-1716)-Тб., 1967.

გიორგი სარაჯიშვილი

1888 წელს გამოცემული

„ვეფხისტყაოსანი“

1712 წელს მეფე — სწავლულმა ვახტანგ VI მის მიერ დაარსებულ სტამბაში, მის მიერ შედგენილ „სწავლულ კაცთა კომისიისაგან“ დადგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი პირველად ბეჭდური სახით, მისივე რედაქციით და კომენტარებით გამოსცა, რამაც საფუძველი დაუდო „მეცნიერულ რუსთველოლოგიას“.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან 176 წლის შემდეგ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრმა, ქველმოქმედ-მეცენატმა გიორგი ქართველიშვილმა (1827-1901), ვინც ერთ დროს გაზეთ „დროების“ გამომცემელი იყო, ვისაც საქართველოში თევზის სავაჭრო და ხე-ტყის წარმოება ჰქონდა, თავისი ხარჯით იკისრა ზიჩის ილუსტრაციებით რუსთაველის ქმნილების გამოცემა.

უნგრელი ფერმწერი და გრაფიკოსი მიხაი ზიჩი (1824-1906) 1847 წლიდან ცხოვრობდა პეტერბურგში. 1858 წელს იგი აირჩიეს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსად, ხოლო 1859 წლიდან იყო საიმპერატორო კარის მხატვარი.

1881 წლის 21 ოქტომბერს ზიჩი ჩამოვიდა თბილისში. გაზეთი „დროება“ წერდა: „ჩვენს ქალაქში იმყოფება გამოჩენილი პირი — მხატვარი ზიჩი. ის მოსულა ჩვენში იმ განზრახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი ტიპები და დახატოს ლერმონტოვის პოემის „დემონის“ ილუსტრაციებით“. ინტელიგენციის თხოვნით, ზიჩიმ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა. სულ შექმნა 34 სურათი

(შეუკვეთეს კი 12 სურათი). საგამომცემლო კომისიამ 27 სურათი შეარჩია.

1880 წელს გაზ. „დროებაში“ მეუნარგიას ინიციატივით გამოქვეყნდა მოწოდება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის შესახებ: „დიდი ხანია განზრახვა გვქონდა დასტამბული „ვეფხისტყაოსანი“ შეგვეთანხმებინა ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანთან“. ვისაც აქვს,



დროებით გადმოგვიგზავნონ წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიაში ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი, რომელიც შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს“. წერილს ხელს აწერდნენ: იონა მეუნარგია, რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი. შედგა პოემის ტექსტის დამდგენი რედაქცია გრიგოლ ორბელიანის თავმჯდომარეობით. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თანადგომით გამგეობის წევრმა მეუნარგიამ შეძლო ოჯახებიდან შეეკრიბა 22 ხელნაწერი. განცხადებას საგანგებო წერილით შეეგება „დროება“.

მეუნარგია რეგულარულად

აქვეყნებს გაზეთში სხდომების ოქმებს. საზოგადოება ეხმაურება წამოწყებას, იძლევა წინადადებებს რუსთაველის ძეგლის დადგმაზე, ბიუსტის ჩამოსხმაზე და ა. შ.

1884 წლისათვის მეუნარგიამ ფრანგულ ენაზე პროზად თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, ჟიულ მურიესა და ბარონესა ბერტა ფონ-სუტნერის მეშვეობით, რომელნიც თავიანთ შთაბეჭდილებებს თარგამანზე გაზეთების საშუალებით უზიარებდნენ საზოგადოებას.

1884 წელს ივანე მაჩაბელის ინიციატივით „დროების“ რედაქციაში ჩამოსულ საფრანგე-

თის ელჩთან და საქველმოქმედო კომიტეტის წევრებთან მონყობილ შეხვედრაზე რუსთაველის შესახებ წარმოთქმულ სიტყვის ბოლოში ილიამ მეუნარგიას ღვანლს, მის „ვეფხისტყაოსანზე“ განეულ მუშაობას შეფასება მისცა: „დღეს როგორღაც წილად მხვდა, სადაც დიდს იხსენიებენ, იქ პატარაც მოვიხსენიო, როცა პირველყოფილი კაცობრიობა, მზის ბრწყინვალეობით განცვიფრებული, თავიანთ სცემდა ვითარცა ღმერთს, იმავე დროს პატივისცემდა მთვარესაც, რომელსაც მხოლოდ მზის შუქი ანათებს. რაკი სამართლიანია თავყვანისცემით მოვიხსენიოთ რუსთაველი, მაშინ უსამართლობა და უმადურობა იქნება დავივიწყოთ მისი მთარგმნელი. რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია იქნება, რადგანაც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის იქით ჩვენს მოღვაწეთა შორის. ღმერთმა ადღეგრძელოს მეუნარგია“.

28 წლის მეუნარგიამ დაწყებული საქმე ბრწყინვალედ წარმართა. ზიჩიმ მეუნარგიას თარგმანის მიხედვით შექმნა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები.

ქართველიშვილმა ბოლოსიტყვაობაში განმარტება დაურთო წიგნის გაფორმების შესახებ: „პირველი აზრი სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამონმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან“.

„სურათების დახატვა ამ წიგნისათვის, — წერდა დამფინანსებელი, — იკისრა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნი. დახატულიდან ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ანგერერმა გადაიღო, ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერბურგის ბრეზეს ქრომოლითოგრაფიაში“.

ის გარემოება, რომ სურათებს ლამაზი ქართული ასოებით მიწერილი აქვს — „ზიჩი“, ხოლო ზოგიერთ მათგანს შესაფერისი შინაარსის ტექსტი, იმაზე მეტყველებს, რომ ზიჩიმ შესაძლებლობების პირობებში შეისწავლა ქართული ანბანი და ლაპარაკიც კი.

ზიჩის უთქვამს: თუ კარგ ლექურს მაჩვენებენ, ცოცხალ სურათებს დავდგამო. ერთ კვირასაც არ გაუვლია, რომ ქართული თეატრის დასს შეუკრებია ასამდე ქალი და კაცი, შეუკერავთ მათთვის ქართული ტანისამოსი, დაუხატავთ დეკორაციები ზიჩის ესკიზების

მიხედვით. ტანისამოსზე და დეკორაციებზე ას თუმანზე მეტი დახარჯულა. ყველაფერი ზიჩის ჩანაფიქრით წარიმართა.

„ვეფხისტყაოსნის“ გამრების წარმოჩენა მან „ცოცხალი სურათების“ სახით განახორციელა. სცენები გაიმართა თბილისში, საზაფხულო თეატრში, 1882 წლის თებერვალში. ხოლო 17 მარტს, ორი „ცოცხალი სურათი“ დაიდგა ქუთაისში. ზიჩი ძმას წერდა: „თავადის ქალმა ბარათოვამ, რომელმაც ითავა ცოცხალი სურათების დადგმა, წარწერით ძვირფასი ფოლადის ხმალი მაჩუქა, ვერცხლის ქარქაშით — ლეკური ნახელავი. თუკი ვინმე მათ სამსახურს გაუწევს, ისინი ყოველთვის მზად არიან გადაუხადონ ეს სამსახური, რითაც კი ძალა შესწევთ; თანაც ამას აკეთებენ უნაზესი მეგობრული გრძნობით. მოკლედ, ძალიან კარგი ხალხია... განსაკუთრებით ლამაზები არიან აქ მცხოვრები ქალები“.

ზიჩის წინასწარ ჰქონია პოემიდან შერჩეული ადგილები, რომლებიც უნდა დაესურათებინა, ფიქრობდა, რომ შერჩეულ ტიპებს ჩააცმევდა სათანადო ტანისამოსს, დააყენებდა მათ სცენაზე, მოუწყობდა განათებას, კულისებში მსახიობები წაიკითხავდნენ სურათის შესაბამის ტექსტებს. ამ დროს კი ის ჩანახატებს გააკეთებდა.

გაზეთ „დროების“ ცნობით: „დღევანდელ ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის გამართული იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსნიდან“, ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“. დადგმებში მონაწილეობას იღებდნენ: ულამაზესი მანდილოსნები, მწერლები, მხატვრები, მეცნიერები, სამხედრო პირები, რომლებიც ცნობილნი იყვნენ, როგორც თავისი გარეგნობით, ისე ცეკვით და საკრავებზე დაკვრის ოსტატობით. ზიჩი ყურადღებას აქცევდა „სახის ტიპიურ და მხატვრულ გამოსატყულებას“. პოემის მთავარი გამრების ტიპაჟების შერჩევისას მონაწილეთა დიდი კონკურენცია იყო. ზოგიერთი გმირი კონკურენციის გარეშე იყო ზიჩის მიერ შერჩეული.

გაზეთების: „დროებისა“ და „Кавказ“-ის ცნობით, თბილისში როლებს ასრულებდნენ: თამარ დედოფალი — მ. იოსელიანის ქალი; შოთა რუსთაველი — დ. ზ. სარაჯიშვილი; თინათინი — ს. ჩოლოყაშვილი; მეფე როსტევიანი — რაფიელ ერისთავი; მეფე ფარსადანი

— ვ. თარხნიშვილი; ტარიელი — ბარათაშვილი; ნესტან-დარეჯანი — ნ. ოგლობჯიო (ორბელიანის ასული); ავთანდილი — აფხაზი“, ხოლო ქუთაისში: „თამარ მეფე და თინათინ — ნ. წერეთელი — ჩოლოყაშვილისა, შოთა რუსთაველი — მამია გურიელი; ტარიელი — გ. შერვაშიძე, ნესტან-დარეჯანი — ფალავა; როსტევეან მეფე — ქაიხოსრო ქაჯაია; ფრიდონი — ჯაბა გურიელი“.

„ვეფხისტყაოსნის“ მირთმევის სცენაზე „დროება“ წერდა: „წარსულ კვირას კიდევ გამართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აივსო გული წარსული ნეტარების მოგონებით. იქამდისინ მშვენნიერნი იყვნენ ეს სურათები, რომ მტერი თუ მოყვარე, ქართველი, რუსი, გერმანელი, თათარი — ყველანი აღტაცებაში მოიყვანა... კაცის გული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებასო“.

ბენო გორდეზიანის თქმით: „ჩვენ ტყუილად დავუნწყებთ ძებნას რუსთაველის ილუსტრაციებში ამ ტიპთა ფოტოგრაფიულ გამოხატულებას — ზიჩიმ მათი გარეგნობა, გამომეტყველება, ხასიათი და ქცევა განაზოგადა, მისცა მათ ღრმა რეალისტური სახე და ქართული ეროვნული კოლორიტით ცოცხლად განასახიერაო“.

ცოცხალი სურათების დადგმის გახმაურებამ რუსეთის საიმპერატორო კარამდე მიაღწია. არ მოეწონათ კარის მხატვრის გულისხმიერება. მოსულა მოთხოვნა ზიჩის მუშაობის შესამოწმებლად, ყველა სურათის გადაღებისა და პეტერბურგში გაგზავნაზე, რაც დაუყოვნებლივ იქნა პოლიციის მიერ შესრულებული.

ზიჩიმ დადგა 11 ცოცხალი სურათი: „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევის სცენა (ფერადი); პოემის სიუჟეტიდან: 1. თინათინის გამეფება; 2. დარბაზობა ინდოეთის მეფის ფარსადანის კარზე; 3. ასმათს შეჰყავს ტარიელი ნესტან-დარეჯანთან; 4. ზანგი მონების მიერ დავარის ბრძანებით ნესტან-დარეჯანის გადაკარგვა; 5. როსტევეან მეფე ნადირობისას წყლის პირას პოულობს ტარიელს; 6. ასმათის მიერ გამოქვაბულში ავთანდილისა და ტარიელის შეყრა-გაცნობა; 7. ნესტან-დარეჯანი ფატმანთან; 8. უსანმა მიჰგვარა ნესტანი მელიქ-სურხავს; 9. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეყრა ქაჯეთის ციხეში; 10. გამარჯვებულთა მსვლელობა.

„ცოცხალი სურათები“ პეტერბურგში, იურევი (ტალინი), ხარკოვში, ვლადიკავკავში,

ხარბინში, ლაიპციგში, ბრუსელში დაიდგა.

1882 წლის შემოდგომაზე ზიჩი წასულა პეტერბურგში, თან წასულა ჩანახატები. იქ, „ნიკო ნიკოლაძის ბინაში ხვდებოდა ნიკოს ცოლის ძმას მხატვარ დავით გურამიშვილს და სამხატვრო აკადემიის სტუდენტს — გიგო გაბაშვილს. ზიჩი, დავითი და გიგო ხშირად დადიოდნენ მანუქში, სადაც ზიჩი ცხენით მოჯირითე დავითის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ჩანახატებს ქმნიდა“

შემდგარა საგამომცემლო ტექნიკური კომისია ილიას თავმჯდომარეობით; წევრები იყვნენ: რაფიელ ერისთავი; დიმიტრი ბაქრაძე; იონა მეუნარგია; პეტრე უმიკაშვილი და ივანე მაჩაბელი. კომისიას მიენდო: პოემის სტილისტური რედაქცია — ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენა; პოლიგრაფიული გაფორმების ხელმძღვანელობა — წიგნის დაბეჭდვა, სურათების დახატვის საქმის მოგვარება; ზიჩისათვის ფრანგულ ენაზე დასასურათებლად შერჩეული ტექსტის მიწოდება; ყოველგვარი მიმონერის წარმოება; ახალი შრიფტის შეკვეთა და გამოწერა; სათაური ასოების, შესამკობი ნახატების, სამკაულეების შერჩევა; საქართველოში, პეტერბურგში, უცხოეთში სურათებისათვის ხელმძღვანელობა.

ილია მეურნარგისაგან მოითხოვდა, დაეჩქარებინა თარგმანი, რადგან მხატვარს „უკვე მოუთხოვია პოემის ტექსტი“. პეტერბურგში მყოფი ნიკო ნიკოლაძე ზიჩისთან კავშირს ამყარებდა წერილების საშუალებით, რაც დროს მოითხოვდა. „დროების“ რედაქციას მალევე მიუღია ცნობა: „ზიჩიმ ფრანგული თარგმანი უკვე მიიღო და სურათების ხატვას შეუდგაო“. „არავის იმედი არ ჰქონდა, რომ ზიჩი სურათებს წელიწადზე ადრე დაამთავრებდა, მაგრამ იმ დღეებში თბილისში მოვიდა გამოგზავნილი ესკიზები, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ნახევარი საქმე დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ზიჩი სთხოვს კომიტეტს, რომ შენიშნოს, თუ რა ნაკლოვანება აქვს მის ესკიზებს შინაარსთან შედარებით და საჩქაროდ ესკიზები შენიშვნებითურთ უკანვე დაუბრუნოთ, — წერდა „დროება“, — მე თქვენ გიგზავნით არა თორმეტს არამედ ოცდაათობმეტს ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ რაც შესანიშნავია, ნომრობით დაწერეთ და საჩქაროდ უკანვე გამომიგზავნეთ, რომ შემედლოს საქმის მალე დასრულება...“

მე დიდათ მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ თქვენი იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულების შესაფერად გადმოცემას... კარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს სურათები თქვენს გამოცემაში მოგექციათ ცინკოგრაფიით. ძვირათაც არ დაჯდებოდა: ანგერერი ვენაში და აგრეთვე პარიზში კვადრატულ სანტიმეტრზე 15 სანტიმს თხოულობენ... მოიქცით, როგორც თქვენ სურვილი და შეძლება ნებას მოქცემთ. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრის განხორციელება შევიძელ. მე ჩემი მხრით, გამოვცემ არა მარტო ამ 34 სურათს, იქნება სხვებიც მივუმატო და პატარა ფოტოგრაფიული ალბომი დავაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და დიდება ქართველების პოეტი რუსთაველისა უფრო ვრცლად მოიფინება. დასასრულ, გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე ნაზად და სათუთად“.

ზიჩი წასულა ვენაში და სურათების ბეჭდვის საქმე „არათუ მოუგვარებია, არამედ ერთი დაბეჭდილი სურათიც კი ჩამოუტანია პეტერბურგში“. („დროება“, 1885).

1885 წელს „დროების“ დახურვისთანავე ჟურნალი „ივერია“ გამოვიდა. ჟურნალმა გადაიბარა „ვეფხისტყაოსანზე“ ყველა ის საკითხი, რაც საზოგადოებას და ხელისმომწერლებს აინტერესებდათ.

მეუნარგია წასულა პეტერბურგში. დაბეჭდილი „ერთი სურათი“, რომელიც ავთანდილისა და ფატმანის მარტო ყოფნას გადმოსცემდა, ჩამოუტანია: „სურათი ფოტოგრაფიით გადაუღიათ ვენაში ანგერერის და გეშლის ზედამხედველობით და მშვენიერებაა“. ჩამოუტანია გამოჩენილი „მბეჭდავის ანგერერის წერილიც, ის ითხოვდა მიეწოდებინათ მისთვის ცნობები წიგნის ფორმატის და ტექსტის მოცულობის შესახებ“ („ივერია“, 1887).

„ზიჩისაგან დახატული სურათები, უკვე დაუბეჭდავთ ლეიპციგში, რომელიც 26-მდეა, ოთხი კიდევ მოსულა ტფილისში, სრულიად დამზადებული და დაბეჭდილი. აპრილში ბეჭდვასაც შეუდგებიან და მაისში უკვე მზად იქნება ვარაყინი ყდა წიგნისა და აგრეთვე სხვა ყოველივე... სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ სულ 600 ცალი დაიბეჭდება და ყდით ეღირება 12-15 მანეთი“, — წერდა „ივერია“.

საგამომცემლო კომისიამ ივანე მაჩაბელს

დაავალა ტექსტის საბოლოო რედაქცია, გამოცემის ტექნიკური და მხატვრული ხელმძღვანელობა. პეტერბურგში დროებით მყოფ ივანეს უფროს ძმას ვასილს მძიმე ტვირთი გაუზიარებია. „ვასო ღებულობდა ძმისგან მრავალ დავალებასა და დანვრილებით დარიგებას იმის შესახებ, თუ ვისთან და როგორ დაემზადებინა სათაური ასოები, ბორდიურები, გალვანო-პლასტიკური ანაბეჭდები და სხვა.“

1886 წელს ტატიშვილს შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება. ორნამენტული ნახატები პეტერბურგში გაუგზავნიათ ამომჭრელებთან — ლემანთან და მეისთან. ზიჩის შესრულებით ფერადი სურათი კი, რომელიც გამოცემის პირველ გვერდზეა ჩაკრული, მიუციათ ბრეზეს ქრომო — ლითოგრაფიაში. ტატიშვილის სამკაულების ლითონზე გადატანას ვასილი ხელმძღვანელობას უწევდა. ზიჩი მაჩაბელთან კავშირში იმყოფებოდა. უგზავნიდა მას საკორექტორო მასალებსა და შეკითხვებს, რაზედაც დაუყოვნებლივ ღებულობდა ვანოს პასუხსა და განმარტებებს.

ვანოს ტექსტის ბეჭდვა დაუწყია. იონასათვის ერთ ფერში ამოღებული საბოლოო ანაბეჭდი გაუგზავნია, წერილიც მიუწერია: „ძმაო იონა, გიგზავნი „ვეფხისტყაოსნის“ ოტისკს... ჯერ უნიფხოდ იბეჭდება, ე. ი. უასოებოდ, უკანცოვკებოდ, უბონდიურებოდ, უსათაურებოდ... ყდა კარგი გამოდის სურათებსაც არა უჭირთ რა“.

1887 წელს რუსეთის სამხატვრო საზოგადოებას ზიჩისათვის ორმოცი წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხდია. ამ საზეიმო თარიღს საქართველოც გამოსხამაურებია.

„ივერიას“ 1888 წლის მაისში განცხადება გამოუქვეყნებია: „სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ ძვირფასს ყდაში გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის სანყოფში. წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმების მხატვრობა და სათაური ასოები ამოჭრილია პეტერბურგში, წიგნი დიდი ფორმატისაა და ღირს 15 მანეთი“.

1888 წელს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე III-ის საქართველოში ჩამოსვლის გამო ვანოს დაევალა „ვეფხისტყაოსნის“ საგანგებო ეგზემპლარის დამზადება. თუმცა იგი უფრო საჭიროდ სთვლიდა დელეგაციაში მყოფი ზიჩისათვის მისართმევ სამადლობელ

ეგზემპლარზე ზრუნვას.

1889 წლის 19 მარტს ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ ალბომად შეკრულ სურათებზე წარწერა გაუკეთებია: „ქართველ ხალხს ჩემი თანაგრძნობისა და გულითადი ერთგულების ნიშნად“ ალბომი ინახება ეროვნულ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

მადლიერმა ქართველმა ერმა მთაწმინდაზე, კოლორიტულ უბანში ერთ-ერთ ქუჩას მიხაი ზიჩის სახელი მიაკუთვნა, ხოლო სამხატვრო აკადემიის წინ მდებარე სკერში 1988 წელს, „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის 100 წლის თავზე მოქანდაკე შანდორ კიშის, არქიტექტორების ჯ. ვადაშის და ნ. მგალობლიშვილის ავტორობით მიხაი ზიჩის ბრინჯაოს ქანდაკება დაიდგა.

პოემის ილუსტრაციებმა „მრავალ უცხოელს გაუღვიძა „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის სურვილი“, რადგან „ფსიქოლოგიურად მეტყველი გმირები, ტიპიური ქართველი ადამიანები არიან. მხატვრის მდიდარი ფანტაზია ქართული ეროვნული კოლორიტითაა ხორცშესხმული“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას მაინცში გუტენბერგის გამოფენისათვის გაუგზავნია გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“. მაინცის ქალაქის თავს, დოქტორ გასნერს გამგეობისათვის გამოუგზავნია მადლობის წერილი: „თქვენ თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტენბერგის დღესასწაულს და გუტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურვალესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი სულოვნების ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტენბერგის ქალაქში“.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა ორიენტალისტთა ყრილობის თავმჯდომარეს — შვეციისა და ნორვეგიის მეფეს ოსკარ II სტოკჰოლმში გადასცა მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“. ოსკარ II-ს გასცნობია ბორენის მიერ ფრანგულად ნათარგმნ შინაარსს და უთქვამს — სოლომონის ქებათა-ქებას ჰგავ-

სო. მეფემ მისთვის მირთმეულ უამრავ წიგნთაგან, პირადი ბიბლიოთეკისათვის დაიტოვა რამდენიმე წიგნი და მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“.

მდიდრული გამოცემა გ. ქართველიშვილმა 12 ათასი მანეთით დააფინანსა და წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა საკუთრებაში. ერმა გ. ქართველიშვილი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა. მწერალი-ჟურნალისტი ცოლ-ქმარი ზუტენერები, რომლებიც 1870 წელს ესტუმრნენ სამეგრელოს დედოფალს — ეკატერინეს და საქართველოში იცხოვრეს 10 წელი, იგონებენ, თუ რას წერდნენ ვენის ერთ-ერთ ოფიციალურ ორგანოში გ. ქართველიშვილზე: „ძნელად მოსაფიქრებელია ქართველმა კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა, ათას თუმნამდე გადაიხადოს ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასაბეჭდად. ამგვარი ფაქტი ერთადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ ღირს ამაზე ლაპარაკი“.

დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემიდან 100 წლისთავზე საქართველოში საიუბილეოდ იგივე ფორმით გამოსცეს შოთას უკვდავი ნაწარმოები.

თავდაპირველად ნავარაუდები პოემის 600 ცალის დასტამბვის შემდეგ დაემატა, 670 ცალი, რადგანაც ძალიან დიდი მოთხოვნილება იყო ამ გამოცემაზე.

გამოყენებითი ლიტერატურა:

1. გორდუზიანი ბენო მ. ა. ზიჩი საქართველოში. — თბ., 1960.
2. დროება — 1901 — №№ 210, 212, 213.
3. თეატრი — 1889, თბ., 1958. 26. 09. — №№ 19, 20.
4. ივერია — 1901 — №№ 210, 212, 213.
5. იმედაშვილი გაიოზ. რუსთველოლოგიური ლიტერატურა. — თბ., 1957.
6. ურუშაძე მერაბ — პირველი ქართული გრავიორი. — თბ., 1958.
7. შარაძე გურამ. მიხაი ზიჩი და ქართველი კულტურა. — თბ., 1978.
8. ჩორგოლაშვილი მამია „... თითქოს აქ ვიყო დაბადებული“. — თბ., 1990.
9. ცნობის ფურცელი — 1901. №№ 1594, 1597, 1598.

მაია მიქაბერიძე

ნაბეჭდი და ელექტრონული რესურსების საარქივო ფონდის უფროსი

რეპრესირებული ლიბერატიზმი

(სპეცფონდი საბჭოთა ბიბლიოთეკებში)

საბჭოთა კავშირის შექმნისთანავე ლიტერატურული პროცესები სახელმწიფოებრივ მარწუხებში მოექცა. საცენზურო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა კომუნისტური იდეოლოგიის განმტკიცება იყო. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა მასობრივი ინფორმაციის ისეთი ბერკეტის გარეშე, როგორც ბიბლიოთეკა. საბჭოთა კავშირში ბიბლიოთეკებს პირდაპირ დაეკისრა მოსახლეობის კომუნისტური აღზრდის მოვალეობა. ინსტრუქციაში „სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვის წესის შესახებ“ ვკითხულობთ: „ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდი უნდა შეიცავდეს იდეურ-პოლიტიკურად, მეცნიერულად, საწარმოო და მხატვრული თვალსაზრისით სრულფასოვან ლიტერატურას, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ფორმირებას და მათი კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებას“ [1].

ნ. კრუპსკაია, რომელიც ხელმძღვანელობდა განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ პოლიტგანათლების განყოფილებას, აცხადებდა, რომ საბიბლიოთეკო საქმეში უმთავრესი იყო წიგნების სწორი შერჩევა, რადგან დიდ სიკეთესთან ერთად, მათ დიდი ზიანის მოტანაც შეეძლოთ, სწორედ ნ. კრუპსკაიას ხელმძღვანელობით დაიწყო საბიბლიოთეკო ფონდების ფართომასშტაბიანი „წმენდა“ ე. წ. იდეოლოგიურად მავნე და მოძველებული ლიტერატურისაგან. ჯერ კიდევ 1920 წელს ბიბლიოთეკებში დაიგზავნა ინსტრუქცია კატალოგების გადასინჯვისა და მოძველებული ლიტერატურის ამოღების წესის შესახებ [7]. მოგვიანებით ბიბლიოთეკების რეპრესიებს ბევრად ორგანიზებული ხასიათი მიეცა, როცა ჩამოყალიბდა სახელმწიფო ცენზურა მთავლიტის სახით.

1922 წლის 6 ივნისს გამოიცა სახალხო კომისარიატის საბჭოს დეკრეტი, რომლითაც განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმის მთავარი სამმართველო - მთავლიტი. ლიტერატურულ ენციკლოპედიაში ნათქვამია: მთავლიტი „დგას საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამხედრო-ეკონომიკური და კულტურული ინტერესების სადარაჯოზე და ამის შესაბამისად ახორციელებს საგამომცემლო საქმის წინასწარ და შემდგომ კონტროლს“ [4]. სსრკ მთავლიტის პარალელურად ფუნქციონირებდა რესპუბლიკური, საოლქო, სამხარეო, საქალაქო და სარაიონო მთავლიტები, როგორც ერთიანი იერარქიული სისტემის შემადგენელი ნაწილები.

ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა მთავლიტის არსებობის მიჩქმალვას. 1923 წელს გამოცემულ ცირკულარში პირდაპირ ნათქვამია: „აკრძალულია ყოველგვარი სტატიის, განცხადების ან ცნობის გამოქვეყნება, რომლებითაც ყურადღება გამახვილდება იმ ორგანოს მუშაობაზე, რომელიც ახორციელებს ბეჭდურ მასალებზე წინასწარ და შემდგომ კონტროლს“ [7].

მთავლიტის მუშაობა უშუალოდ იყო დაკავშირებული როგორც პარტიული ხელისუფლების, ასევე სახელმწიფო უშიშროების ორგანოებთან. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) დებულებაში მითითებულია, რომ სხვა ფუნქციებთან ერთად, მას ევალება მთავლიტის მიერ აკრძალული წიგნების ამოღება მთავლიტის მიერვე შედგენილი სიების საფუძველზე [7].

საბიბლიოთეკო ქსელში ლიტერატურის რეპრესია სამი ძირითადი ფორმით ხორციელდებოდა:

წიგნებიდან და ყურნალ-გაზეთებიდან ფურცლების ამოჭრა. „არასაიმედო“ წიგნების სრული ან ნაწილობრივი ფიზიკური განადგურება;

მოსახლეობის მეხსიერებიდან პოლიტიკური მონინაალმდეგეების სახელის ამოშლის მცდელობა. მათი გვარების ნაშლა წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე;

სპეცფონდების შექმნა, ე. ი. პოლიტიკური მონინაალმდეგეების უკვე დაბეჭდილი ნაწერების ამოღება მასობრივი ბიბლიოთეკების ფონდებიდან, სავაჭრო ქსელიდან და მათი ცალკე სათავსოში შენახვა, მკითხველებისთვის მათი გამოყენების აკრძალვა.

იდეოლოგიური ბრძოლის წნეხის ქვეშ მოქცეული საბჭოთა ბიბლიოთეკები მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ, რადგან მათი თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ საკუთარი ხელით დაეზიანებინათ (ამოეხიათ ფურცლები ან ტუშით ჩაეშალათ გვარები) ის ბეჭდური ერთეულები, რომელთა შენახვა და დაცვა მათი პირდაპირი მოვალეობა იყო. გამოცემათა შესწორების წესები სსრკ მთავლიტის მიერ შედგენილი ცირკულარით რეგულირდებოდა [3].

სსრკ მთავლიტი. ცირკულარი №8. 1949 წ. 7 სექტემბერი. ქ. მოსკოვი.

ყველა სამხარეო და საოლქო მთავლიტებს

ადგილებიდან შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით განვმარტავთ:

გამოცემათა შესწორება, რომლებიც შეიცავენ იმ პირთა წინასიტყვაობას, ბოლოსიტყვაობას, ბიბლიოგრაფიას, სტატიებს და პორტრეტებს, რომელთა ყველა ნაწარმოები ამოღებულია, არ მოითხოვს სსრკ მთავლიტის სპეციალურ მითითებას და ხდება უშუალოდ ბიბლიოთეკების თანამშრომელთა მიერ.

შესწორებები შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წინასიტყვაობა, ბოლოსიტყვაობა, ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები (ბიბლიოგრაფია), სტატიები ან პორტრეტები ამოიღება თავისუფლად, წიგნის ძირითადი ტექსტის დაუზიანებლად.

ზემოაღნიშნული მასალების ამოღებისას აუცილებელია წაიშალოს შესატყვისი ადგილები სატიტულო ფურცლებზე, სარჩევი და, თუ აუცილებელია, წიგნის ყდაზე, აგრეთვე უნდა დაიტუშოს ყველა სქოლიო ამოჭრილ სტატიებზე და მისი ავტორის გვარზე.

წიგნებიდან ამოღებული ფურცლები ბარდება სპეცფონდებს, ხოლო იმ ბიბლიოთეკებში, სადაც სპეცფონდები არ არის, ნადგურდება დაწვის საშუალებით და მათზე სათანადო

აქტის შედგენით.

აკრძალულია სსრკ მთავლიტის განკარგულების გარეშე დამოუკიდებლად შესწორებების შეტანა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებში, საკ. კ. პ. (ბ), ალკკ, კომინტერნის და პ. ს. ც. ყრილობების სტენოგრაფიულ ანგარიშებში და აგრეთვე ყველა წლების გამოცემების ენციკლოპედიურ ლექსიკონებში.

სსრკ მინისტრთა საბჭოს რწმუნებულის მოადგილე პრესაში სამხედრო და სახელმწიფოებრივ საიდუმლოებათა დაცვის ხაზით პ. ობუხოვი

პირველად ლიტერატურის სპეცდაცვა მოიხსენიებოდა 1924 წელს გამოქვეყნებულ ინსტრუქციაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ნ. კრუპსკაია, პ. ლებედევ-პოლიანსკი და მ. სმუშკოვა. მასში ნათქვამია: „ცენტრალურ ბიბლიოთეკებში უნდა დარჩეს ამოღებული მავნე და კონტრრევოლუციური წიგნების არა უმეტეს ორი ცალისა, რომლებიც უნდა ინახებოდეს განსაკუთრებულად დაკეტილ კარადებში და გაიცეს მხოლოდ სამეცნიერო და ლიტერატურული მუშაობისათვის „ [6].

XX საუკუნის 30-იან წლებში სპეციალური დაცვის ფონდები შეივსო ე. წ. „ტროცკისტული“ წიგნებით. ლევ ტროცკი, რომელიც ერთ-ერთი ინიციატორი იყო წიგნების (და არა მარტო წიგნების) რეპრესიებისა, შემდეგ თვითონვე გახდა გადამწყვეტი ფაქტორი წიგნების განადგურების კამპანიისა. საკმარისი იყო რომელიმე ნაბეჭდ ერთეულში ლ. ტროცკის ან სხვა ოპოზიციონერის (გ. ბუხარინი, ზინოვიევი და ა. შ) სახელი ხსენებულიყო, იგი აუცილებლად მოხვდებოდა რეპრესირებული წიგნების სიაში. ამ ნიშნით, ფაქტობრივად, სპეცფონდში გადავიდა 20-იანი წლების თითქმის მთელი პარტიული ლიტერატურა, მათ შორის თვით ლენინის, მარქსისა და სკკპ ცკ-ს წევრების ნაწარმოებებიც კი. ასეთმა ვითარებამ განაპირობა ის, რომ სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს კოლეგიამ 1932 წლის 4 ოქტომბერს მიიღო დადგენილება, რომელშიც შეცდომად მიიჩნევადა საბიბლიოთეკო ფონდების დაყოფას გახსნილ და დახურულ ნაწილებად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპეცფონდები სსრ კავშირში არა თუ გაუქმდა, არამედ მომდევნო წლებში პარტიული ხელისუფლების ბრძანებების შესაბამისად

უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა. აღნიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში თვით ხელისუფლება ცდილობდა წიგნების „დაპატიმრებებით“ ეშხში შესული ბიბლიოთეკარების შეჩერებას. განათლების სახალხო კომისრისა და საქართველოს მთავლიტის უფროსის ბრძანებაში №150 (4/VII 1935) ნათქვამია, რომ ზოგ ბიბლიოთეკაში „ტროცკისტულ-ზინოვიევიური“ ლიტერატურის ამოღებასთან ერთად პრაქტიკულად მიმდინარეობს საბიბლიოთეკო ფონდების ნებადაურთველი და უკონტროლო წმენდა-განადგურება. ამიტომ ფონდები უნდა გაინმინდოს მხოლოდ და მხოლოდ მთავლიტის მიერ შედგენილი სიების მიხედვით და არა პირადი შეხედულებებისამებრ.

1937 წელს სკკპ(ბ) ცკ-მ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც მთავლიტს აეკრძალა ლიტერატურის ამოღება ცკ-ს სანქციის გარეშე.

40-50-იან წლებში ბიბლიოთეკების სპეცფონდების შევსება გრძელდებოდა მმართველი ხელისუფლების მენტალიტეტის შესაბამისად, 70-იან წლებში კი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და დაემატა საბჭოთა კავშირიდან გაძევებული დისიდენტების ლიტერატურა [5].

სპეცფონდების შემადგენლობა თემატური თვალსაზრისით მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა. თუმცა გარდა პოლიტიკურისა, წიგნები მასში ხვდებოდა სხვადასხვა ნიშნის მიხედვითაც. მაგალითად, ხელისუფლება მკაცრად ზღუდავდა რელიგიურ ლიტერატურას, იკრძალებოდა ემიგრანტული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, პორნოგრაფიული მასალა. უმთავრესი აქცენტი კი, რა თქმა უნდა, გადატანილი იყო პოლიტიკურ მოტივზე.

რეპრესირებულ წიგნებს ედებოდათ სპეციალური ნიშანი, გეომეტრიული ფიგურების - ექვსკუთხედის ან სამკუთხედის გამოსახულებები. ორმაგი ნიშანი ნიშნავდა, რომ მოცემული წიგნი განსაკუთრებულად გასაიდუმლოებულ დაცვას ექვემდებარებოდა.

სპეცფონდების შექმნამ, გარკვეულად, გადაარჩინა კიდევ ბევრი ერთეული მლიან ფიზიკურ განადგურება. ვინაიდან სპეცფონდებში გადატანილი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წაკითხვა მოსახლეობას თავისუფლად აღარ შეეძლო, გაქრა მათი მთლიანად განადგურების საჭიროებაც. მეტიც, რეპრესირებულ ლიტერატურას ცალკე

ინახავდნენ და მათთვის სპეციალურ კატალოგებსაც ადგენდნენ.

საბჭოთა ხელისუფლება სპეცფონდთან დაკავშირებულ მასალებს ასაიდუმლოებდა, ხოლო აუცილებლად გამოსაქვეყნებელ ინსტრუქციებსა და დებულებებს, შესაძლებლობის მიხედვით, ნიღბავდა. სპეცფონდთან დაკავშირებული დოკუმენტები მნიშვნელობათა მიხედვით აღნიშნული იყო გრიფებით: „საიდუმლოდ“, „იგზავნება სიით“, „სამსახურებრივი დანიშნულებისათვის“, „ბიბლიოთეკებისა და სავაჭრო ქსელის მუშაკთათვის“. ტერმინი „რეპრესირებული“, ფაქტობრივად, არ გამოიყენებოდა. რეპრესირების მხოლოდ საწყის ეტაპზე (20-40-იან წლებში) გამოიციმოდა ბრძანებები მიზნის შესატყვისი ტექსტით. მომდევნო ათწლეულებში რეპრესირების ტექნიკა უფრო „დაიხვეწა“ და მას ეწოდა „მოდველებული ლიტერატურის ამოღება“.

მთავლიტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვით საქმეში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველოს მიერ წინასწარ შედგენილ სიებში საერთო მოხმარების ფონდებიდან ამოსაღები ტექნიკურად მოძველებული წიგნების გარდა, სწორედ პოლიტიკურად არასაიმედო (საბჭოთა ხელისუფლების თვალთახედვით) წიგნების ამოღება იყო გათვალისწინებული. „პოლიტიკურად მავნეს“ და „არასაიმედოს“ სტატუსი კი წიგნებს ენიჭებოდა შიდაპოლიტიკური ბრძოლებისა და საერთაშორისო ვითარების ცვლილებების შესაბამისად. გრიფით „საიდუმლოდ“ დაწესებულებებში იგზავნებოდა სიები, რომლებშიც პირდაპირ იყო ჩამოთვლილი იმ პერიოდისათვის საბჭოთა ხელისუფლებისთვის მიუღებელი წიგნები, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერთ-ერთი ბრძანება:

Приказ №79(3)

уполномоченного СНК СССР по охране военных тайн в печати и начальника Главлита. 26 января 1939 г. Москва. – М., 1939. – (Не подлежит оглашению).

Приказываю: Изъять из книготорговой сети и библиотек общественного пользования следующие книги и сборники... [წიგნების სია].

Уполномоченный СНК СССР по охране военных тайн в печати и Начальник Главлита РСФСР Н. Садчиков.

ინსტრუქციაში [1] მითითებულია:

„გასარიცხი ლიტერატურის შერჩევის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ. თითოეული წიგნი განხილული უნდა იქნეს შინაარსის მიხედვით. ბიბლიოთეკებიდან უნდა გაირიცხოს იდეურ-პოლიტიკურად, მეცნიერულად და სანარმოო თვალსაზრისით აშკარად მოძველებული წიგნები, ბროშურები და სხვა გამოცემები, ასე მაგალითად:

ა) სხვადასხვა პოლიტიკურ, სამეურნეო კამპანიებთან, აგრეთვე, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებთან დაკავშირებით, წინა წლებში გამოცემული და ამჟამად მოძველებული სააგიტაციო მასობრივი ლიტერატურა.

ბ) სკკპ მე-20 ყრილობამდე გამოცემული მასობრივი პოპულარული ბროშურები, რომლებშიაც რევოლუციური თეორიისა და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის საკითხები დოგმატურადაა გაშუქებული (პუნქტი 6)....“

ინსტრუქცია [2]:

„საოლქო (რესპუბლიკურ) ბიბლიოთეკებში, რომლებსაც სათანადოდ გაფორმებული სპეცფონდი აქვთ, ამასაღები წიგნი ორი ეგზემპლარი გადაეცემა სპეცფონდს... (პუნქტი 15);

მკაცრი საცენზურო პოლიტიკის მსხვერპლი გახდა ისეთი ცნობილი გამოცემა, როგორცაა გიორგი ბაქრაძის მიერ შედგენილი წიგნი „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945“. იგი 1947 წელს დაიბეჭდა 2150 ტირაჟით და გამოსვლიდან ერთ წელიწადშივე აიკრძალა საქართველოს მთავრობის 1948 წლით დათარიღებულ განკარგულებაში საქ. სსრ წიგნის პალატისა და საქწიგნის დირექტორებისადმი ნათქვამია: „სსრკ კავშირის მთავლიტის ბრძანებით წიგნი - „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია. 1819-1945“, - შედგენილი გ. ბაქრაძის მიერ გ. ი. ეგნატაშვილის რედაქციით, ამოღებულია ხმარებიდან. აცნობეთ თქვენდამი დაქვემდებარებულ წიგნის სავაჭრო მაღაზიებს და სანყობებს, რათა მიღებული წიგნები სასწრაფოდ დააბრუნონ თბილისში. შეგროვილი წიგნები ჩააბარეთ საქართველოს სსრ წიგნის პალატას“.

არქივში დაცულია გიორგი ბაქრაძის 1950 წლით დათარიღებული განცხადება წიგნის პალატის დირექციისადმი, სადაც იგი ითხოვს გადასცენ მისი წიგნის ათი ეგზემპლარი, რათა მან შეძლოს მისი ხელმეორედ გამოცემა. დროის გადასახედიდან გულუბრყვილოდ

ჩანს ცნობილი ბიბლიოგრაფის თხოვნა, რადგან მის წიგნს არათუ მეორედ დაბეჭდვა, არამედ მომდევნო წლებში დევნის ახალი ტალღა მოჰყვა. 1954 წელს გ. ბაქრაძის ზემოხსენებული ბიბლიოგრაფიის 642 ცალი გადაეცა ე. წ. „უტილნედლეულს“ გასანადგურებლად. დღეისათვის გ. ბაქრაძის დასახელებული ნაშრომი ბიბლიოგრაფულ იშვიათობად არის ქცეული.

სპეცფონდები იქმნებოდა მსხვილ ბიბლიოთეკებსა და წიგნსაცავებში, სადაც იგზავნებოდა მცირე ბიბლიოთეკებიდან ამოღებული ლიტერატურაც. საქართველოში ასეთი ფონდები შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატაში (ძირითადი პუნქტი), საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (მაშინ, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა), მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო და სასწავლო ბიბლიოთეკებში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივ-მუზეუმში ინახება სპეცფონდთან დაკავშირებული რამდენიმე დოკუმენტი:

საიდუმლოდ

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორს, - საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, - წიგნის პალატის დირექტორს -

გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ ცკ კპ(ბ) დადგენილების თანახმად, თქვენი ორგანიზაციების ბიბლიოთეკებში უნდა გამოიყოს მთავლიტის ბრძანებით მოხმარებიდან ამოღებული კონტრევოლუციური წიგნებისა და ბროშურების ორ-ორი ეგზემპლარი (თითოეული გამოცემიდან).

ამასთან ერთად, გაგაცნობთ მითითებული ლიტერატურის შენახვისა და გამოყენების წესებს: ლიტერატურა სავალდებულო წესით უნდა ინახებოდეს სპეციალურ, დალუქულ სათავოსში და მისთვის უნდა შედგეს ცალკე კატალოგი. მითითებული ლიტერატურის გამოყენების უფლება უნდა გასცეს მხოლოდ ორგანიზაციის დირექტორმა. წიგნების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ადგილზე და ზუსტად უნდა აღინუსხოს, თუ ვინ, რა დროიდან და რა დრომდე იყენებდა ამ ლიტერატურას.

ამ განკარგულების შესრულება გაკონტროლდეს მთავლიტის მიერ.

საქართველოს სსრ მთავლიტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი: №

საქ. სსრ ლიტერატურისა და გამომცემლობათა საქმის მთავარი სამმართველო. მთავ-
ლიტი. 11/IX 1938 წ.

(თარგმანი რუსულიდან).

აღსანიშნავია, რომ სპეცფონდში სამუშაოდ
ინიშნებოდნენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფ-
ლებისთვის სანდო ადამიანები და მათ საკ-
მაოდ მაღალი ანაზღაურება ენიშნებოდათ.
საბჭოთა რესპუბლიკებში განსაკუთრებული
პრივილეგიებით სარგებლობდნენ იმ ეროვნე-
ბის ადამიანები, რომლებიც ამ რესპუბლიკის
ძირითად ეროვნებას არ წარმოადგენდნენ,
კერძოდ, საქართველოში: რუსები, სომხები
და სხვა.

სრულიად საიდუმლოდ

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარს
ამხ. №-ს

ცკ კპ(ბ)-ს დადგენილების (4/X-1938 წ.) სა-
ფუძველზე სახელმწიფო საჯარო ბიბლიო-
თეკაში შეიქმნა ამოღებული ლიტერატურის
სპეცსაცავი. ამავე საკითხზე არსებობს ასე-
ვე მოსკოვიდან მთავლიტის სპეციალური მი-
თითება.

ამისათვის, როგორც ცნობილია, აუცილე-
ბელია სპეციალური მაღალკვალიფიციური
და სანდო თანამშრომელი, რომელმაც იცის
ენები. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის
დირექციამ ამ სამუშაოსათვის გამოყო მა-
ღალკვალიფიციური თანამშრომელი ქალი,
რომელიც აკმაყოფილებს ზემოხსენებულ
მოთხოვნებს...

... ზემოხსენებულის საფუძველზე, სახელ-
მწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ითხოვს, უფ-
ლება მიეცეს ამხ. №-ს, იმუშაოს დილით და
სალამოს სამტატო ერთეულების ცვლილე-
ბის გარეშე, სპეცსაცავისათვის შესაბამისი
ანაზღაურებით 300 მან. თვეში, გარდა თავი-
სი ძირითადი ხელფასისა.

სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის დი-
რექცია: (№)

5.II. 1939 წ.

(თარგმანი რუსულიდან).

40-იანი წლებიდან ცალკეულ ბრძანებებ-
თან ერთად ბიბლიოთეკებს ეგზავნებოდათ
ძირითადი ფონდებიდან ამოსაღები წიგნების

სხვადასხვა ტიპის ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, მაგალითად:

ალფაბეტური სია მოძველებული გამოცე-
მებისა, რომლებიც არ უნდა იყოს გამოყენე-
ბული საზოგადოებრივი სარგებლობის ბიბ-
ლიოთეკებსა და წიგნით სავაჭრო ქსელში.
- თბ., 1949. - 103 გვ. - ტექსტი ქართულ და
რუსულ ენებზე. - (рассылается по списку).

ნაკრები ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი
მოძველებული გამოცემებისა, რომლებიც არ
უნდა იყოს ხმარებაში საზოგადოებრივი სარ-
გებლობის ბიბლიოთეკებსა და წიგნის სავაჭ-
რო ქსელში. - თბ.: სახელგამი, 1954. - 74 გვ.
- (იგზავნება სიით).

ნაკრები ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი
მოძველებული გამოცემებისა, რომლებიც
არ უნდა იყოს ხმარებაში საზოგადოებრივი
სარგებლობის ბიბლიოთეკებსა და წიგნის სა-
ვაჭრო ქსელში. - თბ.: საქ. სსრ სახელმწიფო
წიგნის პალატის გამოცემა, 1960. - 87 გვ. -
(იგზავნება სიით).

Алфавитный список устаревших изданий,
не подлежащих использованию в библиотеках
общественного пользования и книготорговой
сети. - М.: Изд. всесоюз. книж. палаты,
1948. - 310 с. (Рассылается по списку).

Сводный список политической вредной
литературы, не вошедшей в несекретные
Списки устаревших изданий - М., 1949. - 15
с. (Секретно).

Сводный библиографический указатель
устаревших изданий. - М.: Изд. всесоюз.
книж. палаты, 1951. - 304 с. (Рассылается
по списку).

გარდა ერთიანი ტომებისა, ყოველწლიუ-
რად გამოიცემოდა და შესაბამის უწყებებში
სიით იგზავნებოდა ბიბლიოთეკებიდან და სა-
ვაჭრო ქსელიდან ამოსაღები წიგნების პერი-
ოდული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები.

50-იანი წლებიდან დაიწყო სპეცფონდები-
დან წიგნების შერჩევითი ამოღება და საერ-
თო მოხმარების ფონდებში დაბრუნება. რე-
აბილიტირებული წიგნები თემატურად მრავალ-
ფეროვანი იყო და ძირითადად მოიცავდა
20-30-იანი წლების გამოცემებს. სპეცფონ-
დების გადარჩევა გრძელდებოდა მომდევნო
ათწლეულებშიც. უმეტეს შემთხვევაში, იშ-
ვიათი გამონაკლისის გარდა, საერთო სარ-
გებლობის ფონდებში დაბრუნებული წიგნები
რეაბილიტაციის მომენტისათვის ძველი - და-

ახლოებით 30 წლის წინანდელი გამოცემები იყო. რეაბილიტირებული წიგნებისთვისაც გამოიცემოდა ბრძანებები შესაბამისი სიებით, რომლებშიც კონკრეტულად იყო მითითებული ბიბლიოთეკებში დასაბრუნებელი წიგნების დასახელებები:

Список книг, подлежащих возвращению в общие фонды библиотек. – М.: Изд. Всесоюз. книж. палаты, 1964. – (рассылается по списку).

Приказ Начальника Главного управления по охране государственных тайн в печати при Совете министров СССР [№№...] и Список книг, подлежащих передаче в общие фонды библиотек Главного управления по охране государственных тайн в печати при Совете министров СССР. – М., [1968-1972]. – (для служебного пользования).

სპეცფონდის მოცულობა დამოკიდებული იყო თვით ბიბლიოთეკების ფონდების სიდიდეზე. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელიც მარაგდებოდა არა მარტო ადგილობრივი, არამედ სსრ კავშირის ცენტრალური ქალაქების ბეჭდური ერთეულებით, სპეცფონდი მნიშვნელოვანი მოცულობისა იყო. საქართველოს ყოფილ სახელმწიფო წიგნის პალატაში კი, როგორც ცნობილია, ძირითადად ინახებოდა ეროვნული გამოცემები, ამიტომ აკრძალული დოკუმენტებიც შედარებით მცირე იყო. იმის გამო, რომ პერიოდულად ხდებოდა ზოგიერთი წიგნის რეაბილიტაცია (ან პირიქით), სპეცფონდის შემდაგენლობაც იცვლებოდა.

სპეცფონდების სალიკვიდაციო სამუშაოები დაიწყო 1987 წლიდან და 1991 წლისთვის საბჭოთა კავშირთან ერთად შეწყვიტა არსებობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სპეცფონდი გაიხსნა და ლიტერატურა დუაბრუნდა ძირითად ფონდებს. 2006 წელს, როდესაც გაუქმდა საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა და მისი ფონდები ეროვნულ ბიბლიოთეკას გადმოეცა, აღმოჩნდა, რომ ყოფილ წიგნის პალატაში ცალკე იყო გამოყოფილი სპეციალიზებული ფონდის კოლექცია. ამ პერიოდისათვის იგი მოიცავს 874 დოკუმენტს, აქედან:

ქართული წიგნები - 601;

რუსული წიგნები - 212;

სხვადასხვა ენაზე (აზერბაიჯანულ, სომხურ, ბერძნულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე) - 61.

ეროვნული ბიბლიოთეკის გადაწყვეტილებით, ყოფილი წიგნის პალატის სპეცფონდი თავისივე კატალოგით შენარჩუნდა ცალკე კოლექციის სახით, როგორც თვალსაჩინო ნიმუში ჩვენი ქვეყნის ავტენტი ნარსულისა.

სპეცფონდის კოლექციაში შესული წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერილობები შესულია ქართული წიგნების ელექტრონულ კატალოგში. ისინი აღინიშნება ლიტერით SP და მათი იდენტიური ბეჭდური ერთეულების მსგავსად, რომლებიც დაცულია საერთო სარგებლობის ფონდებში, ხელმისაწვდომია ეროვნული ბიბლიოთეკის ნებისმიერი მკითხველისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

ინსტრუქცია სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოების და ორგანიზაციების ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდებიდან მოძველებული ლიტერატურის გარიცხვის წესის შესახებ სახელმძღვანელო მასალების კრებული საბიბლიოთეკო მუშაობის საკითხებზე. - თბ., 1960. - გვ. 50-56.

ინსტრუქცია მასობრივი ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის ამოღების წესის შესახებ: დამტკიცებულია საქ. სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს მიერ; მეთოდური მასალები მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად: გამოშვება პირველი. - თბ., 1956. - გვ. 45-54.

სსრკ მთავალიტი. ცირკულარი №8, 1949 წ. 7 სექტემბერი, ქ. მოსკოვი. მეთოდური მასალები მასობრივი ბიბლიოთეკების დასახმარებლად: გამოშვება პირველი. - თბ., 1956. - გვ. 55-56.

Главлит Литературная энциклопедия: в 11 т., 1929-1939; Т.2. – М.: Изд-во Ком. Акад., 1929. – с. 543-546 იგივე: <http://feb-web.ru/feb/litenc/encyclop/le2-5432/htm>

Джимбинов С. Эпитафия спецхрану?...//Новый мир. – 1990. -№5 იგივე: <http://www/lib.ru/POLITOLOG/s-specchran/txt>

Крупская Н., Лебедев-Полянский П., Смушкова М. Всем Зав. Нуб. и Уоно, Губ. и Уполитпросветам, Облитам, Гублитам и Отделам ГПУ: Инструкция по пересмотру книжного состава библиотек / Председатель ГПП Н. Крупская, Зав. Главлитом П. Лебедев-Полянский, Председатель ЦБК М. Смушкова //Красный библиотекарь. – 1924. - №1 (4), январь. – с. 135-137.

Лютова К. В. Спецхран библиотек Акадემим Наук. – СПб.: Изд-во БАН, 1999. იგივე <http://vivovoco.rsl.ru/VV/BOOKS/LUTOVA/CONTENT/HTM>

ქართული მწერლობა

იური სიხარულიძე

სვიმონ ეფრათელი

ეფრათი ზემო მაჭახელის (ძველი მიჭიხიანი) მშვენიერი სოფელია, რომელსაც წარსულში დიდი კულტურული ტრადიციებიც მოსდგამდა.

ამ ტრადიციებს აგრძელებდა XVI საუკუნის საეკლესიო მოღვაწე და მწერალი სვიმონ ეფრათელიც. წარმოშობით სვიმონი დიობნელია. (სოფელი იმერხევში) „ძირით მთით კარჩხალთაით“.

დიობნელ ღვთისმოსავ კაცს თავის სამოღვაწეოდ ეფრათის განთქმული ტაძარი აურჩევია. ოსმალთა მოძალების გამო ეფრათელს მოღვაწეობის გაგრძელების საშუალება აქ აღარ მისცემია და ოდიშს გადასულა.

ამ მხარეში მწერალი დიდად განათლებულ და ზნეობრივად მაღალ ბედიელ მიტროპოლიტს გერმანე ჩხეტიძეს მიუწვევია.

ბედიის დიდებული ტაძარი (ოჩამჩირის რაიონი) ბაგრატ მესამემ ააგო X-XI საუკუნის მიჯნაზე და მის დროსვე იქცა ქართული კულტურის ერთ-ერთ უთვისაღსაჩინოეს კერად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

XVI საუკუნე საქართველოს დაქცევის ხანა იყო, მაგრამ ეს ავბედობა მეტწილად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბოხოქრობდა და ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში ჯერ კიდევ არც ისე მწვავედ იგრძნობოდა.

ამან განაპირობა სწორედ სვ. ეფრათელის თანხმობა ბედაში დამკვიდრებაზე.

არ შეიძლება იმ დროის ეფრათელ მოღვაწეებს არ სცოდნოდათ, კულტურის რა დონის ცენტრი გახლდათ მაშინ ბედა. გონიერი მწერალი შეუძლებელია სულიერად არ შეეძრა ბედიის ტაძრის ბაგრატის ფრესკას, მისი საფლავის ლოდს და სხვა სიძველეებს.

ბაგრატ III ფრესკა ბედიის ტაძარში საეკლესიო მოდელით ხელში სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული და თავისი მხატვრული სიდიადით ყოველ ჭეშმარიტ დამკვირვებელზე ახდენდა წარუშლელ შთაბეჭდილებას.

საქართველოს გამაერთიანებელ მეფეს არაერთი უშესანიშნავესი ტაძარი აუგია, მაგრამ ბედიისა მაინც გამორჩეულია. და ეს არა მარტო ხუროთმოძღვრული თავისებურებებით, არამედ ამ მშენებლობის პოლიტიკური გააზრებით. საინტერესოა, რომ ტაოში დაბადებულმა და აღზრდილმა მეფემ მისთვის ეგზომ ძვირფასი ფანასკერტი

(სადაც აღესრულა კიდევ სრულიად მოულოდნელად) ან ქუთაისი (სადაც სამეფო ტახტი ედგა) კი არ აირჩია სამუდამო განსასვენებლად, არამედ ბედა. ამ უპრეცედენტო მაგალითით მან შთამომავლებს ბევრი რამ უთხრა.

ბაგრატ III-ის სახეს და XVI საუკუნის მეორე ნახევრის ბედიელ მოღვაწეთა მაღალკულტურულ დასს არ შეიძლება ახალი ენერგიით არ აღევსო სამხრეთელი მოღვაწე და ისიც ჩვეული მონდობით შედგომია გვიან შუა საუკუნეთა ეროვნული კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლის გადარსებას, როგორც „გულანი“ იყო.

ამ ძეგლმა უკვდავყო კიდევ სვიმონ ეფრათელი საუკუნოდ.

ჯერჯერობით არ ვიცით, სხვა რომელი ძეგლები გამოვიდა მისი ხელიდან, მაგრამ ეს ერთიც საკმარისია მისი, როგორც მწერლის შემოქმედების წარმოსადგენად.

სვ. ეფრათელი და მისი ცხოვრება-შემოქმედება დღემდე თითქმის შეუსწავლელია.

ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი ახალგაზრდა ფილოლოგები დაინტერესდებიან ამით და სპეციალურ გამოკვლევას მიუძღვნაინ უსამართლოდ მივიწყებულ ამ ჩუმ, ნაყოფიერ და ჩინებულ მოღვაწეს.

ამ საქმეს საფუძვლად უნდა დაედოს როგორც ეფრათის, ისე ბედიის კულტურული ცენტრების საფუძვლიანი შესწავლა, ასევე იმ „გულანის“ შესწავლაც, რომელსაც ასე დიდი ენერგია შეაღწია ჩვენმა დიდებულმა მოღვაწემ.

მოსახილავია მწერლის მშობლიური დიობანიც, სადაც ის დაიბადა და აღიზარდა. სვიმონ მწერალი დიობნელ კეთილშობილთა სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო, რომელმაც თავისი ცხოვრების პირველი ნაწილი მაჭახლის ხევში გაატარა, ხოლო მეორე - ბედაში, სადაც, ეტყობა, აღესრულა კიდევ.

ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სამხრეთ საქართველოს ავბედობის ყამის სახელოვანი შვილების საფლავებით მოფენილია არა მარტო დასავლეთი საქართველო (გურია, ოდიში, იმერეთი), არამედ აღმოსავლეთიც (ქართლი, კახეთი).

ჩვენი ვალაია გამოვავლინოთ და შევისწავლოთ ეს წმინდა საძვალენი - ქართველ პატრიოტთა სამარადისო სავანენი.

ტერმინოლოგიური ძიებანი

ბადრი ცხადაძე

ნიგნმცოდნეობით პალეოგრაფიული ტერმინები ქართულში: კოფრჩხილოვანი || კოფ-ფრჩხილოვანი

ძველ ქართულში, კერძოდ, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ეს ტერმინი არ ჩანს. მას არ იცნობს ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონები [1], [2], ასევე სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაც“ [3]. იგი ლექსიკონში არ შეუტანია ნ. ჩუბინაშვილსაც, როგორც სალექსიკონო ერთეული [4]. მას, როგორც ნიგნმცოდნეობით - პალეოგრაფიულ ტერმინს, არ განიხილავენ ი. ჯავახიშვილი [5], მზ. სურგულაძე [6]. ნ. ჩუბინაშვილი კოფრჩხილოვანს თუმცა თავის ლექსიკონებში, როგორც დამოუკიდებლად არსებულ სიტყვას, სალექსიკონო ერთეულს, არ იმონებებს, მაგრამ მას რომ კარგად იცნობს და მისი შინაარსიც იცის, ჩანს მისივე განმარტებიდან: Тарабарский „ტარამარა“ ლაპარაკი, კოფრჩხილოვანი ნაწერი [7, 545]. „ტარამარა“ ანუ „ნარამარა“ ლაპარაკი და ნაწერი ცუდს, ცუდ ნაწერს ნიშნავს, ან კიდევ: იმავე ლექსიკონში ავტორი რუს. каракуля-ს ორნაირად განმარტავს: პირველი და ძირითადი მნიშვნელობით იგი „დაბალ გამრუდებულ ხეს“ აღნიშნავს, გადატ. „აჩხაბაჩხადა, კოფრჩხილოვანად ნაწერს ახალი მოსწავლისაგან“ [7, 428]. ახალი მოსწავლე აქ დამწყებს, გაუნვრთნელს, წერაში გამოუცდელს, გაუნაფავ მოსწავლეს გულისხმობს. ასეთი მოსწავლის ნაწერი კი მართლაც აჩხაბაჩხაა, არეულ-დარეული ანუ კოფრჩხილოვანი ნაწერი.

დ. ჩუბინაშვილი „კოფრჩხილოვან“ და „კოფ-ფრჩხილოვან“ ფორმას იცნობს. მისი განმარტებით, „კოფ-ფრჩხილოვანი“ (ხელი) ხუცურის ასოებით ჩართული ხელია, письмо ввязью (церковное)“ [8, 626].

როგორც ჩანს, ე. წ. ალორძინების პერიოდის საქართველოში, თუ უფრო ადრე არა, კოფრჩხილოვანი სპეციალური ნიგნმცოდნეობით - პალეოგრაფიული ტერმინი ყოფილა, რომელიც აღნიშნავდა მხედრული (ან

მთავრულ?) ანბანით ნაწერ ტექსტში ნუსხა ხუცური ასოებით ჩართულ სიტყვებს ან წინადადებს, ან ხუცური ასოების ზეგავლენით ტექსტში აქა-იქ გაბნეულ ხელწერას. ასეთი კალიგრაფიული ჩარევა თუ მოვლენა, როგორც ჩანს, ძველად ჩვეულებრივი რამ იყო. შემდგომში მას მისცემია და შეუძენია უარყოფითი შინაარსი: კოფრჩხილოვანი ცუდი ნაწერი, რასაც ნ. ჩუბინაშვილის „განმარტება“ გვიდასტურებს.

ისმის კითხვა: რას ნიშნავს ეტიმოლოგიურად კოფრჩხილოვან||კოფ-ფრჩხილოვანი? რომელია მათგან მართებული და პირვანდელი?

ერთი შეხედვით, კოფ-ფრჩხილოვანში ფ განვითარებული, გვიან გაჩენილი ბგერაა, თუ ეს ასეა, მაშინ იგი რთული აღნაგობის სიტყვა ყოფილა, რომლის პირველი ნაწილი კო შეიძლებოდა რკო სიტყვასთან დაგვეკავშირებინა: კოფრჩხილოვანი ← (რკო-ფრჩხილოვანი) → კოფ-ფრჩხილოვანი. შდრ. გრკო (არქაული წარმოთქმა და დანერობა) → რკო → კო → რ-ს დაკარგვა თავკიდურად, სიტყვის დასაწყისში იშვიათი მოვლენა არაა!.. შდრ. რკინა → კინა, ღრმა → ღმა და მით. მაგრამ ფ ამ შემთხვევაში განვითარებული და ჩართული ბგერა კი არაა, არამედ ფუძისეული: კოფ-ფრჩხილოვანი (დ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვაფორმას შემთხვევით ხომ არ დანერდა?). როგორც ჩანს, სავარაუდებელია პირუკუ პროცესი: ნ. ჩუბინაშვილისეული დანერობა ამ სიტყვისა ახალია, ნეოლოგიზმია, ზეპირმეტყველებით გზით წარმოქმნილი ლექსემაა: კოფ-ფრჩხილოვანი → კოფრჩხილოვანი.

ამრიგად, ეს სიტყვა წარმოშობით კომპოზიტი (თხზული სიტყვა) ყოფილა, რომლის მეორე შემადგენელი ნაწილი ძირძველი ქართული სიტყვა-ფრჩხილია. რაც შეეხება კოფ-ს, იგი იგივე უნდა იყოს, რაც კოფო (ურემ-

თა, მარხილთა და მისთანათა ქალებზედ შემოსაცმელი დანდალი краква, прислов, подпокомник [8,625]. შდრ. კოფა, მცენარის სახელი, რომლის მეორე სახელდებაა (სინონიმი!) მატუკი, დ. ჩუბინაშვილი მატუკ-ს ასე განმარტავს: მატუკი - მცენარე ან მაჭანკალი, СВОДНИК [8,679]. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, კოფრჩხილა *Falcaria vulgaris* ორწლოვანი მცენარეა, ქოლგოსანთა ოჯახისა, იზრდება მინდვრებსა და ბუჩქნარებში; ნორჩ მცენარეს მხლად და მწნილად ხმარობენ [9,1353].

ჩანს, კოფ-ო, კოფ-ა ერთი ძირის შემცველი ლექსემებია, -ო, -ა საწარმოებელი ბოლოსართები. კოფრჩხილოვანი კი კოფოფრჩხილოვანია, ცუდად, არეულად ნაწერი, ისეთივე, როგორც ჭალი ან კოფო ურემზე შემოცმულ-დარჭობილი. მსგავსი მოტივაცია შენარჩუნებული აქვს მცენარის აღმნიშვნელ კოფასაც - იგი მაჭანკალია ანუ შუამავალი ორ საგანს შორის, ისე როგორც კოფრჩხილოვანი განსხვავებული (აჩქარებული ან სხვა ანბანური სახეობა...) ხელით ან ფორმით ნაწერი ძირითად ტექსტში ჩართული.

ამრიგად, კოფრჩხილოვანი კოფო(ა) ფრჩხილოვანი → კოფრჩხილოვანი ქართული წერის ნაირსახეობა „ჭალისებური“, „სოლისებური“ - ძირითად ტექსტში ჩართული ნაწერი

და იმავდროულად ქართული ენის სამყაროში შექმნილი ძველი ნიგნმცოდენობით - პალეოგრაფიული ტერმინი.

მითითებული ლიტერატურა

1. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები) - თბ., 1995.
2. სარჯველაძე ზ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი: (მასალები) - თბ., 1995.
3. ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული: თხზულებანი; ტ. 4 / ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ. - თბ., 1965.
4. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ / ალ. ლლონტის წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. - თბ., 1961.
5. ჯავახიშვილი ი. ქართული დამწერლობათმცოდენობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა. - თბ., 1949.
6. სურგულაძე მზ. ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. - თბ., 1978.
7. ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი: (ორტომეული); ტ. 2 / ალ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით. - თბ., 1973.
8. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა; აღდგენილი ოფსეტის წესით / სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. - თბ., 1984.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: (რვატომეული) / არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. - თბ., 1955.

ბიბლიოთეკების ისტორია

მანონი ხორავა

დედაქალაქის მთავარი ბიბლიოთეკა - 100

მას დედაქალაქის უხუცესი მკითხველები ერთ დროს „პატარა საჯაროს“ უწოდებდნენ, როგორადაც მას ოციან წლებში შეარქვეს. საფუძველი 1909 წელს ჩაეყარა და მერე არაერთხელ შეიცვალა ადგილსამყოფელი და დანიშნულება, ფონდის შინაარსი და მკითხველთა ნაკადები. პირველად მოთავსებული იყო დიდი მთავრისა და კირკის ქუჩების გადაკვეთაში, (ამჟამად კ. მარჯანიშვილისა და დ. უზნაძის ქუჩები) სადაც ზუბალაშვილების სახალხო სახლი გაიხსნა - ბალი, იაფასიანი

ბუფეტი, დასასვენებელი და გასართობი ადგილები, თეატრალური დარბაზი (ამჟამად მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) და ბოლოს ბიბლიოთეკა, რომელიც ახლა დედაქალაქის მთავარ ბიბლიოთეკას წარმოადგენს. ყოველივე ეს გათვალისწინებული იყო ქალაქელი მშრომელებისათვის დასვენება-გართობისა და კულტურული დროის ტარებისათვის.

ამ სიკეთის შემქმნელები იყვნენ ძმები: სტეფანე, ივანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშ-

ვილები. სახალხო სახლის ასაშენებლად ძმებმა 1901 წ. გამოაცხადეს კონკურსი, რომელშიც არქიტექტორ ს. კრიჩინსკის პროექტმა გაიმარჯვა. მშენებლობა 1902 წ. 7 ნოემბერს დაიწყო და 1908 წელს დასრულდა, მაგრამ იგი 1909 წლის 25 მარტს აკურთხეს და საზეიმოდაც გახსნეს. ამ წლის 27 მარტის „დროება“ წერდა: „25 მარტს აკურთხეს ზუბალაშვილების სახალხო სახლი, თუმცა



სახალხო სახლი ორ წელიწადზე მეტია მოქმედებს, მაგრამ მარტო დღისით იმართებოდა წარმოდგენები და ლექციები. ეს სახლი გაანათეს და საღამოობითაც გაიმართება, კურთხევის დღეს ქალაქის გამგეობის განკარგულებით სახალხო სახლის შესასვლელი ყვავილებით და ცოცხალ მცენარეთა გრეხილებით მორთეს: სცენაზე იდგა დიდი სურათი განსვენებული იაკობ კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილისა, რომლის სახსოვრადაც მისმა შვილებმა სახალხო სახლი ააშენეს და ქალაქ ტფილისს მიუძღვნეს. სურათი ცოცხალი ყვავილებით იყო შესრულებული. პირველი საათი იქნებოდა შეიკრიბნენ სხვადასხვა დანესებულებების წარმომადგენლები. პირველად პარაკლისი და პანაშვიდი განსვენებულ ზუბალაშვილის სულის მოსახსენებლად გადაიხადა ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის პატრმა მ. გოზალიშვილმა, შემდეგ პარაკლისი გადაიხადა აგრეთვე ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ეკლესიის მღვდელმა. გალობდა ნამესტნიკის კონვოის ყაზახთა გუნდი, პარაკლისის შემდეგ ქალაქის თავმა ვ.ნ. ჩერქეზიშვილმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა ზუბალაშვილების

სამსახური ტფილისის წინაშე. ქალაქის თავმა განაცხადა: „ზუბალაშვილის გვარეულობა ძველთაგანვე განთქმულია კაცთმოყვარეობით და ქველმოქმედებით... ამას წინათ გარდაცვლილი ი.კ. ზუბალაშვილის შვილებმა ააშენეს ეს მშვენიერი სახლი და ქალაქს უძღვნეს. ამავე ქალაქს შესწირეს 100 000 მანეთი ბავშვთა საავადმყოფოს ასაშენებლად. ქალაქის მცხოვრებთა სახელით გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ბატონთ ზუბალაშვილებს, რომელთაც თავიანთი უხვის შემონირულობით ტფილისში საფუძველი ჩაუყარეს ხალხის განათლება-განვითარების საქმეს, სახალხო სახლი ტფილისისათვის დაუფასებელი განძია...“

ეს „სახლი“ დღეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრია - ჩვენი თეატრალური კულტურის ერთ-ერთი საფუძველი, შენობა კი კულტურული მემკვიდრეობის ხელუხლებ ძეგლს წარმოადგენს, ზუბალაშვილებს გახსნის შემდეგაც არ დაუკლიათ მისთვის ხელი, „დროების“ ცნობით, ქალაქის გამგეობამ მათგან 11.000 მანეთი სახალხო სახლის გასაუმჯობესებლადაც მიიღო.

თბილისის საქალაქო საბჭომ ალ. ხატისოვის თავმჯდომარეობით „ზუბალაშვილების სახალხო სახლში“ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წესდების პროექტი განიხილა. ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მართვა-გამგეობის შესახებ ორი აზრი დაუპირისპირდა ერთმანეთს: საბჭოს წევრების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ეს საქმე უნდა განეგო გამგეობას, მეორეს მიაჩნდა, რომ ეს სახლის მმართველ კომისიას უნდა დაკისრებოდა. საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს საქმე კომისიას ჩაბარდა („დროება“. 1909 წ. 8 აპრილი).

ბიბლიოთეკას ერთი პატარა ოთახი ეჭირა და სამი კაცი ემსახურებოდა: გამგე, ტექნიკური მუშაკი და დარაჯი. მისი არსებობის წყარო ქალაქის მცირე დოტაცია, აგრეთვე ბიბლიოთეკით სარგებლობის გადასახადი, წიგნის დაგვიანებით დაბრუნებისათვის აკრეფილი ჯარიმა და შემონირულობანი იყო. ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გადაცემული ლიტერატურა. ასევე საკმაო რაოდენობით წიგნები

შენირა მას „სიფხიზლის საზოგადოებამაც“. ბიბლიოთეკის პირველი გამგე იყო ევდოკია ტროპი.

1909 წ. ბიბლიოთეკის ფონდში 3.438 წიგნი ირიცხებოდა, 1914 წლამდე ბიბლიოთეკა წელიწადში საშუალოდ ათას-ათას ხუთას წიგნს იძენდა. შემდეგ წლებში ის თანდათან უფრო მნიშვნელოვნად მდიდრდება.

1928 წელს ბიბლიოთეკას შეროზიას ქუჩის მე-2 ნომერში გამოუყვეს ფართობი (ამჟამად ზურაბ ჭავჭავაძის ქ.) და დამატებით - პლენხანოვის პროსპექტის № 103-ში (ამჟამად დავით აღმაშენებლის პროსპექტი). ერთგვარად თითქოს დაებედა მას, რომ მისი ორგანული ნაწილები სხვადასხვა ადგილებში ყოფილიყო განლაგებული, რაც ართულებდა მუშაობას, თუმცა ამის გამო საბიბლიოთეკო საქმიანობა აქ არასოდეს შეჩერებულა, განსაკუთრებით მკითხველთა მომსახურების თვალსაზრისით. ბიბლიოთეკა იმთავითვე გაითავისეს მკითხველებმა. წლითი წლობით იზრდებოდა მათი რაოდენობა, ვითარდებოდა მათთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, იზრდებოდა მოსამსახურეთა რაოდენობა და ფონდები, იხვეწებოდა მომხმარებელთა მუშაობის ხარისხი. ეს კი სულ მუდამ გაზრდილ მოთხოვნილებებს აყენებდა არსებული ფართობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მიმართ, ბიბლიოთეკას დიდხანს მოუწია პლენხანოვისა და შეროზიას კუთხეში 1900 წელს აშენებულ სასტუმროსა და თეატრ „ვეტსელი-სათვის დათმობილი, დიდი და მოხდენილი შენობის დაბალ სართულზე განთავსება, რომლის იატაკიც ზედ ქუჩის პირზე იყო. აგრეთვე სხვადასხვა დროს პირველ სართულზე მოთავსებული იყო სახელმწიფო დაწესებულებები და რესტორანი. ბიბლიოთეკას საკმაოდ მოუხერხებელი სათავსო ეჭირა. არც სხვადასხვა ადგილებში განთავსებული განყოფილებები იყო უკეთეს პირობებში. მიუხედავად ამისა, ამ ბიბლიოთეკას არასოდეს დაკლებია მკითხველი. იგი მათთვის ერთ-ერთ საყვარელ ადგილს წარმოადგენდა. ბიბლიოთეკაც დღითიდღე განიცდიდა რეფორმირებას სტრუქტურისა თუ ორგანიზაციული თვალსაზრისით. შეიქმნა განყოფილებები: აბონემენტის, სამკითხვე-

ლი დარბაზის, საბავშვო, დაკომპლექტების, დამუშავების, საცნობო-ბიბლიოგრაფიული, თბილისმცოდნეობის, ხელოვნების, მეთოდური. 1928 წლიდანვე მიენიჭა მას მაშინდელი დროის ცნობილი რევოლუციონერის პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძის სახელი და ეწოდა „ალ. ჯაფარიძის სახელობის თბილისის საქალაქო მასობრივი ბიბლიოთეკა № 1“.


1933 წლიდან ბიბლიოთეკა გარდაიქმნა „თბილისის მასობრივ სანიმუშო-საჩვენებელ ბიბლიოთეკად“, ხოლო 1944 წლიდან ეწოდა „თბილისის ალ. ჯაფარიძის სახელობის სახელმწიფო სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ და ქალაქის ბიბლიოთეკების მეთოდური ხელმძღვანელობა დაეკისრა. ამან, ფაქტობრივად, ის ცენტრალურ ორგანოდ აქცია, რაც შემდეგში ოფიციალურად დადგინდა კიდევ.

1980-იანი წლებიდან, როდესაც საბჭოთა კავშირში მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია განხორციელდა, ბიბ-



ლიოთეკა იქცა ქალაქის ცენტრალურ დაწესებულებად და ქალაქის სხვადასხვა რაიონებისა და უბნების ბიბლიოთეკები მას ადმინისტრაციულად დაექვემდებარნენ როგორც ფილიალები. ამით ბიბლიოთეკის არა მარტო სტატუსი, მისი ფუნქციებიც გაიზარდა. იგი წარმატებით ართმევდა თავს ამ მოვალეობას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არასოდეს ჰქონია შესაფერისი საბინაო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ პირობებში 60-ზე მეტი ფილიალის გაძღოლა, ისიც საკმაოდ ეფექტურად, უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, იზრდებოდა ქალაქი და მასთან ერთად იზრდებოდა ქსელი. განსაკუთრე-

ლიოთეკა იქცა ქალაქის ცენტრალურ დაწესებულებად და ქალაქის სხვადასხვა რაიონებისა და უბნების ბიბლიოთეკები მას ადმინისტრაციულად დაექვემდებარნენ როგორც ფილიალები. ამით ბიბლიოთეკის არა მარტო სტატუსი, მისი ფუნქციებიც გაიზარდა. იგი წარმატებით ართმევდა თავს ამ მოვალეობას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არასოდეს ჰქონია შესაფერისი საბინაო და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ პირობებში 60-ზე მეტი ფილიალის გაძღოლა, ისიც საკმაოდ ეფექტურად, უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, იზრდებოდა ქალაქი და მასთან ერთად იზრდებოდა ქსელი. განსაკუთრე-



ბულ სირთულეს წარმოადგენდა ახალ უბნებში ახალგაზრდა ბიბლიოთეკების ეფექტურად ამოქმედება. უნდა ითქვას, რომ ეს მაღალორგანიზებულად და მეთოდური თვალსაზრისით საკმაოდ სწორად ხდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ კონტინგენტის უდიდესი ნაწილი ივსებოდა სპეციალობამიღებული მოწინააღმდეგე ახალგაზრდებით, რომლებსაც პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტი ამზადებდა როგორც დღის, ისე საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე. სწორედ ისინი წარმოადგენენ დღესაც ქალაქის საბიბლიოთეკო ქსელის მამოძრავებელ ბირთვს.

1994 წლის მაისში მწერალთა ერთი ჯგუფის წინადადებით საბიბლიოთეკო სისტემის ქალაქის ქსელის ცენტრალურ ბიბლიოთეკას მიხეილ ჯავახიშვილის სახელი ეწოდა.

2006 წ. 9 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის № 637 ბრძანებულების საფუძველზე - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის შექმნის შესახებ“ - ამ ბიბლიოთეკას „ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა“ ეწოდა და ამგვარი სახელწოდებითაც მოიხსენიება იგი დღეს.

2007 წ. მთავარ ბიბლიოთეკას დაექვემდებარა აგრეთვე საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ბიბლიოთეკებიც.

2000-იან წლებში ბიბლიოთეკა დიდ სიძნელეებს განიცდიდა მთელ სისტემასთან ერთად, დაწყებული ე.წ. ოპტიმიზაციის პროცესი, რომელიც რეფორმათა ერთ-ერთი შედეგი იყო, დიდი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. საჭირო გახდა ბიბლიოთეკების შემცირება, დისლოკაცია, შეერთება-გამსხვილება, ფუნ-


ქციებისა და პროფილის შეცვლა. საამისო პირობები კი ჯერჯერობით არ იყო შემზადებული. თვით მთავარ ბიბლიოთეკასაც შეექმნა მეტად სერიოზული პრობლემა: შ.პ.ს. „მასპინძელი“, რომელიც ვითომდაც პატრონი იყო მთელი იმ შენობისა, რომელშიც ბიბლიოთეკა იმყოფებოდა ყოფილ შეროზიას ქუჩაზე, მას გამოსახლებას უპირებდა ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე. მან კიდევ მიაღწია გარკვეულ წარმატებებს საკანონმდებლო ბრძოლაში, მაგრამ აქ უკვე ბიბლიოთეკის დირექციამ საკრებულოსა და მკითხველი საზოგადოების მხარდაჭერით,

დიდი შეუპოვრობა და ორგანიზებულობის მაგალითი გამოავლინა. მკითხველებმა არაერთი აქცია მოაწყვეს ბიბლიოთეკის დასაცავად. როგორც შემდეგ გამოირკვა, შპს „მასპინძელის“ მიერ ჩატარებული პრივატიზაცია ყალბი აღმოჩნდა, თუმცა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას უდიდესი ჯაფა დაადგა, რომ არ დაეთმო ყალბისმქმნელთათვის. ბოლოს საზოგადოების თანადგომით, მერიის მხარდაჭერით, საქართველოს პრეზიდენტის კეთილი ნებით ბიბლიოთეკას გ. ტოვსტონოგოვის ქუჩაზე ახალი ორსართულიანი შენობა გადაეცა პატარა ეზოთი; ბიბლიოთეკა ევროპული სტანდარტებით გარემონტდა, შეიძინა თანამედროვე ავეჯი, ელექტრონული ტექნიკა, რის შედეგადაც საუკეთესო პირობები შეიქმნა საბიბლიოთეკო შრომისა და მკითხველთა მომსახურებისათვის, რაც მთავარია, მოწესრიგდა ქალაქის სხვადასხვა მისამართებზე მიმოფანტული განყოფილებების თავმოყრის საქმე.

მთავარი ბიბლიოთეკა საზეიმოდ გაიხსნა 2008 წლის 12 მაისს, რასაც ქალაქის მერი დაესწრო. დღეს ქალაქს გააჩნია შესანიშნავი მთავარი ბიბლიოთეკა თავისი შენობით, ავეჯითა და მოწყობილობით, მაღალკვალიფიციური კადრით, მაგრამ პერსპექტივაში ჯერ ბევრი რამ აქვს განზრახული ხელმძღვანელობას, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მუშაობის დონესა და გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

100 წლის მანძილზე მთავარ ბიბლიოთეკას ბევრი კარგიც უნახავს და ცუდიც, მაგრამ ის ყოველთვის გამოირჩეოდა წინსვლით,

საქმის გაუმჯობესებით, პროფესიონალობით, კადრების შერჩევითა და შემოქმედებითი მუშაობით. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საქმიანობა, გამოიცემოდა ბიბლიოგრაფიული სიები, მეთოდური მითითებები, ტარდებოდა სემინარები, მასობრივი ღონისძიებები, აქ ბევრმა ახალგაზრდამ მიიღო საჭირო დახმარება, ბევრმა მეცნიერმა ჰპოვა მისთვის საჭირო მეცნიერული მასალა თავისი საკვალიფიკაციო შრომისათვის, ბევრმა მიაღწია თვითგანათლების მაღალ დონეს, განიცადა ესთეტიკური სიამოვნება, მოიპოვა ინფორმაცია, ბევრს საჯაროდ გამოუთქვამს თავისი აზრი, უმსჯელია, უკამათია, ბევრ სიახლეს გასცნობია...



ბიბლიოთეკა ყოველთვის გამოირჩეოდა სწორი ორიენტაციითა და მიმართულების ზუსტად შერჩევით. ამაში დიდ როლს თამაშობდნენ აქ მოღვაწე თავდადებული მუშაკები, გამოცდილი სპეციალისტები, ნამდვილი პროფესიონალები. აქ სხვადასხვა დროს საქმის ხელმძღვანელებად იყვნენ ისეთი დიდი

ორგანიზატორები და სპეციალისტები, როგორც ნიკოლოზ ჭელიძე და გრიგოლ მუხაშაურია. დღეს ამ ბიბლიოთეკას და, მაშასადამე, მთელ საქალაქო ქსელს სათავეში უდგას მათი ღირსეული მემკვიდრე, მაღალი რანგის სპეციალისტი, ნამდვილი პროფესიონალი და გამორჩეული ორგანიზატორი ციალა კალმახელიძე. მისი ხელმძღვანელობით უკვე ბევრი რამ გაკეთდა და იმედია, მომავალში ქ. თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელ რეგიონში.


საბიბლიოთეკო მეთოდოლოგია

რჩევა, როგორ შევინარჩუნოთ მკითხველი ბიბლიოთეკაში

მკითხველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წარმატების ფაქტორი წარმატებული მენეჯმენტის კონცეფცია ანუ პრინციპებია, რომლებითაც ბიბლიოთეკების მენეჯერები უნდა ხელმძღვანელობდნენ.

მკითხველი კმაყოფილია - ეს ბიბლიოთეკებისათვის იმიჯის ყველაზე საუკეთესო რეკლამა და მხარდაჭერაა. საბიბლიოთეკო საქმეში მთავარი მნიშვნელოვანი საკითხია მკითხველის მოთხოვნილებები და მათზე მუშაობა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ბიბლიოთეკების მაღალკვალიფიციური და თავისი საქმით კმაყოფილი მუშაკები - ბიბლიოთეკარები, რომელთაც ისევე სჭირდებათ ყურადღება და მხარდაჭერა, როგორც მკითხველებს.

გერმანიის ქ. ვიურცბურგის საქალაქო ბიბლიოთეკამ არაერთხელ დაიმსახურა წლის საუკეთესო ბიბლიოთეკის ტიტული, რაც ამ ბიბლიოთეკის წარმატებულმა მენეჯმენტმა განაპირობა. აღნიშნული ბიბლიოთეკის დირექტორი ფ. ჰანელოგორი ბიბლიოთეკების მენეჯერებს სთავაზობს წარმატებული მენეჯმენტის პრინციპებს, რომლებიც გამოქვეყნებულია ინტერნეტში მისამართზე: [www.natlib.uz/uzb/DATA/conf—2008%20\(2\).htm](http://www.natlib.uz/uzb/DATA/conf—2008%20(2).htm) - 52 K6



ა) ბიბლიოთეკარები

● ბიბლიოთეკარები ისეთივე მნიშვნელოვანი არიან, როგორც მკითხველები.

● შექმენით სერვისის კულტურა: ყოველ ბიბლიოთეკარს უნდა ესმოდეს, რომ მას მკითხველის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში თავისი წვლილი შეაქვს.

● აამოქმედეთ ყველა თანამშრომელი: ამ ფილოსოფიით უნდა იხელმძღვანელოს ყველამ, დაწყებული მენეჯერიდან დამთავრებული ბიბლიოთეკარებით.

● მომსახურება დააფიქსირეთ წერილობით: მაგრამ არ არსებობს წესები გამონაკლისის გარეშე - ყოველ ბიბლიოთეკარს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევებში, წესები მკითხველის სასარგებლოდ დაარღვიოს.

● დააჯილდოვეთ ბიბლიოთეკარები „უფლებამოსილებით“: განსაკუთრებულ სიტუაციაში ყოველ მათგანს უფლება აქვს საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს, მკითხველთა მოთხოვნილებები გაითვალისწინოს და უკვე დაშვებული შეცდომები გამოასწოროს.

● მოქნილი წესები: მხარი დაუჭირეთ ბიბლიოთეკარებს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებაში.

● ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ამაღლება: გაითვალისწინეთ თქვენი პერსონალის განვითარების პერსპექტივები.

● კომუნიკაცია: მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ურთიერთობის უნარი, პიროვნების მუდმივი განვითარება აუცილებელია.

● წაახალისეთ ლოიალობა: ბიბლიოთეკის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობის მიღების გამო პატივი ეცით როგორც მკითხველებს, ისე ბიბლიოთეკარებს.

● ურთიერთშენაცვლეობა: ბიბლიოთეკარებს უნდა შეეძლოთ, საჭიროების შემთხვევაში, კოლეგების სამუშაო შეასრულონ.

● კადრების როტაცია: ზოგჯერ ბიბლიოთეკარებს დაავალეთ სამუშაო სხვა სფეროებიდან, რათა მათ წარმოადგენა ჰქონდეთ ესა თუ ის სამუშაოები როგორ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული ან ერთმანეთთან შერწყმული.

● მომსახურების მენეჯმენტი: შევუშავეთ ერთ ბიბლიოთეკარს სამუშაო მკითხველების დაუზარებლად.

● გაიღიმეთ: ღიმილი ორივე მხარისთვის სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის.

● წაახალისეთ თანამშრომლები: სისტემატურად და რეგულარულად გამოხატეთ თა-

ნამშრომლების მიმართ მადლიერება, საუბრისათვის ერთადერთი თემა პრობლემები არ უნდა იყოს.

● პაუზა: მკითხველებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება მოითხოვს ენერჯიას, მის აღსადგენად კი დროა საჭირო.

● მუშაობისგან მიიღეთ სიამოვნება: კოლექტივში ხუმრობასა და ტრადიციებსაც აქვს არსებობის უფლება.

● გამოაქვეყნეთ მუშაობის შედეგები: ბიბლიოთეკარებს - მადლობა, მკითხველებს - კომენტარები.

● იპოვეთ ბიბლიოთეკარებს შორის ისეთები, რომლებიც შედარებით კეთილგანწყობილი არიან მკითხველების მიმართ; სხვებისთვის ისინი მაგალითად დაასახელებთ.

● ბიბლიოთეკართა გარეგნული სახე და ატმოსფერო კოლექტივში: როგორ იცვამს პერსონალი? სუფთაა ბიბლიოთეკა? - ყველაფერ ამას მკითხველთა თვალთ შეხედეთ.

● ბიბლიოთეკის მოწყობილობა: ავეჯი და სამუშაო ადგილების მოხერხებულობა (განათება, დიზაინი და ა.შ.).

● წინადადებები გაუმჯობესებისათვის: ნოვატორული აზრები, უპირველეს ყოვლისა, უნდა წარმოადგინონ ბიბლიოთეკარებმა, რომლებიც მკითხველებთან მუშაობენ.

ბ) მკითხველები

● სერვისი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს: მკითხველებმა უნდა იცოდნენ, რომ ბიბლიოთეკა მხოლოდ მათთვის მუშაობს.

● რეალისტური წინადადება: არ დაპირდეთ ძალიან ბევრი.

● „ნაღები“ ანუ მაღალი დონის მომსახურება: შესთავაზეთ სერვისის ისეთი დამატებითი მომსახურება, რომლის მიღების სურვილიც თქვენ თვითონ გაქვთ (24 საათიანი სერვისი, წინასწარ მომზადებული ინფორმაცია და ა.შ.).

● იოლი ხელმისაწვდომობა: ტექნიკასთან და ხელსაწყოებთან მოხერხებული პირობების შექმნა.

● ილაპარაკეთ გასაგებ ენაზე და ერიდეთ პროფესიულ ტერმინებსა და საბიბლიოთეკო ჟარგონებს.

● მკითხველების დახმარების სერვისი ტელეფონით: ერთხელაც დარეკეთ თქვენს ბიბლიოთეკაში - ნამდვილად აღმოგიჩენენ დახ-

მარებას ტელეფონით? თქვენ გესმით, როგორ იღიმება თქვენი მოსაუბრე?

- იმუშავეთ მკითხველებთან: ყოველი კონტაქტი მკითხველს აცნობს ბიბლიოთეკის მუშაობას და ეხმარება მას კარგად გაერკვეს წარმოდგენილ სერვისსა და მომსახურებაში.

- დააკვირდით მკითხველების რეაქციას: სისტემატურად გაეცანით, მკითხველები როგორ აღიქვამენ ამა თუ იმ წარმოდგენილ მომსახურებას (წინადადებები და ჩივილები, სურვილები და ა.შ.) - გამოკითხვის შედეგები გახადეთ ყველასთვის ხელმისაწვდომი.

- მუშაობა მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან: მკითხველების ასაკთან დაკავშირებით იცვლება მათი მკითხველური მოთხოვნილებებიც.

- მიუყვარძობლობა: ყოველ მკითხველს მოეკიდეთ გულთბილად და მიუყვარძობლად, ინდივიდუალურად - ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

- იყავით სამართლიანი: არ არის საჭირო ყოველთვის დაეთანხმეთ მკითხველს, მაგრამ საჭიროა ყოველთვის გეჭიროთ „ერთგვაროვანი ხაზი“.

- იმედის გაცრუება ძნელია - მიანიჭეთ მკითხველს სიამოვნება და ის დაბრუნდება.

- შეთავაზებული მომსახურებებიდან მკითხველმა სარგებლობა უნდა მიიღოს: მას უნდა შევთავაზოთ არა მხოლოდ გულითადი მეგობრობა, არამედ მის მიერ შეკვეთილი სწორი ინფორმაცია.

- ტექნიკა და ახალი ტექნოლოგიები: სწორედ მაღალტექნოლოგიური ხელსაწყოები მოითხოვენ მათთან სწორად მოპყრობის ჩვე-

ვებს; მოეპყარით ამას გაგებით და დაეხმარეთ მკითხველებს.

- ურთიერთობა მკითხველებთან: მკითხველების მიმართ ყოველთვის ყურადღებიანი იყავით, ჰკითხეთ, მათთვის საინტერესო ყველაფერი ხელმისაწვდომია? ხომ არ უნდათ დახმარება?

- გაეცანით მკითხველების მოთხოვნილებებს: გაიგე, რა სახის ინფორმაციის მიღება სურთ, ჰკითხეთ მათი სურვილებისა და მოთხოვნილებების შესახებ - შეიტანეთ ცვლილებები თქვენს მუშაობაში.

- მკითხველები აღიქვი სერიოზულად: ყოველი მკითხველი თავისებურად მნიშვნელოვანია: დაუმტკიცე ეს მკითხველს.

- მკითხველებთან მუშაობის გამოცდილება გამოიყენე საზოგადოებასთან მუშაობისას: რეალურ მკითხველებთან მუშაობის მაგალითები თვალსაჩინოდ წარმოაჩენს შეთავაზებულ სერვისს - დაინტერესებული მკითხველები ამას აფასებენ.

- „მკითხველთა პარლამენტი“ : შექმენით მკითხველთა მხარდამჭერი კავშირი, ჩაატარეთ შეხვედრები მიზნობრივად დიფერენციალურად და ჩართეთ ისინი ბიბლიოთეკის მუშაობაში.

- აგრძობინე მკითხველებს, რომ თქვენ მათთან მუშაობთ და მათზე ზრუნავთ, მაგალითად, სპონსორებთან ელექტრონული გზავნილების ან წერილების საშუალებით.

ტექსტი დაამუშავა ნანა ქავთარაძემ
(საქ. პარლამენტის ეროვნ. ბიბლიოთეკის
წამყვანი სპეციალისტები)



ნატო მჭედლიშვილი
საბიბლიოთეკო მომსახურება
თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში
(აშშ საბიბლიოთეკო პრაქტიკის მაგალითზე)



დღევანდელ პირობებში ახალი ტექნოლოგიების გავლენა საბიბლიოთეკო მომსახურებაზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. ეს საკითხი მსოფლიო საბიბლიოთეკო სისტემაში დიდი ხანია პოლემიკის საგანი გახდა. განსაკუთრებული ინტენსივობით

ინტერნეტი სწორედ საცნობარო-საინფორმაციო მომსახურებაში იჭრება, რაც მის რეორგანიზაციას იწვევს. ამაში ტრადიციული მომსახურების ფორმების შეცვლა და გადახალისებაც იგულისხმება. არსებობს მომხმარებლის სტერეოტიპის

შეცვლის აუცილებლობა ბიბლიოთეკასთან მიმართებაში. მომხმარებელი, სანამ მიმართავს ბიბლიოთეკას (ტელეფონით თუ პირადად), პირველ რიგში, შეეცდება სხვადასხვა საშუალებებით მოიძიოს საჭირო ინფორმაცია (მეგობრებთან, კოლეგებთან და ა.შ.). დღევანდელ პირობებში ინტერნეტი ხელმისაწვდომია მოსახლეობის თითქმის ყველა ფენისათვის. შესაბამისად, ძიების პროცესი მსოფლიო აბლაბუდაში იწყება. რა თქმა უნდა, ინტერნეტში ძიება ყველაზე ხელსაყრელია მომხმარებლისათვის, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძალიან ხშირად ინტერნეტის მეშვეობით მოპოვებული ინფორმაცია ან შეუმომხებელია, ან რეალურ ფაქტს არ შეესაბამება, მიუხედავად ამისა, მომხმარებელი, პირველ რიგში, ინფორმაციის მოძიებას მაინც ინტერნეტში ამჯობინებს, და თუ მისი მოთხოვნილება არ იქნა შესაბამის დონეზე დაკმაყოფილებული, მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს ბიბლიოთეკას.

მეტად პოპულარულია კომერციული საცნობარო ცენტრები (Ask jeeves, Webhelf). ბევრი სპეციალისტი ამ ცენტრების მომსახურების ინფორმაციულ სიზუსტეს ეჭვქვეშ აყენებს. მიუხედავად ყველა უარყოფითი მხარისა, ისინი 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ, რაც მეტად ხელსაყრელია მომხმარებლისათვის. ფინანსური თვალსაზრისითაც ეს მომსახურება გაცილებით იაფია საბიბლიოთეკო მომსახურებასთან შედარებით. კერი ადლერი, რომელიც 34 წელია ამ საქმეს ემსახურება, სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ "ჩვენ კიბერსივრცის ბიბლიოთეკარები ვართ" ("We are yhe libraries cyberspase").

აღიარებენ რა ინტერნეტში კომერციული საძიებო მომსახურების დიდ პოპულარობას, საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები ხაზგასმით აღნიშნავენ ბიბლიოთეკების საცნობო-საინფორმაციო განყოფილებების ეფექტური მუშაობის აუცილებლობას ვირტუალურ გარემოში. მიუხედავად მათი შემოფოთებისა საბიბლიოთეკო მომსახურების და ბიბლიოთეკარის პროფესიის შემდგომი განვითარების გამო, ისინი მაინც მიიჩნევენ, რომ ელექტრონული საუკუნე სთავაზობს ბიბლიოთეკარებს ახალ შესაძლებლობებს მათი პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების რეალიზაციისათვის.

კომერციული საძიებო სისტემებისაგან

განსხვავებით, ბიბლიოთეკარები თავისი მოღვაწეობის მთავარ ამოცანას შემომხებულ და ხარისხიან კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემაში ხედავენ. მათი მოღვაწეობის ეს ფუნქცია უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც მომხმარებელი ინტერნეტში მოძიებული მასალით უკმაყოფილოა. სპეციალისტების აზრით, ბიბლიოთეკარებმა უნდა შეიმუშაონ სასიცოხლო მნიშვნელობის ალტერნატივა, რათა კონკურენცია გაუწიონ კომერციულ საძიებო მომსახურებას ინტერნეტში.

ამასთან დაკავშირებით, სამხრეთ კალიფორნიის შტატის ბიბლიოთეკაში განხორციელდა პროექტი ინტერნეტში 24 საათიანი საცნობო-საინფორმაციო მომსახურებისათვის. ბიბლიოთეკარებს შეასწავლეს კონკურენტუნარიანობის მეთოდები ინტერნეტში ძიებასთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა სპეციალური პროგრამების Cisco/Webline შესწავლას, რომლებიც გამოიყენება Webhelp და სხვა კომერციული საინფორმაციო მომსახურების მიერ ინტერნეტში.

თითოეულ ბიბლიოთეკას აქვს საშუალება გამოიყენოს პროგრამული უზრუნველყოფა იმ ფორმით, რომელიც მისთვის ყველაზე მეტად არის ხელსაყრელი (ბიბლიოთეკის მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე). მაგ. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკები უპირატესობას ანიჭებენ საცნობო-საინფორმაციო მომსახურებას რეალური დროის რეჟიმში, როგორც პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე სტუდენტი ახალგაზრდებისათვის.

თანამედროვე პირობებში საცნობო-საინფორმაციო განყოფილების თანამშრომლების ტრადიციული ფორმით მომსახურებაში გლობალური ცვლილებები მიმდინარეობს. სპეციალისტები ემსახურებიან მომხმარებლებს როგორც ბეჭდური საცნობარო-საინფორმაციო გამოცემებით, ასევე e-mail-ის, chat-ის, skype-ის რეჟიმით ინტერნეტში.

მეტად საინტერესოა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკების ტენდენციები საცნობო-საინფორმაციო მომსახურების სფეროში. ამასთან დაკავშირებით, ამერიკის სამეცნიერო ბიბლიოთეკების ასოციაციამ (The American Association of Research Libraries) ანკეტირების მეთოდით ჩაატარა ბიბლიოთეკარების გამოკითხვა კაროლ ტენოპირის ხელმძღვა-

ნელობით (შტატ ტენესის ქ. ნოქსვილის უნივერსიტეტთან არსებული ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ინფორმატიკის სკოლის პროფესორი). რესპოდენტებს დეტალურად უნდა აღწერათ თავ-თავიანთ ბიბლიოთეკებში განხორციელებული საინფორმაციო მომსახურება ელექტრონული საშუალებებით. ამავე დროს გაეთვალისწინებინათ ბოლო 3 წლის მანძილზე განხორციელებული ცვლილებები მათ განყოფილებაში. ანკეტები შემოვიდა 70 საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკიდან. ყველა ამ ბიბლიოთეკის მიერ მხედველობაში იყო მიღებული როგორც კათედრებზე არსებული ფაკულტეტიური ბიბლიოთეკებით, ისე ტელეფონით მომსახურება, გამოკითხული ბიბლიოთეკარების 85%-მა აღნიშნა შეკითხვების საერთო რაოდენობის შემცირება ფაკულტატურ ბიბლიოთეკებში, ბიბლიოთეკების 99%-ში არსებობს ელ. ფოსტით მომსახურების ტრადიცია, ბიბლიოთეკების 96% შეკითხვის წინასწარი შეკვეთის რეჟიმში ემსახურება მომხმარებელს. მხოლოდ გამოკითხულთა 29%-მა ამჯობინა რეალურ რეჟიმში მომსახურება (ვირტუალური ბიბლიოთეკა). ბიბლიოთეკარები ასევე აღნიშნავენ შეკითხვების სირთულის ზრდას წინა წლებთან შედარებით. სწორედ ეს არის რეალურ რეჟიმში მომსახურების მომხრეთა ასეთი დაბალი პროცენტი, რადგან ისინი ვერ ასწრებენ ამომწურავი პასუხის ჩამოყალიბებას, ყველა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით.

სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციური საშუალებების გამოყენება ამაღლებს საცნობო-საინფორმაციო მომსახურებას ბიბლიოთეკაში: მომხმარებელს ეძლევა საშუალება, დაუკავშირდეს ბიბლიოთეკის სპეციალისტს, როდესაც მას ინფორმაცია ესაჭიროება და არა მაშინ, როდესაც ის სტუმრობს ბიბლიოთეკას.

ყველა კომუნიკაციურ საშუალებას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები: ზოგიერთი შეკითხვა უმჯობესია დაისვას ელ. ფოსტით, მეორე ტელეფონით, ზოგი - online რეჟიმში და ა.შ. სხვადასხვა საშუალებების შესაბამის მომენტში ეფექტური გამოყენება იძლევა მომსახურების მაღალ ხარისხს და კონკურეტუნარიანს ხდის საცნობო-საინფორმაციო მომსახურებას, ყველა რესპოდენტ-ბიბლიოთეკარმა აღნიშნა, რომ

ყველაზე ხელსაყრელი მომსახურების ელ. ფორმა არის ელექტრონული ფოსტა, იმდენად, რამდენადაც არ საჭიროებს შეკითხვაზე პასუხის დაუყოვნებლივ გაცემას და იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად დაათვალიერონ როგორც ტრადიციული, ისე ელექტრონული საინფორმაციო წყაროები. ამას გარდა, ბიბლიოთეკარებს ეძლევათ საშუალება, კონსულტაცია გაუწიონ მომხმარებელს მონაცემთა ბაზებსა და ელ. რესურსებში.

მიუხედავად უზარმაზარი სამუშაოს, სპეციალისტების აზრით, ბიბლიოთეკარების ელ. საშუალებებით მომსახურება მაინც არ არის ეფექტური. ამის ძირითად მიზეზად სახელდება:

შესაბამისი ხარისხის რეკლამის უქონლობა;

სპეციალისტების დაბალი კვალიფიკაცია ელ. რესურსებით მომსახურებაში, რაც მათ სპეციალურ სწავლებას საჭიროებს.

დისტანციური სწავლების პირობებში ბევრ სტუდენტს არა აქვს საშუალება, მოინახულოს ბიბლიოთეკა. სწავლების ამ მეთოდის დროს, მეტად ხელსაყრელია საცნობო-საინფორმაციო მომსახურება სწორედ ელ. საშუალებებით მოხდეს.

2001 წლის იანვარში, კონგრესის ბიბლიოთეკამ NDRSÄEN მონაწილეთა სახელით, ხელი მოაწერა შეთანხმებას, ოპერატიულ ავტომატიზირებულ საბიბლიოთეკო ცენტრთან თანამშრომლობის შესახებ (Online Computer Library Center-OCLC). ამ ხელშეკრულების საფუძველზე OCLC განახორციელა წევრი-ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზების ტექნიკური მხარდაჭერა, ბიბლიოთეკის სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს ორგანიზაციის წევრ-ბიბლიოთეკებს პასუხების კატალოგიზაციის და მათი მონაცემთა ბაზებში შენახვის საშუალებას აძლევს, რაც ამარტივებს მოძიებისა და დათვალიერების მისაწვდომობას, ასევე განხორციელდა ადმინისტრაციული მხარდაჭერა მარკეტინგული სამსახურის, ახალი წევრების რეგისტრაციის და პერსონალისა და მომხმარებლის სწავლებისათვის.

CDRS- არის საერთაშორისო სამსახური, რომელიც იძლევა მომსახურების დიდ საშუალებებს მისი წევრობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს: ინტერნეტის მისაწვდომობა, ბრაუზერი და ელ. ფოსტა. ბიბლიოთეკის ტიპი, მასშტაბები და ფონდის რაოდენობა

დენობა არ არის გადამწყვეტი მისი ნევრობისათვის.

2002 წლის იანვარში გაფორმდა მეორე შეთანხმება OCLC-თან, მთლიანად ინტეგრირებული სისტემით ხელმძღვანელობის შესახებ, საცნობო-საინფორმაციო მომსახურებისათვის. ახალი კოოპერირებული ინტერაქტიული საცნობო სამსახური ცნობილია QuestionPoint-ის სახელით (ინტერნეტმისამართი: [www. quetsionpoint.org](http://www.quetsionpoint.org)). იგი ფუნქციონირებს 2002 წლის 3 იანვრიდან და აერთიანებს საცნობო-საინფორმაციო მომსახურების ბიბლიოთეკარებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მომხმარებლებს საშუალება აქვთ დასვან შეკითხვები თავისი ბიბლიოთეკების Web-საიტის მეშვეობით, პასუხი შეიძლება მიიღონ როგორც კონკრეტული ბიბლიოთეკის საცნობო-საინფორმაციო განყოფილების მეშვეობით, ასევე სხვა ბიბლიოთეკის სპეციალისტებისგანაც, რომლებიც CDRS-ის ნევრები არიან.

QuestionPoint-ი ბიბლიოთეკარებისათვის ხელმისაწვდომია ხელმონერის მეშვეობით და არის ეფექტური, იაფი და მარტივი - რესურსების გამოყენების მხრივ, ვირტუალურ სფეროში, ქსელური მომსახურების პირობებში.

დასკვნა:

ინტერნეტის და უახლესი ტექნოლოგიების შემოჭრა საბიბლიოთეკო პრაქტიკაში ბიბლიოთეკარებს კარნახობს ფეხი აუწყონ რეალობას, სხვა თვალთ დაინახონ თავისი პროფესია და ტრადიციული საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმები და მეთოდები. ისმის კითხვა, კერძოდ:

როგორ უნდა წარმართონ საცნობარო-საინფორმაციო მომსახურება ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ინტერნეტის მეშვეობით?

მომსახურების რა ფორმას აირჩევს მომხმარებელი თანამედროვე პირობებში?

რა ელის ბიბლიოთეკარის პროფესიას?

შეძლებენ ბიბლიოთეკარები ძველი ავტორიტეტული კონსულტანტობის როლიდან გადაიქცნენ ვირტუალური მომსახურების სპეციალისტებად და ახალი იმპულსების მინიჭებას თავიანთი პროფესიისადმი.

როგორ შეიძლება საუნივერსიტეტო ბიბ-

ლიოთეკის ტრადიციული მომსახურების მეთოდებიდან მისი კიბერსივრცეში საინფორმაციო მომსახურებამდე დანიშნულება?

ასეთი შეკითხვები აწუხებს დღეს საბიბლიოთეკო სისტემის სპეციალისტებს მთელი მსოფლიო მასშტაბით, საცნობო-საინფორმაციო მომსახურების მიმართულებით.

მრავალ სტატისტიკურ მონაცემზე და სხვადასხვა ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით, ისინი აკეთებენ შემდეგ დასკვნებს:

აუცილებელია საცნობო-საინფორმაციო მომსახურების ტრადიციული მეთოდების ტრანსფორმაცია ინფორმაციული საზოგადოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით;

შორეული მომხმარებლის, ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის ბიბლიოთეკებში აუცილებელია დაინერგოს ახალი მომსახურების სისტემები, რომლებიც გააერთიანებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მომსახურებას ტრადიციულ ფორმებთან;

საცნობო-საინფორმაციო მომსახურება ინტერნეტით ითვალისწინებს სწავლების პროცესს, "ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების" ათვისებისა და შესწავლის საფუძველზე, როგორც კომერციულ საცნობო-საინფორმაციო მომსახურების, ასევე მათ მიერ გამოყენებული პროგრამების მიხედვით;

უკვე არსებობს გამოცდილება ბიბლიოთეკების მიერ საცნობო-საინფორმაციო სამსახურის შექმნისა ვირტუალურ სამყაროში;

დიდი საშუალებები იხსნება ბიბლიოთეკებისათვის კოოპერირებული საინფორმაციო რესურსების ბაზაზე თანამშრომლებისათვის, პროფესიული ცოდნის ერთობლივი გამოყენების მეთოდით, ბიბლიოთეკაში მაღალხარისხოვანი საინფორმაციო მომსახურებისათვის.

სტატიაში თავმოყრილია ამერიკულ ჟურნალებში გაშუქებული მასალები: "Library Journal", "Information Technology and Libraries" "American Libraries", ასევე ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციის და მსხვილი ბიბლიოთეკების Web-საიტებზე მოპოვებული მასალა.

ნელი ხიტალიშვილი

ბიბლიოთეკარი - მკითხველის ნდობით აღჭურვილი პიროვნება

(ბიბლიოთეკარის ეთიკური მრწამსი)



ბიბლიოთეკარი - უანგარო, კეთილშობილი, ყურადღებიანი, მომხიბლველი.

ბიბლიოთეკარი ჩვენს ქვეყანაში მარტო რეგისტრატორი კი არ არის, არც მოსამსახურე, რომელიც აკონტროლებს ყველა წიგნს თაროზე - რამდენი

გაიცა თუ რამდენი ახალი ეგზემპლარი შემოვიდა, არამედ მისი შრომა გათანაბრებულია პედაგოგის, მწერლის, ფსიქოლოგის შრომასთან.

ბიბლიოთეკარი იგივე აღმზრდელია, მთელი დღის განმავლობაში მის ხელში გადის ათობით მკითხველი, ყველა მათგანს თავისი ხასიათი აქვს.

ბიბლიოთეკარი თვალს ავლებს მათ, იცის მათი სპეციალობა, მათი პირადი ცხოვრება, მათი შეცდომები, პრობლემები... თუ ბიბლიოთეკარს უყვარს პოეზია, მისი მკითხველებიც კითხულობენ ლექსებს; კითხულობს რა ისტორიულ წიგნებს, მკითხველსაც მას ურჩევს, სთავაზობს, თვალი გადაავლოს წარსულს, რადგან მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს.

„ბიბლიოთეკარი, - წერდა ი. ერენბურგი, - არის მკითხველის ნდობით აღჭურვილი პიროვნება“.

კარგი ბიბლიოთეკარი ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურაა მოზარდთა ცხოვრებაში, როგორც კარგი პედაგოგი. მას ძალუძს წარუშლელი კვალი დატოვოს ადამიანის ცხოვრებაში, თანამედროვე ბიბლიოთეკარი დიდად განვითარებული, ქვეყნად მიმდინარე ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესის შესახებ ზედმინეწით ინფორმირებული ადამიანი უნდა იყოს, ერთი ნუთითაც რომ არ ჩამორჩეს ცხოვრების მაჯისცემას. ამიტომ საჭიროა გამუდმებით იმაღლებდეს ცოდნას.

უნარიანი ბიბლიოთეკარი კინოს, რადიოს, ტელევიზიას, კომპიუტერს თავის მოკავში-

რედ გამოიყენებს წიგნიერების დანერგვის დროს, მას შეუძლია წიგნის მეშვეობით მოახდინოს გავლენა მოზარდის სულსა და გონებაზე. ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდ როლს ასრულებს წიგნი მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ამ საქმეში მთავარი როლი მაინც ბიბლიოთეკარს ეკუთვნის.

მკითხველს უყვარს ბიბლიოთეკარი. მასთან საუბარში იგრძნობა, რომ ბიბლიოთეკარი თავის თავს მკითხველის მოვალედ მიიჩნევს.

ბიბლიოთეკარი შემოქმედებითი პიროვნებაა. მისგან მოითხოვენ პოლიტიკურ სიმნიშვნელობას, პედაგოგიურ ტაქტსა და ოსტატობას, ინიციატივასა და საქმისადმი სიყვარულს.

თანამედროვე მკითხველი ერუდირებული, მოაზროვნე ადამიანია, რომელიც ისწრაფვის, თვითონ გამოიჩინოს ინიციატივა, ვიდრე იყოს მუდმივი დახმარების ობიექტი, ამიტომ ბიბლიოთეკა უნდა გახდეს ასპარეზი ახალგაზრდების თვითშემოქმედებისა, მათი ინტელექტუალური და ზნეობრივი აღზრდის სკოლა.

მ. გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა ემსახურება მკითხველთა სპეციფიკურ ასაკობრივ კატეგორიას - 21 წლამდე ახალგაზრდებს. სწორედ ამ პერიოდში ხდება ახალგაზრდის, როგორც მკითხველის, ჩამოყალიბება. ჩვენ მღელვარებით აღსავსე ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებით სავსე ტრაგედიებითა და მომავლის დიდი იმედების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ამიტომ ახალგაზრდობასთან მომუშავე ბიბლიოთეკარის როლი მეტად რთულია და ამავე დროს მეტად საინტერესო, რადგან ყოველდღე რაღაც ახალ-ახალი ხდება, რაც გაიძულებს, გამუდმებით იმუშაო საკუთარ თავზე.

ქართველმა ახალგაზრდობამ სალოცავ ხატად გაიხადა წმინდა ილია მართალი, და დღეს სულ სხვანაირად აღიქვამს მისი ფასდაუდებელი მოღვაწეობის ყველა ნაბიჯს, სწორედ ახლა მართებს ბიბლიოთეკარს დაეხმაროს მკითხველს, გაიკვლიოს გზა ინფორმაციის ამ აბოზოქრებულ ზღვაში, მაქსიმალურად ისწრაფოდეს ლიტერატურისკენ.

ნიგნს დღეს ახალი მძლავრი კონკურენტები გამოუჩნდა თანამედროვე ელექტროტიქნოლოგიების სახით, რომელსაც კარგად უნდა იყოს დაუფლებული თანამედროვე ბიბლიოთეკარი.

ამჟამინდელი ახალგაზრდა ნაკლებად ივლის ბიბლიოთეკაში მხოლოდ ნიგნისათვის, მას სურს ისარგებლოს მრავალგვარი აუდიოვიზუალური საშუალებებით, ამასთან, სურს შეხვდეს ადამიანებს, გამოსცადოს თავისი ძალები შემოქმედების სხვადასხვა სფეროში.

ძნელია წარმოიდგინო ცხოვრება ბიბლიოთეკის გარეშე, სადაც ყველას შეუძლია შევიდეს ნებისმიერ დროს, მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია, დაიმუხტოს სულიერი სიმდიდრით.

ბიბლიოთეკარი თავის დანიშნულებას უნდა ხედავდეს არა მხოლოდ იმაში, რომ მიანოდოს მკითხველს ინფორმაცია ამა თუ იმ ნიგნის შესახებ, არამედ იმაში, რომ გახდეს ახალგაზრდების მრჩეველი და მეგობარი, შუამავალი ნიგნსა და მკითხველს შორის.

ბიბლიოთეკარი უნდა იცნობდეს მკითხველს არა ზოგადად, არამედ როგორც კონკრეტულ პიროვნებას, რადგან თითოეული ადამიანი ერთადერთი და განუმეორებელია.

ამიტომ მკითხველის აღზრდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. როგორ გზას დაადგება დღევანდელი მოზარდი, ამაზე და მოკიდებული ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ერის მომავალი, მათი აღზრდა საზოგადოების გამუდმებული ზრუნვის საგანია.

კორესპონდენციები

ინგა გოგობერიძე

ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი

საზღაპრეთი

ბავშვები - ჩვენი ხვალისდელი დღე, ჩვენი მომავალი! ბავშვები - ჩვენი ოცნება, სიხარული და სილამაზე!

იცვლება დრო - იცვლება ადამიანი. დროის შესაბამისად იცვლება ბავშვების ხასიათი, შეხედულებები, ქცევა. დღევანდელ ბავშვებს სხვა ინტერესი და მოთხოვნილებები აქვთ. ამიტომაც მათ განსაკუთრებული ყურადღება და მოფერება სჭირდებათ ბიბლიოთეკარების მხრიდან, რათა შევაცვაროთ ნიგნიც და ბიბლიოთეკაც.

ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებას ემსახურებოდა ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილების ჩანაფიქრი - მიგვენოდებინა და გაგვეცნო ბავშვებისათვის ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშები, კერძოდ, ზღაპრები. ამისათვის მოვანყვეთ სპეციალური ოთახი, რომელსაც დავარქვით „საზღაპრეთი“. მის მონყობა და გალამაზება-გამშვენიერებაში განყოფილების ყველა თანამშრომელი იყო ჩართული, და არა მარტო ისინი, სხვებიც გვეხმარებოდნენ - სახელმწიფო თეატრი, სახელმწიფო ანსამბლი,

ხელოვნების მუზეუმი, ისინი გვანვდიდნენ ყველა იმ ნივთსა და საჭირო მასალას, რომელიც აუცილებელი ატრიბუტი იყო „საზღაპრეთისათვის“. მართლაც, ზღაპრული სილამაზის „საზღაპრეთი“ გამოვიდა. აფიშებიც გავაკარიტ და 2008 წლის 26 ნოემბერს განიშართა პრეზენტაცია. მომსვლელთა ნაკადი არ წყდებოდა. „საზღაპრეთი“ ბავშვების ყურამულმა მოიცვა. მოწვეულ სტუმრებს მიესალმა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი გენადი მახარაძე, რომელიც შეჰპირდა მათ ახალი აუდიო და ვიდეო ტექნიკის შეძენას ქართული მხატვრული ფილმებისა და მულტფილმების სანახავად.

„საზღაპრეთი“ გაიხსნა ბათუმის №1 საჯარო სკოლის მოსწავლის ლიზი ქიქავას, მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლის თემუკა ვასაძის და სასულიერო გიმნაზიის მოსწავლის ნიკუშა გვაზავას ნახატების გამოფენით. ეს მათი ნამუშევრების პირველი გამოფენა იყო და ავტორებმა სტუმრების მონონება და აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

„საზღაპრეთში“ შეკრებილმა ბავშვებმა აღტაცება და სიხარული ვერ დაფარეს,

როცა მეზღაპრები, გოგიბერიძემ „ზღაპრების სკივრიდან“ „ნაცარქექია“ ამოიღო. უნდა გენახათ, რა სულგანაბული უსმენდნენ, როგორ პასუხობდნენ შეკითხვებს და თავიანთ აზრსაც გამოთქვამდნენ. ისე მოეწონათ „საზღაპრეთში“ ყოფნა, სახლში წასვლა არ უნდოდათ, ათვალეერებდნენ სპეციალურად მოწყობილ ახალი წიგნების გამოფენას, წარმოდგენილი იყო როგორც ქართული, ისე

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებიც.

იმ დღეს ბიბლიოთეკაში უამრავი ბავშვი განწვირია. წიგნები თავად ამოირჩიეს და წაიღეს წასაკითხად. თითქმის ყველა ბავშვის შეკითხვა ერთნაირი იყო: კიდევ როდის წაგვიკითხავთ, კიდევ როდის მოვალთო? შეკითხვაზე პასუხი მეზღაპრემ გასცა: „საზღაპრეთი“ ბავშვებს გიმასპინძლებთ ყოველი კვირის ოთხშაბათს. გელოდებით ყველას!

სიღონია გონჯილაშვილი

თიანეთის ც/ბიბლიოთეკის წამყვანი ბიბლიოთეკარი

პოეზიის საღამო - „ლექსო, არ დაიკარგები!“

გასული წლის ივლისში თიანეთის რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დიდი მასშტაბით ჩატარდა პოეზიის საღამო - „ლექსო, არ დაიკარგები!“ თითქმის ყველა იქაურმა ნაცნობმა თუ უცნობმა პოეტმა მოიყარა თავი. ცნობილია, თუ როგორ გამოირჩევა ეს მხარე პოეზიის სიყვარულით. ძალიან ბევრი ადამიანია ნაზიარები პოეზიის ღვთაებრივ ნიჭს. შეიძლება იმიტომ, რომ მთიელი კაცი სულ სხვანაირი თვალთ ხედავს სამყაროს და უფრო მძაფრად განიცდის ყველაფერს. თვალში საცემია აქაური ხალხის სუფთა გული და პირდაპირობა.

ღონისძიებას უძღვებოდნენ ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზის გამგე ქეთევან ბეროშვილი და ჯილდა კაცელაშვილი.

საღამო დაიწყო მირზა გელოვანის გახსენებითა და მისი შემოქმედების მიმოხილვით. ასევე გაიხსენეს აქაური მკვიდრი ალაზა ხაიაური. ამ შესანიშნავმა პოეტმა, რომელიც მთის ტრადიციებზე იყო აღზრდილი, ვერ იგუა ქალაქი, ვერ შეძლო თავისი კუთხის მიტოვება და ცხოვრების უმჯობესი პირობების გამოც კი არ მოინდომა საცხოვრებლად ქალაქში დარჩენილიყო, რისი საშუალებაც მას ყოველთვის ჰქონდა. ცხადია, ეს უკვირდათ მის მეგობრებს, რამაც გამოიწვია, ალაზას მათთვის ლექსით მიემართა - „პასუხი ბარელ მეგობრებს“. ლექსში პოეტი გულწრფელად გამოთქვამს თავის გრძნობებს, რამაც აიძულა მას სამუდამოდ დარჩენილიყო მთაში.

მოხდენილად ამთავრებს ის ამ ლექსს:

„არწივი თუ არ შერჩება,
რის მაქნისია მთა-კლდენი?

ბარს ვეკლდე - არ შეემჩნევა,
მთას კი - ვერ გამოვაკლდები!

სამწუხაროდ, ბედმა მას გაუსაძლისი უბედურება დაატეხა თავს, რასაც შვილის დაკარგვა ჰქვია. ვაჟის გარდაცვალება ვერ გადაიტანა და სავსებით ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან.

ამ საღამოს ერთ-ერთი საპატიო სტუმარი გახლდათ პოეტი გიორგი გიგაური, რომლის შემოქმედებაც ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის. აღსანიშნავია, რომ ეს წელი მისთვის საიუბილეო იყო. ბატონ გიორგის 80 წელი შეუსრულდა. შეუძლებელია არ მოიხიბლო მისი ლექსებით. ერთ-ერთი შესანიშნავი ლექსი, რომელიც მსმენელებს წარუდგინა, გვინდა მკითხველებსაც შევთავაზოთ:

ნაწუქარი სიცოცხლე

სიკვდილისგან კბილით მიცავდი,
გულის იარებს კოცნით კურნავდი,
წამლად მასმეი წყარო ფიცარკლდის,
მაცხოვარივით იყავ პურადი,
ფიქრის საცერში კვლავ იცრებიან
კრიალოსნები ლხინის, წვალეების,
ღრუბლის ფთილები შენი თმებია
და ვარსკვლავები შენი თვალეები...
მე სიყვარულით გიბრუნებ ვალეებს,
ფრთებს მოფერებით მკერდზე გაფარებ,

მღვრიე მდინარე ჩაივლის მალე,
თან გაიყოლებს სევდის საფანელს.
თუ დაგემუქრა დუმმანი მქისე,
რწმენის სანთელი ნუ ჩაგიქრება, -
შენგან ნაჩუქარ სიცოცხლეს ისევ
შენ შემოგწირავ დაუფიქრებლად!

სალამო თავისი გამოსვლით ძალიან გაა-
ლამაზა ბატონმა ტარიელ ხარხელაურმა,
მის შემოქმედებას წარდგენა არ სჭირდება
მკითხველისათვის, მაგრამ არ შეიძლება გუ-
ლი არ აგვიძგეროს მის მიერ წარმოთქმულმა
ლექსმა -

ვერკვლის ციხე ვარ

ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი,
ამოზიდული დიდგორსა,
შვიდპირად მაკრავს ღრუბელი,
გველი მილოკავს ლიბოსა.
ვერა იქმს ნუთისოფელი,
ფეხებზე დამიკლოსა.
ხმალი მომეცი, სამკლავე,
ფარიც აქ სადმე იდოსა,
ამოვალ, ქშენით ამოვძოვ
სისხლით დაფერილ მინდორსა.
მოყვარეს მოყვრის მივუზღო,
მტერმა რო სამტრო ზიდოსა.
მერე ჩამიქრეს ნათელი,
მზე წითლად დამებინდოსა...
ვერკვლის ციხე ვარ მგლისფერი,
მტრის რისხვად მდგარი დიდგორსა!

სალამოს კიდევ ერთი ნიჭიერი პოეტი ქრის-
ტინე ჭინჭარაული დაესწრო. იგი მთიელი ქა-
ლის ვაჟკაცური ბუნების ნამდვილი განსახი-
ერებაა. მისი შემოქმედება მრავალფეროვანი
და დახვეწილია, რის დასტურია მისი შესა-
ნიშნავი სტრიქონები:

„ოქროს ზოდსაც არ ვინატრებ
ამ დღეების მოტანილს,
ოლონდ უკანვე დაბრუნდეს
ჩემი წლები ბორბალი.
ოლონდ ერთხელ გული ჩემი
იმ ტკივილით მატკინა,
იმ იმედით მაიმედა,
იმ ტირილით მატირა,
იმ ოცნებით მომატარა
ცხრა მთა, ცხრა გზა, ცხრა წყარო,
იმ თვალებით შემახედა
ამ შიშნაჭამ სამყაროს.
ბედო ჩემო, შენს ხელთაა
ჩემი წლების ბორბალი,

იმ ტკივილით მაცოცხლე და
იმ ღიმილით მომკალი!“

სტუმრებს შორის იმყოფებოდა თიანეთის
კიდევ ერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ვიქ-
ტორ კაცელაშვილი. როგორც ყველა თია-
ნელი პოეტის, მისი შემოქმედებაც დიდი ვა-
ჟას მიერ ხოტბაშესხმული ბუნების უბადლო
მშვენიერებითაა შთაგონებული და მთის ლა-
მაზი ტრადიციებით ნასაზრდოები.

მკითხველს ადვილად შეექმნება წარმოდ-
გენა მის შემოქმედებაზე, თუკი ჩაფიქრებით
გაეცნობა მის ლექსს „ყველაზე ლამაზი“.

რაც მახსოვს, სულ ასე მოვდივარ -
სულ ფიქრი, დარდი და ნაღველი,
უაზრო ლოდინი ყოფილა
ამ ქვეყნად ყველაზე დამღლევი.
დინებას მივყვები მორჩილად,
ხავსიც კი არა ჩანს მაშველად,
რა გულისდამწყვეტი ყოფილა
ზეციდან მინაზე დაშვება.
ზნეობა მქცევია ბორკილად
(თავს თვითონ მივაგე სასჯელი),
მეგობრის დაკარგვა ყოფილა
ამ ქვეყნად ყველაზე მტანჯველი.
სანუთრო ფლიდი და ორპირა
არასდროს მიტოვებს არჩევანს -
საოცრად საძნელო ყოფილა
ფიქრებთან ჰირისპირ დარჩენა.
მზე იყო ნაზი და ფოფინა,
ცა იყო ლურჯი და ხალასი,
ვაჟკაცის ცრემლები ყოფილა
ამ ქვეყნად ყველაზე ლამაზი.

ერთ-ერთი სტუმარი გახლდათ ბატონი დი-
მიტრი ზარიძე, რომლის შემოქმედებაც შე-
დარებით ნაკლებად არის ცნობილი ფართო
საზოგადოებისათვის, რისი მიზეზიც ამ ადა-
მიანის უსაზღვრო თავმდაბლობა არის, არა-
და, მისი შემოქმედება უეჭველად განსაკუთ-
რებული ყურადღების ღირსია. ერთი პატარა
ლექსიც, რომელიც მან წარმოადგინა, ნათ-
ლად გამოხატავს ავტორის ნიჭიერებას:

წვიმიანი დღეები

ზეცას ააკრეს ტყვიის ფურცლები,
შემკრთალ ტირიფებს ცრემლები

სცვივათ.

დღეს არაგველთა სისხლით ვიცლები
და არსაკიდის მხარ-მკლავი მტკივა.
იბუგვის ზეცა ელვის მუგუზლით,
ასდის ღრუბლების ბოლი ბოლქვებად,

აუცრემლდება მზელურჯი თვალი
და დედამიწას კალთა უღბება.

ეთერ აბრამიშვილს, რომელმაც, სამწუხაროდ, ვერ შეძლო პირადად დასწრებოდა სალამოს, დამსწრე საზოგადოება მისი შესანიშნავი ლექსით გაეცნო:

საქართველოს

ყველამ რაღაც შემოგწირა,
ზოგმა გული, ზოგმა მკვლავი,
თუ დაგჭირდეს, ჩემო სევდავ,
შენთვის მომიძღვნია თავი.
შენი ცეცხლი სევდით ვაქრე,
შენს მტერს ზიზღი შევაგებე,
შენს მინისტვის დაცემულთა
საფლავის წინ მუხლზე შევდექე.
შენზე დარდით სული კვნესის,
ვერას გაკლებს თუმცა ტყვია,
მაგრამ ღიმილს მათ სახეზე
კვლავ მომავლის რწმენა ჰქვია.
ყველამ ვიღაც შემოგწირა,
ზოგმა შვილი, ზოგმა ქმარი,
რაც მე შენთვის გავიმეტე,
საკუთარი თავი არის.

საღამოზე თავისი სიტყვა თქვა პოეტმა
ჯიმშერ გოჯიაშვილმა. მიუხადავად იმისა,
რომ მისი შემოქმედების პატრონს თამამად
შეუძლია გამოხატოს თავისი ამბიციები, იგი
მთელ ცხოვრებას მაინც უპრეტენზიოდ, უხ-
მაუროდ ატარებს. მისი ერთ-ერთი შესანიშ-
ნავი ლექსი თავად მან წაიკითხა:

მხარს ნუ მომტახავ!

ახალგაზრდული დრონი მიდიან,
ბაქანზე შენი იმედით ვრჩები,
ჩემი სიცოცხლე მოლოდინია
და ამ მოლოდინს ზედ შევეჭრები.
დახურდავდება ყველა სურვილი,
მტვერი დაფარავს გარბენილ ხიდებს,
იქნებ სჯობია შენი გულისთვის
მონანიებას ბორკილებს ვხსნიდე.
მხარს ნუ მომტახავ, თუ დამამძიმებს

ყოველდღიური ზრუნვა და აჯა,
ნუ შეეხები დაჭიმულ სიმებს,
ბედმა გოლგოთა თუ მომისაჯა.
ჩავლილი წყალი ფოთლს წაიღებს,
მთას დაედება შენი ელფერი,
საუკუნის ხარკს ისე გაიღებ,
როგორც აჩუქეს მურმანს ეთერი!

საღამოს კიდევ ერთი სტუმრი, ბატონი
ღვთისავარ არჩემაშვილი პოეზიას შესანიშ-
ნავად უთავსებს ჟურნალისტის პროფესიას.
სიამოვნებით იქნა მოსმენილი მისი ლექსი:

ჩემო თბილისო

ორასი წელი გვექონდა „მშვიდობის“,
თუმცა შენ მაინც ხმალსა ჰფერავდი,
ორასი წელი იყავ მინდობით,
არ ჩაგიცვია რკინის პერანგი,
და, აი, ზარმაც ჩამოჰკრა ბრძოლის,
თავისუფლების მოდგა რიჟრაჟიც,
უკუაქციე ვარდების სროლით
ყველა ტანკი და ყველა ბლინდაჟი,
მაინც გაგწირეს, მაინც გაგწირეს...
ციხე, ეჰ, მუდამ შიგნიდან ტყდება,
ჩემო თბილისო, სისხლით ნაწვიმო,
ღალატით გული ნუ გაგიტყდება.
მოვა ერთხელაც ღვთიური აზრი,
ააყვავილებს კვლავ შენს ჭაღარას,
და ისტორია ურჩი და მკაცრი
მაგ მძაფრ ტკივილებს მოსპობს,

დაფარავს.

სირცხვილი იმათ, ვინც მშობელ დედის
ძუძუს მოჭრასაც არ მოერიდა,
ვინც გაამრუდა ნანატრი ბედი
ამიერიდან - იმიერიდან...

მონვეულ სტუმრებს საკუთარი ლექსებით
მიესალმა კულტურის ცენტრის დირექტორი
ლალი ივანაური.

დასასრულ დამსწრე საზოგადოებას საშუ-
ალება მიეცა, გულთბილად მისალმებოდნენ
თანელ პოეტებს სიტყვითა და საკუთარი
ლექსებით. ამ საღამომ ნათლად დაგვანახა,
რომ საქართველოში ლექსს დაკარგა ნამდვი-
ლად არ უწერია!

სასკოლო ბიბლიოთეკის ბედი გვაღელვებს...

სასკოლო ბიბლიოთეკების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ჩვენი ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს (ა. ლორია, ფ. ყურაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, ნ. მუსერიძე, ნ. ნერსესოვა, გ. ბოლაშვილი, ც. წერეთელი და სხვ.). სასკოლო ბიბლიოთეკებს ჩვენი ჟურნალის გარდა, ყურადღებით ეკიდებოდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ეროვნული ბიბლიოთეკის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური სამსახური, საქართველოს მნივნილობართა ასოციაცია, ცალკეული სპეციალისტები. ეს საკითხი მრავალჯერ იქნა დაყენებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე.

ძირითადი პრობლემები, რომელთა გადაჭრა ცააუშვობესებდა საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების მუშაობას, იყო და არის ამ ბიბლიოთეკებში მომუშავე კადრების დაბალი კვალიფიკაციის ამაღლება, შრომის ანაზღაურების გაზრდა, წიგნობრივი ფონდების განახლება და სხვ. საქართველოში ამჟამად 1300-ზე მეტ საჯარო სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკა, რომელთაგან მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი მუშაობს წარმატებულად - ატარებს საინტერესო ღონისძიებებს, აქტიურად ეხმარება მოსწავლეებს, იზიდავს მათ ბიბლიოთეკაში, ქმნის სკოლაში წიგნიერ გარემოს, ხელს უწყობს ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობების შექმნას.

ბევრგან სასკოლო ბიბლიოთეკების მდგომარეობა გაართულა საჯარო ბიბლიოთეკების მათთან შეერთებამ, რაც ძირითადად გამოიხატა ფონდების გადაცემასა და სასოფლო ბიბლიოთეკების გაუქმებაში. ჯერჯერობით არაა ცნობილი, რა მოგვიტანა ამ უგნურმა, წინდაუხედავმა და დაუგეგმავმა გადაწყვეტილებამ. ამას ჩვენი ჟურნალი მწვავე წერილით გამოეხმაურა (საქართველოს ბიბლიოთეკა. - 2008, № 2 გვ. 4-5).

ამას წინათ რედაქციაში შემოვიდა კახეთის მხარეში ადამიანის უფლებათა დაცვის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის ტ. მუმლაძის მიერ სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ საქართველოს პარლამენტისადმი გაგზავნილი წერილის ასლი და ამ წერილზე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პასუხი.

როგორც ირკვევა, გ. მუმლაძეს ხელმეორედ მიუმართავს პარლამენტისათვის იმავე საკითხთან დაკავშირებით. იგი ითხოვს წინა წერილზე რეაგირებას. წერილი ახლა საპასუხოდ გადაეგზავნა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

თავის პირველ წერილში ტ. მუმლაძე მწვავედ აყენებს საკითხს სკოლების ბიბლიოთეკების მიმართ უყურადღებობის შესახებ და ითხოვს ბიბლიოთეკარის შრომის გათანაბრებას პედაგოგის შრომასთან (სხვათა შორის, საქართველოს საბიბლიოთეკო საზოგადოება სხვადასხვა დროს მთელი 50 წლის განმავლობაში ითხოვს ამას, რაც ასახულია ჩვენს პრესაში და ნაწილობრივ ჩვენს ჟურნალში. იყო დაპირებები, მაგრამ საქმე დღემდე გადაუწყვეტელია). ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკარები მოიხსენებიან სკოლის ტექნიკური თუ სამეურნეო პერსონალში, მიუღებელია არა მარტო ბიბლიოთეკარებისათვის, უხერხულია პედაგოგებისთვისაც. ის სამუშაოები, რომლებსაც ბიბლიოთეკარები ატარებენ სკოლაში - წიგნების შერჩევა მკითხველისათვის, მოსწავლეთა ინტერესების შესწავლა, მათი კითხვის მართვა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მომსახურება, ინფორმაციის მიწოდება, დახმარება სასწავლო პროცესში, მრავალი მასობრივ-საგანმანათლებლო მუშაობა და სხვა, წარმოუდგენელია ტექნიკურ პროცესებად მივიჩნიოთ, მით უმეტეს, სამეურნეო საქმიანობად. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „საქართველოს კანონში საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ და „სასკოლო ბიბლიოთეკების დებულებაში“ გამოკვეთილადაა გაცხადებული: „სასკოლო ბიბლიოთეკების საქმიანობა წარმოადგენს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელ ნაწილს“. ეს თუ ასეა, როგორადაც ამას ეს დოკუმენტები ამტკიცებენ, საკითხავია: რა უშლის ხელს სკოლის ბიბლიოთეკარის შრომა პედაგოგის შრომად იქნეს აღიარებული?

სასკოლო ბიბლიოთეკების პრაქტიკაში არა ერთი და ორი წარჩინებული ბიბლიოთეკარი პროფესიონალი მუშაობს. ისინი ნამდვილ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან. მათი პრესტიჟის დაცვა და მორალური მხარდაჭერა მთელი საბიბლიოთეკო და პედაგოგიური საზოგადოებათა საქმეა.


ვფიქრობთ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საბოლოოდ დადებითად გადაწყვეტს ამ საკითხს და ამით წარუშლელ კვალს დატოვებს საჯარო სკოლებში ბიბლიოთეკების განვითარების საქმეში.

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქცია

რეცენზიები

გურამ თაყნიაშვილი

დაზრდილან, კიდევას დაიზრდებიან



„ალგეთს ცრემლი დანადინარი“ - ასეთი სახელწოდებით გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული პოეტმა და მხატვარმა გელა მიდელაშვილმა. ალგეთის ხეობაში დაბადებული და გაზრდილი პოეტის შემოქმედება იქაური გარემოთი სუნთქავს და საზრდოობს. ალგეთის ხეობა ხომ ერთ-ერთი ულამაზესია ქვემო ქართლში. მდინარე პატარა შენაკადებითა და ირგვლივ მთა-მწვერვალებით, ციხე-სიმაგრეებითა და გრილი, ჯანსაღი ჰაერით მარად აღავსებს კაცთა გონებას სიხალისით, სინათლითა და სიცოცხლის სიყვარულით. აქ არ იგრძნობა ნაღვლიანი სიმშვიდე, ბუნებას მარადისობის ელფერი დაჰკრავს; დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ აქ ყველაფერი მოძრაობს; ფერი, სივრცე, წყალი, სინათლე, ჰაერი და აქ მყოფი ადამიანის გონებაც. აქაური წარსული ანმყოში ცოცხ-

ლობს. შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული კაცისათვის ძნელია ცივი გონებით შეხედოს ფარცხისის, სამშვილდის, კლდეკარისა და მანგლისის ციხე-ტადრებსა და წინაპართ ნახელავ-ნამოქმედარს. მათი ხილვა აზრს ამოძრავებს, წარსულსა და ანმყოს აერთებს და სიამაყის გრძნობით აღავსებს მხილველის გონებას. ამ მხარეში, სოფ. საღრაშენში დაბადებულ გელა მიდელაშვილს სიყრმიდანვე დაჰყვა მშვენიერების მხატვრული აღქმის უნარი. სიჭაბუკეში შესულს მხიარული სილალე დაეუფლა, იგრძნო რა სიმსუბუქე ნეტარი და არამინიერი, და მიხვდა, რომ ზენაარისაგან ბოძებული ნიჭი პოეზიისათვის უნდა გაემხილებინა. ასე დაიწყო ჭაბუკი პოეტის ამაცი გულის საიდუმლოებათა განდობა პოეტური სტრიქონებისათვის. პოეტმა ერთდროულად აიღო ხელში კალამი და ფუნჯი. სიტყვა თანდათანობით მგრძნობიარე და ემოციური გახდა, იგი ადვილად მოექცა ლექსის ფორმაში, ხოლო ფუნჯით ისეთი ტილოები შექმნა, რომლებიც ყურადღებას იქცევენ უშუალოებითა და ჭეშმარიტებისადმი მიახლოების საოცარი მიგნებით. პოეზიის განცდისეულმა სამყარომ, ასე ხელაღებით რომ შემოიჭრა მის პიესებში, თავიდანვე შეიძინა წარმოსახვის ისეთი ხერხი თუ ფორმა, რომელიც ამკარად მეტყველებდა ავტორის მაძიებელ ბუნებასა და აზრის გადმოცემის სიცხადეზე. მხატვრობაში მოსული პოეტი ამ სფეროში სრულყოფის ფინმა შეიბყრო. თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მისმა ნახატებმა ყურადღება მიიქციეს ფერთა საოცარი შეხამებით, ნაფიქრალის ტილოზე გადატანის მაღალი ოსტატობით. სხვადასხვა დროს გ. მიდელაშვილმა პერსონალური გამოფენები მოაწყო ერთი მსახიობის სახლში (1978), ეროვნულ გალერეაში (1991), ბავშვთა სურათების საგამოფენო დარბაზში (2000), სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მხატ-

ვრის ნაღვანს, დაიბეჭდა გამოხმაურებები, მთაბეჭდილებები და რეცენზიები („ლიტერატურული საქართველო“, „თბილისი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კვირის ფოსტა“ და სხვ.).

პოეტმა და მხატვარმა თავად არ უწყობდა, როდის წერდა და როდის ხატავდა. ორივე მხრიდან განგების ხმას უსმენდა მორჩილად და მას მიჰყვებოდა გუმანით, გრძნობით, ბუნებრივად, ძალდატანებისა და მიბაძვის გარეშე. მისთვის ლექსის ფორმა აზრის ზედმინევიტ მხატვრულად გამოხატვის ერთი საშუალებაა თანაგანია, სიყრმის ოცნება, რომელიც „სულს უყვავილებდა“, ისეთი ენერგიით აღავსებდა მის არსებას, რომ მზად იყო ვარსკვლავებს მისწვდომოდა, ფერთა საოცარი ჰარმონია შეექმნა და ისეთ გარემოში ეცხოვრა, სადაც მისი ოცნება ფრთას გაშლიდა. პოეტს არასოდეს არ უცხოვრია უბრალო მეოცნების ყოფით. მის შთაგონებას სიცოცხლის ხალისს მატებდა ერთი ამოსუნთქვით დაწერილი ლექსი, ან ერთი ფუნჯის მოსმით დახატული პეიზაჟი. აზრი ფერს ელტვოდა, ფერი ფერს სცვლიდა; ლექსებსა და ნახატებში მისი სული ზეიმობდა. პოეტი არასოდეს არ გამოსდგომია „სიზმრისეულ ლანდებს“; იგი ყოველთვის მყარად იდგა იმ მიწაზე, სადაც მისი წინაპრები იღვწოდნენ; მათი სახელები ამ მიდამოში წარმოებულ ომებში აღიბეჭდა მემპტიანის კალმით. პოეტს ურჩევნია „რქადაგრეხილი ყვეარი“ ჰყავდეს, ვიდრე დიდი ქონების პატრონი ერქვას; იცის, რომ ხარი იმედის, სიძლიერისა და ერთგულების სიმბოლოა.

პოეტი ეტრფის მზეს, სიცოცხლის წყაროს, მზეს, რომელიც დღენიადაგ თრიალეთის მხარეს ჩადის და საამოდ აფერადებს მის კალთებს. წარსულის სურათები ცოცხლდება დიდგორის ხილვისას. აქ სხვაგვარად ელვარებენ ჩამავალი მზის სხივები, ხოლო ამოსვლისას ფერთა საოცარი ერთიანობა აფერადებს გმირთა მუდმივ ადგილსამყოფელს:

„დიდგორის მხრიდან მიხმობს ქარები,
 მე კი ვლოცულობ ჩამავალ მზეზე...
 დიდგორის მხრიდან მზე ჩადიოდა,
 აქ მრავალ ლომგულს სისხლი სდიოდა“.
 (დიდგორის მხრიდან)

სინათლე, რომელიც ასე ძალუმად იღვრება მის ლექსებსა და ნახატებში, მარადიულია და უფლის ნაბოძი:

„ღვთის მადლით დაბადებულო,
 შენამც სიცოცხლის ხისაო,

უფალს ვუმაღლი, ღმერთმანი,
 შუქი მაღალი მზისაო“ (მშვენების დასაყუდარი)

პოეტი საოცარი სიმშვიდით გამოხატავს შინაგან სულიერ მღელვარებას, თითქოს მის სულში გაუდინარი, ლურჯი ტბის ტალღები ნელა არწევდნენ სხეულს. მის ლექსებში აშკარად ჩანს, რომ ავტორი სურვილების უტყვი მორჩილი კი არ არის, არამედ მათი გაცხადებისათვის მეტრძოლი პიროვნებაა. პოეზიასა და მხატვრობაშიც მას ადამიანის ბედი აღელვებს, ამით იგი ადასტურებს, რომ მისთვის უცხოა ყოფიერებასთან შერიგება და განზე დგომა, პოეტი ერთი წუთითაც არ არის შეპყრობილი მიუვალ სიმალღეზე ასვლის სურვილით. იგი რეალისტია ხედვით, გონებით, ფუნჯითა და კალმით. ღრმაზროვანი მშვენიერება, რომელიც ერთი ნახვით აღიქმება მის ნახატებში, შექმნილია დიდი სულიერი წვითა და განცდით.

ახლა, როდესაც პოეტი და მხატვარი ქედს უზრის გაზაფხულის ჩამოდგომას, მისი სამყარო ივსება ფერადოვანი წვეთებით, იდეებით, ახალგაზრდული ოცნებებით, რომელთა გარეშე შეუძლებელია ხელოვნების ნიმუშის შექმნა. პოეტი მადლიერების გრძნობით დებულობს ყოფიერების მუქ სურათებს, მოვლენებსა თუ ფაქტებს; კარგად უწყის რა ერთი ჭეშმარიტება - ეს ყველაფერი დროებითი და წარმავალია. ფხიზელი თვალთ მზირალი პოეტი აშკარად გრძნობს იმ ზღვარის საშიშროებას, რომელიც გადის შემოქმედებასა და ყოფიერებას შორის. ამ გარემოებას იგი ფილოსოფიური კუთხით ხსნის, დაჯერებულია რა იმაში, რომ ესეც უფლის წყალობაა მოკვდავთათვის.

პოეტისათვის ახლა შუადღეა ჩამომდგარი და როგორც შუადღის მზეა მწველი და მხურვალე, ასევეა მისი პოეტური სამყაროც - ნაირფეროვანი, გონების მწველი, შემართული პათოსითა და მგზნებარე გულწრფელობით. ვფიქრობთ, მისი პოეზია ახალ საყრდენზე, ახალ შემადლებულზე ავა, საიდანაც აშკარად გამოჩნდება პოეზიის ბურუსში მოციმციმე შორეთი.

გელა მიდელაშვილის შემოქმედება ნათელი დასტურია იმისა, რომ ალგეთის ხეობაში ბევრი გმირი და სახელოვანი ადამიანი იშვა და გაიზარდა; უფლის ნებითა და წყალობით კიდევაც დაიზრდებიან.

ლაურა ასლამაზიშვილი

მხარეთმცოდნეობითი მუშაოების ფასი

ნაზი ქობილაშვილის წიგნი „ნორიო ჩამოვიარე“ უკვე კარგა ხანია, რაც მკითხველმა მიიღო (2003 წ.), მაგრამ აქამდე მას ჩვენი გამოხმაურება არ ჰქონია, თუმცა საჭირო კი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენ ხელთ გვაქვს კარგი ნიმუში იმისა, თუ რა შედეგის გამოღება შეუძლია ბიბლიოთეკაში მხარეთმცოდნეობით მუშაობას. ეს საქმიანობა რეგიონის ყველა ბიბლიოთეკის პირდაპირი მოვალეობაა. მუდამ ასე იყო, მაგრამ დღეს, როდესაც ინფორმაციული ტექნოლოგია გვეხმარება, ის უფრო აქტიურ ხასიათს უნდა იძენდეს.



ნაზი ქობილაშვილი, როგორც მისი ნაშრომიდან ნათლად ჩანს, საგულდაგულოდ ენეოდა მხარეთმცოდნეობით მუშაობას, რაც ქალაქად თუ სოფლად ყველაზე ხელსაყრელი სწორედ ბიბლიოთეკაშია. აქ თავმოყრილი მრავალფეროვანი ინფორმაცია საამისოდ შესანიშნავ მასალას იძლევა. ვინ არ მოდის ბიბლიოთეკაში — დიდი თუ პატარა, ახალბედა თუ უხუცესი, მოსწავლე თუ მასწავლებელი, სხვადასხვა პროფესიისა და ინტერესების ადამიანები, საზოგადოების ყოველი წარმომადგენელი. ბიბლიოთეკაში გროვდება დიდი და საინტერესო ცნობები, რომლებიც ერთად აღებული, ძვირფას ეთნოგრაფიულ-ისტორიულ-გეოგრაფიულ, საგანმანათლებლო თუ კულტურულ წყაროს წარმოადგენს. სწორედ ამგვარ თავმოყრას წარმოადგენს ნ. ქობილაშვილის ნაშრომი „ნორიო ჩამოვიარე...“

ნაზი ქობილაშვილი ნორიოს მკვიდრია, და-

ამთავრა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობით, მუშაობა დაიწყო ნორიოს ბიბლიოთეკაში, აი, უკვე 30 წელზე მეტია ამ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს, წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ქალბატონი ნაზი ნიჭსა და ენერგიას არ იშურებს არც საერთო და არც საბიბლიოთეკო საქმიანობის... ძალიან მოკრძალებული და თავმდაბალი პიროვნებაა... სულ

ძიებაშია. მას თავისი ნიჭი და ენერგია დასვენების საშუალებას არ აძლევს, წინამდებარე წიგნიც მისი დიდი მრავალწლიანი შრომისა და ძალისხმევის შედეგია“.

„ნორიო ჩამოვიარე...“ გაცეხებს ინვესტორგორც თავისი მოცულობით, ისე მასალის სიუხვითა და თემატური მრავალფეროვნებით. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პოლილოგიური ხასიათის ნაშრომი, რის გამოც ის ერთგვარ ეკლექტიკურ იერს ატარებს; იგი მრავალი მიმართულებით ვითარდება, აქ ვხვდებით ისტორიულ, არქეოლოგიურ, სოციოლოგიურ, გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ, ფოლკლორულ, საგანმანათლებლო, კულტურულ, რელიგიურ, სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო, სახალხო მედიცინის, საარქივო და სხვა მრავალ საკითხს. ისინი სხვადასხვა მოცულობითა და სხვადასხვა შემოქმედებითი ძალითა და სიღრმითაა წარმოდგენილი. გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ ეს საკითხები მნიშვნელობის

თვალსაზრისითაც ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; უფრო მეტიც — ზოგი მასალა, საერთოდ, რაიმე ფასეულობას არ შეიცავს და მხოლოდ საარქივო საგანია, მაგალითად არაპასუხისმგებელ მოსამსახურე პირთა ჩამონათვალი და სხვ. ეტყობა, ამაში გამოხატულია ავტორის სურვილი, მაქსიმალურად ამომწურავად წარმოადგინოს ყველაფერი, რაც კი ნორიოსთანაა დაკავშირებული. გარდა ამისა, შეიძლება კრიტიკული შენიშვნები გამოითქვას სტრუქტურული თვალსაზრისითაც, რაც ძირითადად თემატურ თანმიმდევრობის ლოგიკურობას შეეხება.

ამგვარად შედგენილი წიგნი, ცხადია, საყოველთაო მკითხველისათვის ვერ იქნება მიმზიდველი, მაგრამ თუ მასალას გამოკრეფით შევარჩევთ და გავეცნობით, იგი საინტერესოა ყველა მკითხველისათვის, განსაკუთრებით მისთვის, ვისაც ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული თემატიკა აინტერესებს. თუ ადგილობრივი მასშტაბებით მივუდგებით მას, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს წიგნი უეჭველად ფასდაუდებელი რამ არის. ის მთელი კუთხის ნამდვილი ცნობარიცაა, რომელშიც შემოქმედებით, კვლევით, სოციალურ, კულტურულ და სხვა საკითხებთან ერთად, ჭარბად არის მოცემული ცნობები სხვადასხვა ადამიანებზე, მოვლენებზე, გეოგრაფიულ დასახელებებზე, ტოპონიმებზე, ისტორიულ ძეგლებზე, ფოლკლორზე და ა.შ.

ნაშრომში იმდენად ბევრი საკითხია გაშუ-

ქებული, რომ შეუძლებელია თემატური პარაგრაფებით მათი ჩამოთვლა, ამიტომაც წიგნის შინაარსში მხოლოდ უზოგადესი ნაწილია მოცემული, ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა: ნორია და დღევანდელი ნორიო, სოფლის შემოგარენი და ისტორიული ძეგლები, რელიგიური დღესასწაულები, ზნეჩვეულებები, ხალხში გავრცელებული ამბები, ნორიოს ნავთობი, ორგანიზაცია-დანესებულებები, კულტურის კერები, ცნობილი ადამიანები ნორიოდან, გავრცელებული გვარები, სახელები სახალხო მთქმელები, ომიანობა და ნორიოელები და სხვ. ეს ჩამონათვალიც საკმარისია, წარმოდგენა ვიქონიოთ აღნიშნულ წიგნზე, რომელიც 480 გვერდს შეიცავს და საკმაოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული; სამწუხაროდ, ზედმინევით ლატაკადაა წარმოდგენილი ილუსტრაციები. ამგვარი გამოცემისათვის ფრიად მნიშვნელოვანია დასურათხატება, თუნდაც ეს ტექსტის ხარჯზე ხდებოდეს.

როგორც არ უნდა იყოს, აღნიშნული ნაშრომი უაღრესად დიდ ყურადღებას იმსახურებს, მასში ავტორმა მთელი გული და სული ჩააქსოვა, უდიდესი შრომა გასწია, უამრავი დრო მოახმარა. საგულისხმოა ბოლოში მისი მომართვა ჩვენდამი: „მკითხველნო, ეს მხოლოდ უმცირესი ნაწილია ჩვენი წარსულისა თუ ტკბილ-მწარე უახლესი ისტორიისა. ეს არის ჩემი სვეტიცხოველი“...

ინგა ფილაური

ერთი მნიშვნელოვანი წიგნის

ირგვლივ

(ინფორმაციული ცნობა)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტიისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის მიერ გასულ წელს გამოიცა პროფესორ ვიქტორია ჯუღელის მონოგრაფია "ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებანი და მათი ქართული თარგმანები", რომელიც პირველი.

ჩვენი საზოგადოების ფართო ფენებისათ-

ვის ნეტარი თეოდორიტე ნაკლებადაა ცნობილი. დღეს, როდესაც რელიგიური მოსახრებებისა და მრწამსის შესახებ ინტერესი გაიზარდა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადრეული ქრისტიანული მოღვაწეების შეხედულებების გაცნობა და შესწავლა. ნაშრომის შესავალში წერია: "... იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თეოდორიტეს მრწამსის საკითხი, რომელიც მეცნიერთა გამოკვლევებში მართლმადიდებლობიდან მწვალებ-

ლობისაკენ მერყეობს და იმისათვის, რომ მკითხველი უკეთ გაერკვეს დაპირისპირებაში, რომელიც ამ ორ საღვთისმეტყველო სკოლას შორის წარმოიქმნა, ვეცდებით მოკლედ წარმოვაჩინოთ მათი მოძღვრების ძირითადი ელემენტები". თუნდაც ეს მომენტი ინვესს ფართო მკითხველი საზოგადოების დაინტერესებას, რომ არაფერი ვთქვათ სამყაროს ხსნისთვის უფლის დედამიწაზე ცხოვრების, სიკვდილისა და აღდგომის, კაცობრივი ბუნებისათვის ღვთაებრივი ცხოვრების შეერთების საკითხზე და მასთან დაკავშირებულ დავაზე, რომელიც ალექსანდრიულ და ანტიოქიურ სკოლებს შორის არსებობდა.

ნიგნიერი ადამიანისათვის თვით ამ შესანიშნავი ნიგნის ხილვაც უდავოდ სასიამოვნო რამაა, ის გარეგნულადაც მომხიბლავია - პოლიგრაფიულად მაღალი დონე, მშვენიერი

დიზაინი, მასალის სტრუქტურული დიფერენციაცია, სრულყოფილი დამხმარე აპარატი, ილუსტრაციები. ნიგნს ამშვენებს ყდის წინა მხარეს სპეციალურად ამ გამოცემისათვის ცნობილი მხატვრის - რუსუდან ფეტვიაშვილის მიერ შესრულებული ნეტარი თეოდორიტეს მშვენიერი ფერწერული გამოხატულება.

ნიგნის უსაზღვროდ დიდი მოცულობა (700 გვ.) თავისთავად მეტყველებს, რა ჯაფაც გაუწევია ავტორს მის შესაქმნელად, რა სირთულეები და წინაღობები დაუძლევია. როგორც ჩანს, ეს ნიგნი მისთვის ერთგვარ სულიერ ნაწილს წარმოადგენს, რაზედაც აშკარად მეტყველებს მასზე მინაწერი: "ამ ნაშრომს ვუძღვნი ნაადრევად აღსრულებულ სულგანათლებულ დედაჩემს - ლიანა (დოდო) ჯუღელს".

მაგდა მჭედლიძე
ფილოლოგიის დოქტორი

მნიშვნელოვანი გამოკვლევა და ფასდაუდებელი წყარო

თავიდანვე ვიტყვი, რომ ვიქტორია ჯუღელის ნაშრომი - ნეტარი თეოდორიტე კვირელი: ცხოვრება, მოღვაწეობა, მრწამსი, თხზულებები და მათი ქართული თარგმანები“ (ტომი I), თბ.: „ლოგოსი“, 2008, რომელიც ბიზანტიური პატრისტიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის, V ს-ის ანტიოქიური საღვთისმეტყველო სკოლის გამორჩეული მოაზროვნის - თეოდორიტე კვირელის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება, ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს. სირიული თეოლოგიური მნიგნობრობის სამი უდიდესი მოამაგიდან ქართველი მკითხველისათვის აქამდე შედარებით კარგად იყო ცნობილი მხოლოდ ეფრემ ასური და იოანე ოქროპირი. ეს ნაშრომი გახლავთ ჩვენს მეცნიერებაში ნეტარი თეოდორიტეს შესახებ დანერგილი პირველი მონოგრაფია (უნდა ითქვას, რომ ქართულ ენაზე თეოდორიტესთან დაკავშირებული აქამდე გამოქვეყნებული ცალკეული გამოკვლევებიც ვ. ჯუღელს ეკუთვნის). ნიგნი მოიცავს in folio 700 გვერდს, აღჭურვილია თანამედროვე მეცნიერული აპარატით,

ერთვის ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტებანი, ბიბლიოგრაფია (500-მდე დასახელება), ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, სახელთა საძიებელი, ფერადი ილუსტრაციები.

ვ. ჯუღელის ნაშრომი მრავალმხრივია. ნიგნის I ნაკვეთში განხილულია თეოდორიტე კვირელის ცხოვრება და მოღვაწეობა (გვ. 13-124), ალექსანდრიული და ანტიოქიური საღვთისმეტყველო სკოლების, ასევე კირილე ალექსანდრიელის (თეოდორიტეს მთავარი ოპონენტის) და ნესტორის (ვისი თანამოაზრეობაც თეოდორიტეს ბრალად ედებოდა) პოზიციების ანალიზის კონტექსტში. თეოდორიტეს მრწამსზე მსჯელობა გადმოცემულია საღვთისმეტყველო კრებების პერიპეტივებთან მიმართებაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ვიქტორია ჯუღელს საკითხისადმი საკუთარი დამოკიდებულება, საკუთარი თვალსაზრისი, უმთავრესად წყაროებზე დაყრდნობით აქვს წარმოდგენილი, თუმცა მაქსიმალურად აქვს გათვალისწინებული სამეცნიერო ლიტერატურაც.

II ნაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება: I ნა-

ნილში (გვ.126-167) სრულად არის აღწერილი თეოდორიტეს თხზულებანი ჟანრების მიხედვით. გააანალიზებულია თეოდორიტეს სამწერლობო სტილი.

თეოდორიტეს ნაწერებზე მსჯელობის დროსაც ვ. ჯუღელი ეყრდნობა როგორც უშუალოდ წყაროებში დაცულ ინფორმაციას (თავად თეოდორიტესა და სხვა ძველ ავტორთა ცნობებს), ასევე - სამეცნიერო ლიტერატურას.

ნიგნის ამ ნაწილში მონოდებულია ინფორმაცია თეოდორიტეს თითოეული ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია თითოეული ნაშრომის მოკლე ანოტაცია.


II ნაკვეთის II ნაწილში (გვ. 168-330) თეოდორიტეს თითოეული ნაშრომის გამოცემასთან დაკავშირებით. წარმოდგენილია თითოეული ნაშრომის მოკლე ანოტაცია.

II ნაკვეთის II ნაწილში (გვ. 168-330) თეოდორიტეს თხზულებათა ქართული თარგმანებია განხილული. მოცემულია თეოდორიტეს ნაწერების შემცველ ქართულ ხელნაწერთა დეტალური აღწერილობა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გააანალიზებულია მთარგმნელის ენა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თეოდორიტეს განმარტებების შემცველი გელათის კატენებიანი ბიბლიის სტრუქტურულ და ენობრივ ანალიზს.

უნდა აღინიშნოს, რომ თეოდორიტეს არაერთი ტექსტი თავად ვ. ჯუღელის მიერ არის იდენტიფიცირებული. ამავე დროს, მას გელათის კატენებიანი ბიბლიაში წარმოდგენილი განმარტებების საფუძველზე დადგენილი აქვს მასში შემავალი 28 ავტორი და მათი ნაშრომები, რომლებიც ამ კრებულში არის გამოყენებული.

II ნაკვეთში ცალკე ნაწილი ეთმობა ძველი ქართული მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში თეოდორიტეს პიროვნებასა და თხზულებებთან დაკავშირებით დაცულ ინფორმაციებს (გვ. 331-339).

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სარეცენზიო ნიგნის ის ნაწილი, რომელშიც პირველად არის გამოქვეყნებული თეოდორიტეს თხზულებათა ძველი ქართული თარგმანები (გვ. 346-635). გამოცემულია თეოდორიტეს სახელით დღეისათვის ცნობილი ყველა ტექსტი (როგორც ავთენტური, ასევე არაავთენტური და საექვო თხზულებები), რომელთაგან არაერთი თავად ვ. ჯუღელის



მოძიებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე ამ უაღრესად საინტერესო ბიზანტიელი მოღვაწის ნააზრევი ქართულ ენაზე ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი, ვინაიდან თანამედროვე ქართულ ენაზე თეოდორიტეს ნაწერების ძალზე მცირე ნაწილია თარგმნილი, ძირითადად - ფრაგმენტები. ხელნაწერებიდანაც აქამდე მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი იყო გამოცემული.

თეოდორიტე კვირელის ტექსტებთან ერთად, ნიგნში დანართის სახით ქვეყნდება თეოდორიტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული ივა ედესელისა და ლეონ პაპის ორი მნიშვნელოვანი ეპისტოლეს ძველი ქართული თარგმანებიც (გვ. 636-644).

ცხადია, ისეთ მნიშვნელოვან და საკამათო ავტორთან, როგორც თეოდორიტე კვირელია, და ისეთ თემებთან დაკავშირებით, რომელთაც ვიქტორია ჯუღელის ნიგნი ეძღვნება, გარკვეული საკითხების მიმართ მეცნიერის აზრი შესაძლოა სადავოც აღმოჩნდეს, მაგრამ ჩვენთვის შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანია ვიქტორია ჯუღელის ნაშრომის ღირსებები, კვლევის მაღალი დონე, მეცნი-

ერული მიგნებები, ტექსტების გამოცემაზე განეული უდიდესი შრომა.

თეოდორიტეს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვიქტორია ჯუღელი სტუდენტობის პერიოდთან მუშაობს. სარეცენზიო ნიგნი მისი მრავალწლიანი თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია. სწორედ ამიტომ არის მისი ეს ნაშრომი ასეთი მრავალმხრივი, ღრმად გააზრებული, რომლის თითოეული ნაკვეთის, თითოეული თავის, თითოეული ტექსტის გამოცემა უაღრესად ღირებულია მეცნიერული თვალსაზრისით.

გამოსაცემია ნიგნის მეორე ტომი, რომე-

ლიც სირიულ ასკეტიზმსა და თეოდორიტეს ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო თხზულებას - ფილოთეონთ ისტორიას ეძღვრება და რომელიც ავტორს უკვე გამზადებული აქვს გამოსაქვეყნებლად.


ვ. ჯუღელის გამოკვლევა და მის მიერ გამოცემული ძველი ქართული თარგმანების ტექსტები ფასდაუდებელი წყაროებია სხვადასხვა სპეციალობის მკვლევართათვის: ფილოლოგების, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეების, თეოლოგების, ფილოსოფოსების, ისტორიკოსების, ხელოვნებათმცოდნეების, კულტუროლოგებისათვის.

ინფორმაცია

აბულმუგის სამაროვანი

აბულმუგი ისტორიული სამშვილდის სამთავროს ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი ნაქალაქარი დმანისის მახლობლად არის, რომლის ხევიც შემონახულა ადრეელინისტური ხანის (ძვ. წ. IV-III ს.ს.) სამაროვანი. გათხრების შედეგად აქ მოპოვებული მასალა მეტად მნიშვნელოვანია როგორც თავისი ასაკით, ისე შემადგენლობის მრავალგვარობით. ამ მასალის ანალიზი აქამდე არქეოლოგიურ ლიტერატურაში მეცნიერულად წარმოდგენილი არ ყოფილა. სწორედ ამ მიზნის განხორციელებით გამოირჩევა თამარ ხობოაშვილისა და მერაბ ძნელაძის ნიგნი „აბულმუგის ანტიკური ხანის სამაროვანი: (ძვ. წ. IV-III ს.ს.)“, რომელიც 2008 წელს გამოიცა. მისი გამოცემა განხორციელდა „ტექნიკური უნივერსიტეტის“ საგამომცემლო სახლის მიერ. რედაქტორია პროფ. ნანა ხაზარაძე, შეიცავს 231 გვერდს, დართული აქვს ფოტო და ჩანახაზ-ჩანახატები, გამოყენებული ლიტერატურა, რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, შემოკლებათა განმარტებები, სურათების ნუსხა.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ექვსი თავ-



ვისაგან: აბულმუგის ტოპონომისათვის; სამაროვანის საკატალოგო აღწერილობა; სამარხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი; სამარხხეული მასალის შესწავლისათვის; სამარხთა ტიპოლოგიისათვის ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოში; დაკრძალვის წესჩვეულებები ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) სამეფოში.

როგორც ანოტაციაშია ნათქვამი, „ჩატარებულ კვლევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს

ქართლის სამეფოს (იბერიის) საწყისი ისტორიის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. იგი სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქვეყნის პერიფერიაზე მიმდინარე ეთნო-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებზე... იგი მნიშვნელოვნად შეავსებს ჩვენს ცოდნას საქართველოს ძველი ისტორიის საკმაოდ საყურადღებო ეპოქის შესახებ. ნაშრომს ინტერესით გაეცნობა საქართველოს ძველი ისტორიით, არქეოლოგიით და ეთნოგრაფიით დაინტერესებული მკითხველი.

ფრიდონ სიხარულიძე

ფასდაუდებელი წყარო

ხუთ ათეულ წელზე მეტია, ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა ცნობილი თურქოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ შენგელია. მრავალფეროვანია სწავლულისგან მეცნიერულად დამუშავებულ საკითხთა სპექტრი. განსაკუთრებით ფასდაუდებელია მისი ღვაწლი საქართველოს შესახებ უცხოეთში არსებული დოკუმენტების მოპოვების, თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეში.

თურქეთის მთავარ არქივში ხანგრძლივი მუშაობის შედეგად მკვლევარმა გამოავლინა ანაკლიის, ბაღდათის, ბათუმის, გომარეთის, გორის, რუხის, სოხუმის, ფანასკერტის, ფოთის, ქუთაისის და სხვ. სტრატეგიული ადგილების შესახებ მანამდე უცნობი და საქართველოს ისტორიისათვის ფასდაუდებელი წყაროები. მკვლევარმა ხელმისაწვდომი გახადა უცხოეთში არსებული ოსმალური რთული კალიგრაფიით შესრულებული პირველწყაროები: ანგარიშები, "ქუჩუკ-ბარათები", ფირმანები;

ნოდარ შენგელიამ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ნარატიული წყაროებით საქართველოს შესახებ უცხოელ მოგზაურთა ცნობებითა და საბუთების შეკრება-გამოცემის საქმეში; დიდია მისი ღვაწლი და ამაგი ოსმალური ისტორიოგრაფიის, თანამედროვე თურქი ისტორიკოსების შრომათა განხილვა-შეფასებისა და პოპულარიზაციის საქმეში. სწავლული სისტემატურად მონაწილეობდა აზერბაიჯანში, ბულგარეთში, თურქეთში, რუსეთში, სომხეთსა და ყირგიზეთში გამართულ სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. ნოდარ შენგელიას მიერ გამოცემულ მონოგრაფიებში, სამეცნიერო კრებულებში, ენციკლოპედიებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებულ მასალებში მოცემულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ეხება საისტორიო

დემოგრაფიის, საგადასახადო-საფინანსო უწყებების და სხვა. აქტუალურ საკითხებს, რომლებშიც იმავდროულად გაანალიზებულია ფასდაუდებელი წყაროები ოსმალეთის ვრცელი იმპერიის ხალხთა კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ.



ნოდარ შენგელია

75

სწავლულის დაბადებიდან 75-ე წლისთავს მიეძღვნა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული სამეცნიერო კონფერენცია. 2008 წელს გამომცემლობამ "ჭოროსი XXI" გამოსცა სწავლულის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული, რომელშიც გამოქვეყნებულია მისი თანამოკალმეების 50-ზე მეტი ნაშრომი. ამ ნაშრომების შინაარსს შეადგენს ქართულ-ოსმალური ურთიერთობები, ოსმალეთ-ირანის, საქართველოსა და წინა აზიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი მასალები; კრებულს დაერთვის პროფ. მირიან მახარაძის მიერ შედგენილი მეცნიერის მოკლე ბიოგრაფია და მისი შრომების ბიბლიოგრაფია.

ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილია ნოდარ შენგელიას ძირითადი შრომების ჩამონათვალი, სულ 200 სახელწოდებისა ქართულ, რუსულ და თურქულ ენებზე, თავისთავად ასეთი ტიპის გამოცემა ფასდაუდებელი წყაროა არა მარტო ნოდარ შენგელიას მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობის წარმოსაჩენად, არამედ იგი იმავე დროს მდიდარ საინფორმაციო მასალას მიაწვდის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობის, არქივმცოდნეობის სპეციალისტებს. კრებული, აგრეთვე საინტერესო მასალას მიაწვდის საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს.

მოზონება

ოთარ ოსაძე

როსა მოგავალი იკვითება

ცამდე მართალია დიდებული კონსტანტინე გამსახურდია, როცა ამბობს: „ჩვენი ბავშვობის შთაბეჭდილებანი უპირატესნი არიან ყველა დროის შთაბეჭდილებათა შორისო“. არ შეიძლება არ დაეთანხმო ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, პროფესორ აკაკი თოფურიას შესანიშნავად ნათქვამსაც: „ხანდაზმულობის „აივნიდან“ ნეტარებით დავცქერით ჩვენი ბავშვობის უჭკნობ ყვავილებს, მოგონებებით ვტკბებით და სიცოცხლის ახალ სტიმულს ვიძენთ“.

ჩემს ასაკში „ახალი სტიმულის“ შექმნაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ბავშვობის გახსენება ნამდვილად მახარებს და მატკობს. თანაც მინდა რამდენიმე ისეთი რამ მოვიგონო, რაც თვალნათლივ დაგვანახებს იმ ეპოქის რეალობას, და საშუალებას მოგვცემს თანამედროვეობას შევადაროთ ის, ამავე დროს მინდა დაგარწმუნოთ, როგორ ადრე იწყებს ადამიანი სრულიად ქვეშეუცნობლად ცხოვრებაში თავისი სამომავლო ადგილის ძიებას, რაც ცოდნის, ხელობისა თუ ხელოვნების დაუფლებასთან არის დაკავშირებული.

დავიბადე ზესტაფონში და სკოლაც აქ დავამთავრე. ჩვენი სკოლა ქალაქის ცენტრში, რკინიგზის სადგურის წინ მდებარეობდა, სადაც ახლა თეატრის შენობაა. ჩვენი სახლი კი იქვე იყო, სკოლის უკან. სკოლაში მაშინ გავრბოდი, ზარი რომ დაირეკებოდა და ყოველთვის ვაგვიანებდი. შორს მცხოვრები ბავშვები ბევრად ადრე მოდიოდნენ.

პირველიდან მერვე კლასის ჩათვლით ორი ჯგუფი იყო - „ა“ და „ბ“. პირველ ჯგუფში ადგილობრივი ქალაქელები იყვნენ, მეორეში - ახლომახლო სოფლელები. მე - ასე ვთქვათ - „ქალაქელი“, ერთადერთი ვიყავი „ბ“ ჯგუფში. აქ მშობლებმა იმიტომ ჩამრიცხეს პირველადვე, რომ ჩემი ნათლია თამარ ღავთაძე ასწავლიდა, რომელსაც ძალიან ვუყვარდი და მანებივრებდა.

ცნობილ ავსტრიელ მწერალს პეტერ ალ ტენბერგს ნათქვამი აქვს:

„იმაზე, ბავშვს თავის სიცოცხლეში პირველად საყვარელი ხელი მოეფერება თუ საძულველი, დამოკიდებულია მთელი მისი ცხოვრებაო“... ცხადია, მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ვრწმუნდები, რომ საყვარელი ნათლის ხელდასმული ბიჭი საკმაოდ განებივრებული და გათამამებული ვყოფილვარ პირველსავე კლასიდან. ჯგუფში ყოჩ ბიჭად ვითვლებოდი, ვიდრე „ა“ კლასიდან დასჯის მიზნით „ბ“-კლასში ჩემზე უფრო ყოჩი არ გადმოიყვანეს. მეორე დღეს მოინდომა მან ფანჯარასთან მდგარ მერხზე დამჯდარიყო, სადაც მე ვიჯექი. სიტყვაც არ



უთქვამს, ცერა თითის აქნევით მანიშნა, დამეთმო მისთვის ადგილი. აბა, ამას როგორ შევარჩენდი და დავეძგერეთ ერთმანეთს, ვიჩხუბეთ და ვძიძგნეთ ერთმანეთი, ვიდრე მასწავლებელმა არ მოგვისწრო.

მწერალი ნოდარ დუმბაძე ამბობდა: „ბავშვობის მოგონებას, რაც არ უნდა მხიარული და ხალისიანი იყოს იგი, მაინც ახლავს რაღაც ყრუ ტკივილი და სხვისთვის შეუმჩნეველი, თითქმის აუხსნელი სევდაო“. მართლაც, და დღეს ბავშვობის მეგობრები მე და სიმონ ტორაძე სევდანარევი ღიმილით ვიხსენებთ ჩვენ პირველ ჩხუბსა და შემდეგ წლებში კი განუყრელი მეგობრობის ხანას.

ხომ ყველასთვის ცნობილია, რომ მიმბაძველობა ბავშვის ერთ-ერთი ძლიერმოქმედი თვისებაა. განთქმულ ექიმსა და ფილოლოგს ივანე გომართელს ნათქვამი აქვს: „მიმბაძველობა ბავშვის ბუნებაში ძალიან არის განვითარებული. ის ცდილობს ყოველ მაგალითს წაბაძოს“. ასეცაა, ცუდი თუ კარგი ბავშვში ხშირად წაბაძულობით მოდის, მაგრამ მას თავისი ინციატივაც ხომ გააჩნია? აქვს სურ-

ვილი გაუგებრის გაგების, ცოდნის მიღების, რალაციის მიღწევისა. მწერალ ქაბუა ამირეჯიბს მიაჩნია, რომ ბავშვის „ყველაზე მძაფრი და დაუოკებელი გრძობა ცოდნის, გამოცდილების დაგროვების მოთხოვნილებაა“.

ჩემს ბავშვობასაც სწორედ ეს ახასიათებდა. რამდენი რამის დაუფლებისადმი გამიჩნდა ინტერესი. ერთ-ერთი იყო ფოტოგრაფია, რამაც ძალიან გამიტაცა. იმ დროს ფოტოგრაფები კი იყვნენ, მაგრამ სურათების ასე მასიურად გადაღება სად იყო, ახლა რომ არის? ძალზე გაკვირვებული ვიყავი, თუ როგორ დაოსტატებულად გვიღებდა სურათებს ჩვენი მეზობელი ბიჭი სამფეხაზე დამაგრებული პატარა ყუთით. არ მოვერიდე და ჩემზე კარგა ხნით უფროს ყმანვილს შევუჩნდი, ესწავლებინა ჩემთვის, როგორ იღებდა სურათებს. შევუჩნდი მამასაც და ვაყიდვინე, თურმე უკვე ჩამოსაწერი იყო ეს ყუთი თავისი მონყობილობით. ბევრს ვჩხიროვდელობდი. უკვე უფროს კლასებში შედარებით დავვოსტატდი, მაგრამ გუმანით ვგრძნობდი, მე ფოტოგრაფის ხელობას ვერ გავყვებოდი.

ბავშვობაში რომელ ბიჭს არ უთამაშია ფეხბურთი და არ უოცნებია, ცნობილი ფეხბურთელი გამხდარიყო. მეც ბევრს ვთამაშობდი და ვოცნებობდი, თუმც კარგად ვგრძნობდი, ჩემგან ფეხბურთელი არ დადგებოდა. მამის მშობლიური ქართლის სოფელ ფცაში ყველა ბავშვი ჭიდაობდა და დღესაც ჭიდაობს. ამ სახეობაშიც ვცადე ჩემი ძალები, გამოცდილი მოჭიდავეები მარწმუნებდნენ, მუხლი მაგარი გაქვს, კარგი მოჭიდავე დადგებიო, მაგრამ არც ამან გამიტაცა; მაშინვე ვიცოდი, მოჭიდავე ვერ გამოვიდოდი, ვერაფრით ვიფიქრებდი, სპორტის ისეთი სახეობის დაუფლება მომიწევდა, რაზედაც წარმოდგენაც კი არ მქონდა.

მაშინ მე-9 კლასში ვიყავი. გერმანელები კავკასიონს იყვნენ მომდგარნი და მათი თვითმფრინავები ზესტაფონის თავზეც გამოჩნდნენ. ხმა გავრცელდა: ფერო შენადნობთა ქარხნის დაბომბვა უნდათო. ქალაქში ხშირად გაისმოდა განგაშის საყვირის ხმა. ამ დროს მოსწავლეებს საკლასო ოთახებიდან გამოგყვრიდნენ, იქვე მდინარე ყვირლას პირას ჩაგვიყვანდნენ და განგაშის დამთავრებამდე რიყეზე გვანვენდნენ. დღესაც ვერ მივმხდარვარ, რას გვიშველიდა ეს. სულაც არ გვეშინოდა, პირიქით - გვამხიარულებდა. რას იზამთ, ასეთია ბავშვის ბუნება! ერთადერთი, რაც არ მოგვწონდა იყო ის, რომ დროდადრო ვაჟებს ღამით სკოლის მო-

რიგეობას გვავალებდნენ. ერთხელაც გამოვნიისას, ძალიან რომ შეგვცივდა და შემა არსად იყო, სამხედრო კაბინეტიდან ხის თოფები გამოვიტანეთ და კედლის ღუმელს შევუკეთეთ. იმ დროს ასეთი მოქმედებისათვის, ვინმეს ეს გადამეტებულად სერიოზულ რანგში რომ აეყვანა, შეიძლებოდა ძალიან ძვირად დაგვჯდომოდა. მაგრამ ბავშვები ვიყავით და ამიტომაც ეს ამბავი არ გაახმაურეს. იმით დაგვსაჯეს, რომ ოთხი ბიჭი ორიოდ დღით სკოლის სარდაფში გამოგვამწყვდიეს. რამდენიმე დღის შემდეგ მე და მეთექვსისეული ლეო ცერცვაძე სამხედრო კომისარიატში გამოგვიძახეს. ელეთმელეთი მოგვდიოდა, მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა. გამოგვიცხადეს, რომ სათხილამურო შეკრებაზე უნდა წავსულიყავით. უარს ვინ გაბედავდა და პატარა ცემში აღმოვჩნდით სათხილამურო ბაზაზე. სხვადასხვა რაიონებიდან სულ 50 ბიჭი ვიყავით შეკრებილი.

ერთი თვის განმავლობაში გვწვრთვნიდნენ და მთამსვლელ მებრძოლებად გვამზადებდნენ. ხშირად ეწყობოდა სათხილამურო ლაშქრობები ბაკურიანსა და ცემს შორის. საკმაოდ დავოსტატდით და მზად ვიყავით გავემზავნეთ კავკასიონის დასაცავად, მაგრამ ვიდრე წამოვიზარდეთ და სკოლა დავამთავრეთ, საბჭოთა ჯარებმა გერმანელები არამცთუ კავკასიიდან გარეკეს, უკვე მათ ტერიტორიაზე გააჩაღეს ბრძოლები.

სათხილამურო სპორტის ჩემი ცოდნა მხოლოდ იმაში გამომაღდა, ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლის დავალებით ბავშვებს თხილამურებით სიარულის ელემენტალურ ნესებს ვასწავლიდი, არ გეგონოთ - თოვლში, სკოლის სპორტულ დარბაზის იატაკზე. ისე, ფიზკულტურის მასწავლებლის ინიციატივით ქალაქში გამართულ სპორტულ-საჩვენებელ გამოსვლებშიც მომიწია მონაწილეობა.

საბოლოოდ ყველაზე მეტად წიგნმა და კითხვამ გამიტაცა. რალაც ისე მოხდა, რომ ლიტერატურისადმი გამიჩნდა მიდრეკილება. ნოდარ დუმბაძის ზურიკელა გამახსენდა, ლექსებს რომ უკითხავს ილიკოსა და ილარიონს ომსა და სიყვარულზე. მეც ერთი წყება ლექსებისა ომზე შევთხზე, მეორე - სიყვარულზე, პირველი ლექსი ჩემს უფროს ფრონტელ მეგობარს, რომელიც არც თუ ურიგო ლექსებს თვითონ წერდა, ილია აბაიშვილს მივუძღვენი, მეორე კი - იმ გოგონას, რომელთანაც სკოლის მერხზე გვერდით ვიჯექი და შემდეგ ჩემი მეუღლე გახდა.

ჩემი „პოეტური“ გატაცების შესახებ ამბავი მიუყვება ქართული ლიტერატურის მასწავლებელს ლეო სიმონიშვილს, მან დამიბარა და მთხოვა, ლექსები მისთვის მეჩვენებინა. ის თვითონაც წერდა ლექსებს, უმეტესად იუმორისტულს, რომლებიც რაიონულ გაზეთშიც იბეჭდებოდა. ამასთან, სკოლის კედლის გაზეთს ხელმძღვანელობდა და ჩემი რამდენიმე ნაცოდვილარიც აქ გამოამზეურა.

როცა ლექსები დამიგროვდა, ორად გავყავი, ერთ ჯგუფში პატრიოტული თემატიკის ლექსები მოვაქციე, მეორეში - სასიყვარულო, მაშინ - 1942 წელს ქალაქის შოვნა ძნელი საქმე იყო. ცენტრალური გაზეთიც უსახურ, რუხ ქალაქზე იბეჭდებოდა. ჰოდა, ძლივს ვიშოვე რამდენიმე ფურცელი, გადავწერე ლექსები, ავკინძე, თავფურცელი გავუკეთე, რომელიც ძლივს ნაშოვი ფერადი ფანქრებით გავაფორმე, დავურთე სარჩევი. ერთი სიტყვით, ორი ხელნაწერი წიგნი შევქმენი, ჩვეულებრივი წიგნის სახე მივეცი და ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. სიამაყით ვაჩვენებდი მეგობრებსა და ახლობლებს.

ახლა, როდესაც ჩემს ბავშვურ ნამოქმედარს გადავხედავ ხოლმე, ცხადია, ის ბევრს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ იმაზე კი მიმანიშნებს, საითკენ უნდა წარმართულიყო ჩემი ინტერესები. ისიც მაფიქრებს, თუ რამ განაპირობა ჩემი ამგვარი გატაცება. იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ეს ყოველივე ჩემი ყურადღებიანი, კეთილი მასწავლებლის ზეგავლენის შედეგია.

ბრძენკაც სოლომონ დოდაშვილს უთქვამს: „ვითცა მზე განაცხოველებს ქვეყანას, მიანიჭებს სითბოსა და ნაყოფიერებას, ეგრეთც ბრძენი მოძღვარი განანათლებს გონებასა და განავითარებს გულს აღსაზრდელთასა“. მე ამგვარ ბრძენ მოძღვრად მიმაჩნია ჩვენი პედაგოგი ბატონი ლეო სიმონიშვილი, რომელმაც ჩემს გულსა და გონებას ნათელი სხივი მოჰფინა. მართალია, პოეტი არ გამოვსულვარ, მაგრამ პოეზიის სიყვარული დამკვიდრდა ჩემში, წიგნის სიყვარული სამუდამოდ ჩამესახა, წერა ვისწავლე, ლიტერატურაში კარგისა და ცუდის გარჩევა შევძელი. ბატონი ლეო ენერგიული, სამაგალითო კაცი იყო. ზესტაფონის რამდენიმე სკოლაში ასწავლიდა, გაზეთში თანამშრომლობდა და მრავალ საზოგადოებრივ საქმეშიც იღებდა მონაწილეობას. საკმაოდ

ხანდაზმულ ასაკში დისერტაცია დაიცვა და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა, აქ, უკვე როგორც კოლეგები, სშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. სხვებთან თანდასწრებით ზომაზე მეტად მაქებდა და მრცხვენოდა. დიდი ილიას სიტყვები მაგონდებოდა: „დაუმსახურებელ ქებას, დაუმსახურებელი ძაგება ჯობიაო“ და უხერხულობას ვგრძნობდი.

ბავშვობაში ქორეოგრაფიასა და მუსიკას ვეზიარე. იმ დროს ზესტაფონში საკმაოდ კარგი მოცეკვავეთა წრე მოქმედებდა ბუხუტი დარახველიძის ხელმძღვანელობით. მეც იქ დვდიოდი, არაუშავს ვსწავლობდი, ბევრ რთულ ილეთს დავეუფლე, მაგრამ არც ამაზე შევჩერებულვარ, ხოლო ჩემი მეგობარი რეზო აბრამიშვილი, რომელთანაც ერთად დავდიოდი რეპეტიციებზე, ბოლოს თვითონ გამოვიდა ცეკვის მასწავლებელი. დოლის პროფესიულად დაკვრასაც დავეუფლე, რაც ცეკვასთან ერთად შემდეგში, სტუდენტობის დროს საკმაოდც გამოვიყენე, მაგრამ არა და არა! მაინც სხვა იყო ჩემი მომავალი, რომელიც ჩემს ბავშვობაში გამოიკვეთა.



ჩვენი შემოქმედება

გურამ თაყნიაშვილი

სიტყვაში გასხადებული სიმართლა



(ც. ბრეგვაძის პუბლიცისტური და მხატვრული შემოქმედების მოკლე მიმოხილვა) მხატვრული სიტყვა, თხრობაში გაცხადებული სიმართლე ადამიანის სულიერი განწმენდისა და ზნეობრივი დახვეწის ერთი უებარი წამალთაგანია.

წიგნიერ გარემოში გაზრდილი და მხატვრულ სიტყვასთან შეჭიდებული შემოქმედი სწორედ მხატვრული ხერხებით ძერწავს სიმართლეს, ობიექტურ რეალობას, იყენებს რა მას მკითხველთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. ასეთი მხატვრული ხერხებითა და ფორმებით გაბედული, პირდაპირი თქმითა და მოწოდებებითაა აღსავსე შემოქმედის, პუბლიცისტის და ბუნებათმცოდნის ციალა ბრეგვაძის მრავალმხრივი მოღვაწეობა. ეცნობით რა მის მხატვრულ შემოქმედებას თუ პუბლიცისტურ წერილებს, ჩანახატებს, თვალში გეცემათ ავტორის ინტელექტუალური აქტივობის, შემართების, ანალიტიკური აზროვნების უნარი. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული პერიოდული გამოცემები სისტემატურად ბეჭდავენ მის წერილებს, მინიატურებს. საოცარია ამ ქალბატონის მხატვრული სტილი, შეფარული, ალეგორიული მეტყველების უნარი, ც. ბრეგვაძემ საკუთარ თავზე გამოსცადა რეპრესიების სიმკაცრე, დაუნდობლობა, განუკითხაობა და ერის სულიერი დასახიჩრების სისხლიანი მცდელობა. თავის წერილებში, აშკარად, დიდი სულიერი სიმტკიცითა და ფაქტობრივი მასალების ანალიტიკური შესწავლით ანალიზებს ქვეყანა ფიზიკური თუ სულიერი განცალკევების ფაქტებს. განსა-

კუთრებული დამაჯერებლობითა და პირდაპირობით გამოირჩევა მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ეძღვნება რუსეთის იმპერიის პოლიტიკას საქართველოში პუბლიცისტურ წერილში „ფუტკრისა და კრაზანას ომი“ („მწერლის გაზეთი“, 2002, № 9).

ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში რელიგიური ზნეობა შეცვალა კლასობრივმა ზნეობამ, რამაც საბოლოოდ დააკანონა კაციჭამიობის უვერაგესი პრინციპი. ღმერთის უარყოფა ნიშნავდა ზნეობის უარყოფას, ხოლო ეს უკანასკნელი ეროვნული ცნობიერების მოშლას უწყობდა ხელს. წერილში „რუსული სისასტიკე“ (მწერლის გაზეთი, 2006, № 7) ავტორი იმონებს მ. გორკის სიტყვებს: „მე ვფიქრობ, რომ რუსული ეროვნული ხასიათის უმთავრესი თვისება სისასტიკეა“. ამ წერილში ავტორი მიმოიხილავს რა რუსეთის ორასწლიან ბატონობას საქართველოში, გულისტკივილით წერს, რომ რუსეთის მოხელეთა ბოროტმოქმედება საქართველოში აყვანილია უმაღლეს ხარისხამდე. მეორე წერილში „შემომეყარა ყივჩაღი“ („მწერლის გაზეთი“, 2006, № 2) ავტორი ასკვნის, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ ერის სულიერ მთლიანობაშია, ქართველი ერის შინაგანი ძალის, შემოქმედებითი პოტენციალის გააქტიურებაშია. ასეთსავე დასკვნას აკეთებს ავტორი აგრეთვე სხვა წერილშიც (იბერია თაიმსი, 2004, 29 დეკემბერი). ქართულ ენას, როგორც ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას ისე უყურებს ავტორი. იგი მისი დაცვისა და გაძლიერების პრობლემებს მწვავედ ეხება წერილში „დავიცვათ ეროვნული ცნობიერება“ („მწერლის გაზეთი“, 2003, 14 მაისი).

საქართველოში 1924 წლის აჯანყების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ პუბლიცისტურ წერილებში ც. ბრეგვაძე პატივს მიაგებს ამ აჯანყების მოთავეებს, რომლებიც ცდილობდნენ

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას (გაზ. „ახალი შვიდი დღე“, 2004, 17 დეკემბერი, გაზ. „იბერია“, 2006, № 1).


ც. ბრეგვაძის მახვილ კალამს არ გამორჩენია დღევანდელი ყოფიერებისათვის დამახასიათებელი მანკიერი თვისებები: ბილწსიტყვაობა, დედის გინება, ლოთობა, ნარკომანია და სხვ. მთავარი მიზეზი ასეთი თვისებებისა, ავტორის აზრით, არის ახალგაზრდობის არასწორი აღზრდა: „ყოველივე ამ მანკიერებათა მიზეზს აღზრდაში ვხედავ, მოზარდს ცუდი აღზრდის გამო არა აქვს ჩამოყალიბებული ეროვნული ცნობიერება“ (გაზ. სამყარო, 1997, № 5). ასეთი პათოსი და მიდგომა დამახასიათებელია ც. ბრეგვაძის წერილებისათვის, რომლებიც გამოქვეყნებულია პერიოდულ გამოცემებში („მართალი გაზეთი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვ.).

საინტერესოდ იკითხება და ორიგინალური მიდგომით გამოირჩევა ც. ბრეგვაძის მხატვრული ჩანახატები, მინიატურები. მოკლე და სხარტი თხრობის მანერა მკითხველს საშუალებას აძლევს, ერთი ამოსუნთქვით ნაიკითხოს ასეთი ნიმუშები, სადაც ავტორი ცდილობს დაამკვიდროს მორალურ-ზნეობრივი კატეგორიები, სიკეთე, გამტანობა, თანადგომა და ეთიკური ღირებულებები. მცენარეთა და ცხოველთა პირით ც. ბრეგვაძე საკუთარი გულის ტკივილს გვამცნობს, იმ გულისტკივილს, რომელიც ბედის უკუღმართობამ შეჰყარა. ავტორი არ აპირებს აქტიური მოქმედების შეწყვეტას. იგი სულით ძლიერია და მარადიულ სამყაროს გონების თვალთა ჭვრეტს; მას მუდამ ახსოვს ერთი მარადიული ჭეშმარიტება - ყოველ ცოცხალს, ღვთისაგან შობილს აქვს ბედნიერების უფლება. ამის მისაღწევად ბრძოლაა საჭირო. ავტორი ღმერთს შესთხოვს, ხელი გაუმართოს ამ ბრძოლაში: „ღმერთო, ღვთისმშობელო, შემაცვლევიწე, შემაცვლევიწე ნაღვლიანი ბედისწერა, სისხლიანი ბედისწერა, რომ მიხაროდეს მზის ამოსვლა, მზესუმზირის ყანების ხილვა, სულს მინათებდეს ჩანჩქერის

ხილვა, ვარსკვლავთ ციალი, უხილავის ხილვა“ (ეტიუდი „ორბი“ - გაზ. სიტყვა ქართული“, 2003, 27 იანვარი); იმავე პათოსითაა დაწერილი ეტიუდები: „ფიქრი“, „მერცხლის წუხილი“ და სხვ. ჩანახატები; გარდა მხატვრული ნიმუშებისა, ც. ბრეგვაძის კალამს ეკუთვნის უამრავი რეცეპტი, რეკომენდაციები და რჩევები სამკურნალო მცენარეების შესახებ, ამ სერიის მასალები სისტემატურად ქვეყნდებოდა პერიოდულ გამოცემებში „სიტყვა ქართული“, „ჩემი მამული“, „დილა“ და სხვ.

ც. ბრეგვაძე სპეციალობით ბიბლიოთეკარია. მრავალი წლის განმავლობაში წიგნის სამყაროში ტრიალმა, ადამიანურმა ბუნებამ და სწრაფვამ უკეთესისაკენ განაპირობა მისი, როგორც მწერლისა და პროფესიონალის მაღალი იდეურობა და შემოქმედებითი აქტიურობა. მისი შემოქმედების შესახებ ჩვენ ადრეც ვიტყობინებოდით (2002, № 2); ც. ბრეგვაძის შემოქმედების მოკლე მიმოხილვა გამოაქვეყნა „მწერლის გაზეთმა“ (2005, 18 ივლისი), შალვა მჭედლიშვილის სტატიაში „ქალი მინდია“ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული ც. ბრეგვაძის მრავალმხრივი შემოქმედების შესახებ. ჩვენ ვიზიარებთ შ. მჭედლიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ ც. ბრეგვაძემ მკითხველს წიგნის სახით მიანოდოს საკუთარი შემოქმედება.

საქართველოს საბიბლიოთეკო დარგში ამჟამად იღვწის მრავალი შემოქმედი, მწერალი, პოეტი; მათი გამოქვეყნებული მასალების შესახებ ჩვენს ჟურნალში ვათავსებდით მოკლე მიმოხილვებს, ანოტაციებს; ც. ბრეგვაძის შემოქმედების ასახვა და, მით უმეტეს, მიმოხილვა ერთ მცირე მოცულობის წერილში ერთობ ძნელია. ჟურნალის რედაქციაში თავმოყრილია ც. ბრეგვაძის შემოქმედების თითქმის ყველა მასალა, რომელიც დღენიადაგ ივსება ახალი პუბლიკაციებით. ეს მისი ნააზრვის ერთგვარი სალაროა; უფალი იყოს მისი მფარველი და დიდხანს შერჩეს ბრძოლისა და სიხარულის მომნიჭებელი ძალა, რათა სიხალისე და ნათელი შეიტანოს მის შემოქმედებაში.



ლია გურეშიძე

გულწრფელი სტრიქონები

წარმოდგენილი ლექსების ავტორი გახლავთ ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონსულტანტი, საქართველოს მნივნილოვანთა ასოციაციის ქუთაისის საქალაქო გამგეობის თავმჯდომარე ლია გურეშიძე. იგი 40 წელია მუშაობს საბიბლიოთეკო სისტემაში - იყო ახალგაზრდული ბიბლიოთეკის გამგე, № 8-ე საქალაქო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდისტი, ბიბლიოთეკების მართვის მეთოდური და საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე. ამგვარ პირობებში ის ჩამოყალიბდა როგორც საბიბლიოთეკო საქმის უმაღლესი რანგის სპეციალისტი. პარალელურად ის მუდამ ეწეოდა მეცნიერულ საქმიანობას - აქვეყნებდა რეცენზიებს ქართველი პოეტების ნაწარმოებებზე, წერდა კრიტიკულ ესეებს, გამოქვეყნებული აქვს ორი წიგნი, ახლო მომავალში გამოიცემა მესამეც.

ლია გურეშიძის პოეტური გატაცება უცნობი არ არის ჩვენი საზოგადოებისთვის. მისი ლექსები გამოირჩევა სილალით, ფიქრით, აზრის სისადავითა და ადამიანური გულწრფელობით. დაე, რამდენიმე ლექსის მეშვეობით, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ, ლია გურეშიძეზე, როგორც შემოქმედზე, თვით ჩვენმა მკითხველებმა იმსჯელონ.



მესიზმრა,
წყალმა დაახრჩო ჩიტი,
მოვარდა ქარი,
წვიმა, მეხიცა.
უცებ ჩემს სარკმელს მზემ მოაშურა
და შეშინებულს გამომელვია...

შენ...

რიდით შეგყურებ, ალვის ხეო,
ვერ ხვდები განა?!..
შენთან მოვდივარ
თითქმის ყოველდღე,
შენ ცას უცქერი
და იხედები სულ მაღლა-მაღლა,
ცა კი შენ ჩემსკენ
არასოდეს არ მოგახედებს.

უკვე ბითხარი...

მე ყველაფერი უკვე გითხარი,
გითხარი, როგორ მიყვარდი წინათ,
გადაიარა ბევრმა ამინდმა,
წავიდა ბევრი თოვლი და წვიმა.

ალარაფერი დამრჩა სათქმელი,
სიტყვას ვეძებ და ველარ ვიპოვე,
თუ გრძნობა ერთხელ დაინაცრება,
რა გაანათებს ფერმკრთალ სტრიქონებს.
ულმერთოდ ღარიბს სურვილი ახრჩობს,

ულმერთოდ მდიდარს ყველა სწყინდება,
თუ სიყვარული დარჩა ეული,
სუსტი ბავშვივით აქვითინდება.
ჰო, ყველაფერი უკვე გითხარი,
და ვინ მოისმენს ახალ არაკებს,
თუ რამე დაგრჩა ჩემთვის სათქმელი
ჩუმად, შენს თავთან ილაპარაკე.

სხვისი განძი მოვიპარე
ჩემი ბალის ხეივანში,
ბოლო ხესთან ხმა მომესმა,
ბალი ფერმკრთალ მზის ნაშუქით,
დალლილ სხვივით იყო სავეს
მზე დნებოდა, რაღაც ჩიტის
ხმა ისმოდა უნაზესი.

იდგა წყვილი -
ბიჭი გოგოს
თან ატანდა მზეს და მთვარეს,
მე რომ ვიდექ, იმ მიწასაც,
მთელ ქვეყანას, არემარეს.
გულის ცემა გამიჩერდა -
სხვისი განძი მოვიპარე.

ვნანობ

გაფრენილა სული ცაში,
მებრალევა ვინც ძირს რჩება
რატომ მინდა მეც არ ვიცი,
ახალ ქვეყნის აღმოჩენა.

სადღაც ზევით ღრუბლის ფერი,
მკრთალდება და ნაზი ხდება,
მწუხარებით მავსებს ჩემი
სურვილების ამბოხება.

ვნანობ, ამ ცივ ქვეყანაზე
თავი მინას ქორით მიაქვს,
ფეხსაცმლის ქუსლს გიზომავენ,
ტუჩზე ღიმილს დაგიტვლიან.

ყველა თავის აზრით დადის,
ყველა თავის ჩანგზე მღერის,
ვერ აღელვებს ყველას ატმის
უნაზესი ფოთლის ფერი.

გაფრენილა სული ცაში,
რა ცოდვაა, ვინც ძირს რჩება,
რატომ მინდა მეც არ ვიცი,
ახალ ქვეყნის აღმოჩენა.

მთვარე უღბას დარაჯად
ცის ყვავილებს - ვარსკვლავებს
დაუნაბავთ თვალები
ციმციმებენ, ინვიან,
სიყვარულით მთვრალები.

ღიმილიან წამნამებს
ცის უბეში მალავენ,

მთვარე უდგათ დარაჯად,
მთვარე და სხვა არავინ.

დილით ფერი უკრთებათ,
როცა სულ მთლად ქრებიან,
უფრო მეტრალებიან,
უფრო მენატრებიან.

რაც ახლოა ვერ ვხედავთ,
რაც შორია - ვაფასებთ.
იხატება სურვილი
გულზე, როგორც დაფაზე.

ცის ყვავილებს - ვარსკვლავებს
დაუნაბავთ თვალები,
ციმციმებენ, ინვიან
სიყვარულით მთვრალები.

მიგვაქანებდა ბოლო სადგურში,
ცხოვრება - სწრაფი მატარებელი,
და მე გართულმა უცხო მგზავრებით,
საუბედუროდ ვერ შეგამჩნიე.
მერე დასრულდა შენი გზანვრილი,
ხსოვნაში დამრჩა გლოვა მარადი,
შენ მატარებელს ადრე ჩამორჩი,
და მერე როცა აღარ გამოჩნდი,
ვინანე, ასე ცუდად, უბრალოდ,
როგორ დავკარგე მგზავრი ძვირფასი.

გულისტკივილით გვინდა ვაცნობოთ ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენმა ცნობილმა კოლეგამ, კრეტიან ზუმრუდ გოდერძიშვილმა, ვიდრე გარდაიცვალა, რამდენიმე დღით ადრე მოგვაწოდა ეს ლექსები.

ზუმრუდ გოდერძიშვილი

ხილვა

მზის შუქი - სალუქი
დაიბნა გამებად,
და იდგა სამება,
და იდგა სამება,
როგორც დიადემა -
ბრწყინვალე ცის კილით.
და იდგა სამება
ლოცვით და სიმტკით.
ჯვარს ზემოთ მზის სხივი
რონინით ვიდოდა,
მე მუხლის მოყრა და
თაყვანი მინდოდა,
დაიფრქვა სხივი და
დაიბნა გამებად,
ზეცის ქონგურებთან
ბრწყინავდა სამება.

საგოდებალი

ჩემი ცრემლი ტკივილია სოხუმის,
თან გამომყვა სისხლდაქცეულ მიწიდან,
ბახტრიონზე გადმომდგარა ლუხუმი,
თვალებიდან სისხლის ცრემლმა ინვიმა,

სად გაფრინდა ზღვიდან თეთრი თოლია,
ბიჭვინთაში მედუა დგას ეულად,
მე ამ ზეცის წვიმა გამომყოლია,
და სიზმრებში მეცხადება გრძნეულად,

ვიცი ტკივილს ვერსად დავემალე,
კვლავ ბობოქრობს ჩემში ბრძოლის ხანძარი,
დარაზმულან ქართველის ამორძალები -
თამარ მეფის მობრძანდება ლაშქარი!

სალამური

ხმა ირხევა, ხმა ნარნარი საოცარი,
ბულბულია - ვარდის ტევრში განაბულა,
შენ შექმენი, ღმერთო, შენდა სალოცავად
და ლერნამი აამღერე სალამურად.

ვით ჩანჩქერი იმსხვრევა და იტყორცნება,
და ჩურჩულებს უმჭვირვალეს ნაკადულად,
მტევნის ღანვი ნიავით რომ იკოცნება,
სალამურის ნაზ ჩურჩულში დაკარგულა.

ვით ალერსი ნამნამებზე ცრემლის ნამის.
ბრწყინავს წვიმა და ფოთოლზე დავლურს
უფლის,
ო, შერჩერდი სალამურო ერთი ნამით,
და მიიღე ლოცვა უფლის!

თეძამთან

ნატვრის ხე და ის სალამო,
დარჩენილი თეძამთან,
ო, რა დიდხანს დამეძებდა,
ო, რა დიდხანს მეძახდა!
თეთრ ხიდზე რომ გვიყვებოდნენ -
ხიდიაო თამარის,
მდინარეს რომ ერტყა წელზე,
როგორც ვერცხლის ქამარი.
რკონის წმინდა სალოცავი
დაბურული ნაძვნარით,
იდგა როგორც მეციხოვნე
უმშვენესი ტაძარი,

ხეთისმშობელი გვაცილებდა
თავის ლოცვა კურთხევით,
ის ადგილი მენატრება
რალაც განსაკუთრებით!

მეგობარ პოეტს

თურმე რამდენ სიტბოს მალავ,
რამდენ ღიმილს ნილბავ,
შენი სიტყვის ფრთიან ძალას
უხშობ ბედს და ილბალს,
რა უეცრად განიძარცვე,
და გიხილე რაც ხარ,
ხელზე ვიფშენი ოქროს მარცვლებს,
შენს ლექსებს რომ ახლავს,

სიტყვაში რომ ბრწყინავს ლალი,
მის ნაკითხვას რა სჯობს,
შენი ლექსის მადლს და მარილს
და ფრთებს გაუმარჯოს!

წიგნის განხილვაზე

ერთს პატივი დიდად მიაგეს,
შეუქეს წიგნი,
აზრის სიახლე,
ხოლო მეორე -
რალაცით რომ
გავდა ლამანელს,
მშვიდად ელოდა ღმერთებისგან
სასტიკ განაჩენს.



ჩვენი ჟურნალი ყოველთვის გულღიათ უღებს კარს კოლეგების შემოქმედებას. ეს, ერთგვარად, ახალისებს და ემოციურს ხდის ჩვენს ურთიერთობას. ბიბლიოთეკარების მოკრძალებული სტრიქონები ხშირად ნამდვილ პოეტურ აღმაფრენასაც კი იწვევს, რაც მთავარია, ისინი გულწრფელი და უშუალო გრძნობების გამომხატველნი არიან, რაც ნათლად ჩანს მათ მიერ წარმოდგენილ ლექსებში.

სწორედ ამგვარ გრძნობებს აღგვიძრავს თბილისის საბიბლიოთეკო სისტემის 23-ე ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარის ცირა გამყრელიძის ლექსები. რამდენიმეს დღეს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველებს.

ცირა გამყრელიძე

ფიქრი

ფიქრმა გამიტაცა სადღაც,
მატარა მთა და ბარი,
ვარდისფერ ღრუბლებზე დამანვინა,
გამილო სამოთხის კარი.

აფხაზეთს მანვია, ბედიას,
ჩოქვით მოვილოცე სალოცავი.
ცხინვალს ვეახელი მაჩაბელს,
ლხინი გაიმართა საოცარი.

გარეჯში გუგუნებდა ზარები,
საინგილო დავიბრუნეთ ვითომ,

ტაო-კლარჯეთი მოვირბინე,
ჩემად დავიგულე თითქოს.

ფრთები დამელალა ფიქრის,
ღრუბლებმა დაკარგეს ფერი.
დავეშვი მინაზე და ისევ -
"ბინდისფერია სოფელი".

დაგელოდები...

დაგელოდები, დაგელოდები
მაისის თვეში იასამნებთან,
დაგელოდები გამთენიისას
მზის გაბრწყინებას ვუცქიროთ
ერთად.

სველ იასამნებს მოვპარავთ
სურნელს,
შენ ღიღილოებს დამაბნევ თმებზე,
მერე ვარდების შევკრათ კონები,
გადამაყარე ფერებად მხრებზე.
მე დავიღლები ამ სიყვარულით,

არცერთ საყვედურს არ გეტყვი,
ოღონდ,
რომ სიყვარული გადავარჩინოთ,
მარტო იმიტომ ვილოცებ მხოლოდ.

გაზაფხული გამეპარა,
ფერად-ფერად ფიფქებით,
სიჭაბუკემ მიმატოვა
ვარდისფერი ფიქრებით

სული სევდამ გამიშიშვლა
ფოთოლდაყრილ რტოსავით,
შემოდგომამ შემომბლავლა
ახლადშობილ ხბოსავით.

ნლებმა თმები დამიფერა
ზამთრისფერი ფერებით,
მერე დაღმართს გამიყენა
ფორთხვითა და ცეცებით.



ასევე გვინდა შემოგთავაზოთ ცავლინა გოგუაძის რამდენიმე ლექსი. ცავლინა ლანჩხუთის მრავალდარგოვან კოლეჯში მუშაობს პედაგოგად, მაგრამ მუდმივი კავშირი აქვს ლანჩხუთის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, რომლის აქტიური მკითხველი და ბიბლიოთეკის მეგობართა ჯგუფის გამორჩეული წარმომადგენელია. ის ხელმძღვანელობს აქ ლიტერატურულ წრეს, სადაც ბევრი ახალგაზრდა დაფრთიანებულია, დაუხვეწია გემოვნება, დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიუღია. თავად პოეზიის თაყვანისმცემელი, ახალგაზრდა თაობის შემოქმედებით აღზრდას უწყობს ხელს და ცდილობს, ყველა მათგანი პოეზიის ხიბლს აზიაროს. თვითონაც შექმნილია პოეტურ სტრიქონებს და ლამაზ ლექსებსაც ქმნის. გვინდა ჩვენს მკითხველს გავაცნოთ რამდენიმე მათგანი.

ცავლინა გოგუაძე

ღღე

მიიცვალა კუნაპეტი ღამე,
შავნაბადა, ფიქრით გაცვეთილი,
ვარსკვლავები მზეს გაუღებს კარებს
და თვალს მოგჭრის სინატიფე დილის.

ღღე მომიქსოვს იმედების ფარჩას,
ამიშენებს ტაძარს სათნოების,
სიყვარულის საფირონს და მარჯანს
გულს მოაბნევს დიდი სასოებით.

ვეღარ დამღლის გაცვეთილი ფიქრი,
შრომის სიო გამიგრილებს სახეს,

ბოროტებას სისხლს გამოსწოვს ფითრი,
ორპირობა ვერ დამიგებს მახეს.

ძეგლს ავუგებ სიტყვას ჩუქურთმიანს,
ხვალინდელ ლექსს - დაუნერელ ფურცლებს,
სულს მივანდობ მთის მონაბერ ნიავს
და გადმოვღვრი სიხარულის კურცხლებს.

ათასჯერ მითქვამს, ასჯერ ძნელია,
ახალი ლექსის ფუძე ჩაყარო,
ვიდრე ახალი სახლი დაიწყო
და ააშენო სულ სხვა სამყარო.



ლექსი მათქმევი!

ლექსი მათქმევი და მერე მომკალი!
სიკდვილს სიცოცხლედ ჩავთვლი,
მომთიბე, ვით თავთავს მოთიბავს მომკალი,
სიცოცხლეს არ შესწყვეტს ძარღვი!

ძარღვიდან უწყვეტად იჩქეფებს რითმები,
რითმები - თვით ლექსის დედა...
ლექსი დამამშვენებს, ვით ჭალას იფნები,
ისინი დადგებიან მედგრად.
სიცოცხლე ლექსებში იპოვის სიმშვიდეს,
სიცოცხლე ლექსებში რჩება!

ლექსი მათქმევი და ისე მომკალი!
სურვილი აღმისრულე წმინდა:
მომთიბე, ვით თავთავს მოთიბავს მომკალი,
ჩავიცვამ ბეგთარის წინდას.
სიცოცხლე ლექსებში იპოვის სიმშვიდეს,
მეც მათი უკვდავება მინდა.

რა დრო გასულა!

რა დრო გასულა! მოხუცობა არის ასეთი:
ახალგაზრდობის დაფრქვევია სიბერეს ფერფლი,

მაგრამ თვალებში არ ჩამქრალა, კიაფობს
ცეცხლი,
არ ღრკება გულიც, ისევე ანცობს, ვით წყალი
ვერცხლის.
წმინდა სიყვარულს თავს დაუდგამს ოქროს
გვირგვინი,
ხან სიხარულის, ხან გოდების მქონდა ქვითინი,
წარსულის აჩრდილს უსერია გულში იარა,
წარბიც არასდროს შემხრია, არც ვთმობ იარაღს.
განა შარბათი არ შემისვამს მწყურვალე ბაგით?
ოქროს თევზებიც მიჭერია სულ ოქროს ბადით.
განა, არ ვმდგარვარ სიხარულის მაღალ
კვარცლბეკზე?
განა, წუხილი გამომითქვამს ჩემივე ბედზე?
კმაყოფილი ვარ, რაც მომიზლო დედა-ბუნებამ,
ვერას დამაკლებს სიღარიბე, ვერც ფუფუნება
თვალებს ვერ მომჭრის, ვერ შემეცვლის
უდრეკ ხასიათს,
გულით ვატარებ გაუმხელელ წმინდა
ხვაშიადს.
ეჰა, რამდენჯერ შავი ღამე მითეთრებია,
დავდევენებივარ ღამაზე სიტყვას, ცისფერ
ფრთებიანს
და შემეჩნია სიტყვათწყობა მძივად ასხმულნი -
ჩემი სუნთქვა და ჩემი გული, ჩემი ასულნი!

ჩვენ ენა ქართული



მიხეილ რეხვიაშვილი,
პროფესორი

რით სჯობია



ქართველი ჟურნალისტები, პარლამენტარები, მოხელეები ოფიციალურ გამოსვლებში ხშირად ძალიან დაუდევრად ეკიდებიან მშობლიურ ენას და „ანაგვიანებენ“ მას. მათ მეტყველებაში ვხვდებით არასწორ გამოთქმებს, მიუღებელ ტერმინებს, ბარბარზიმებს, სტილისტურ და გრამატიკულ შეცდომებს. ზოგი არასწორი ფორმა თანდათან მტკიცედ იკიდებს ფეხს, რაც სავალალოდ, ნათლად ჩანს. მაგალითად, „ქართველების“ მაგიერ ძალიან ხშირად ამბობენ „ქართული“ („ქართული ბიზნესმენები“, „ქართული მუსიკოსები“ და სხვ.). სხვათა შორის, პირველ-მეორე კლასის მოსწავლეებს არ ეშლებათ „ვინ“ და „რა“ ჯგუფის სახელები.
სულიერი და უსულო საგნებისაგან მხოლოდ ადამიანი გამოირჩეული. ეს ქართულშია ასე, თორემ უმრავ-

ლეს ენაში ადამიანი გაიგივებულია სხვა სულიერებთან. ქართულში „ვინ“ მხოლოდ ადამიანზე ითქმის. არ შეიძლება სხვა ენის გავლენა გავავრცელოთ ქართულზე.
ბიზანტიელების, რომაელების, არაბების, სპარსელების, ოსმალების, მონღოლების, რუსების ორას-ორას წელს ბატონობისას ქართული ენა იმდენად არ შერყვნილა, რამდენადაც ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში. ილია ბრძანებდა: ქართულ ენას იმდენი რამ განსაკუთრებული ღირსება აქვს, ეგრეთ ნოდებულ განვითარებულ ენებს შემურდებოდათ.
აკადემიკოსი ნიკო მარი აღნიშნავს რომ „თუ ქართული ენა საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი, მსოფლიო ენები შეუსწავლელი დარჩება... მსოფლიოში არ არსებობს ენა და ამ ენებზე სიტყვა, რომელიც ქარ-

თულად არა მარტო ითარგმნოს, არამედ მხატვრულად არ გამოითქვასო“. რუსი ენათმეცნიერი პ. უსლარი ქართული ენის შესახებ წერს: „ასეთი სრულყოფილი ენა და ანბანი ცის ქვეშ არ მეგულებაო“, ცხადია, ქართული ენის საქებარი ამით არ ამოიწურება. ადრე გვქონდა ენის პალატა, რომლის ხელმძღვანელი ბევრს არაფერს აკეთებდა და არაა გასაკვირი, რომ დაითხოვეს, მაგრამ მას მთელი პალატაც რომ მიაყოლეს, დიდი დანაშაულია. საჭიროა პალატის აღდგენა, ღირსეული ხელმძღვანელის პოვნა და პროფესიული,

გამოცდილი კადრების შერჩევა. დაბნეულად ლაპარაკი ყველას შეუძლია, დალაგებულად ლაპარაკი - ცოტას (გალილეო გალილეი). ყველამ უნდა მივიღოთ ეს მხედველობაში. ისიც უნდა ვილოთ ყურად, რასაც პითაგორა ჯერ კიდევ როდის ამბობდა: ხალხის ზნე რომ ისწავლო, ჯერ მისი ენა შეისწავლეო.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ ზოგი მაგალითი იმისა, თუ როგორ არასწორად მეტყველებენ უმეტეს შემთხვევაში და დაუფიქრისპირობოთ მას - როგორ აჯობებდა თქმულიყო:

აბგოპენ:

იმიჯი
მომავალი მთავრობის სხდომა
რეინჯერი
შეცდომას უშვებს
ქართული საზოგადოება
ქართული ინტელიგენცია
დაცვის ქვეშ მყოფი
სწავლის პროცესი დაიწყო
დაკონტაქტება
დამესიჯება
უმუშევარი საქართველოს მოქალაქე
ექვსი პრეზიდენტის კანდიდატი
გადამისამართება მოხდა
გაყიდვაშია
ვაჭრობაში წყვეტილობა არ იქნება
წამოსულიყო თქვენთან შეთანხმებაზე
გააკეთეს გაცვლა
ახლა იგი შეასრულებს მონოდებას
აკეთებს დანაშაულს
გააკეთეს გაცვლა
ედებენ დიდი ნაბიჯები გააკეთა
გავაკეთებ დაშვებას
ოცი წელი გავიდა მას შემდეგ
ციხიდან თავისუფლებაში გაუშვეს ბავშვები
ძეხვი განადგურებას ექვემდებარება
შერიგება არ შედგა
ვინ გააკეთა გაყალბება
დამნაშავე იმყოფება ძებნაში
შერჩევა გავაკეთე
არ გავიმეორებ
ტყეში რეინჯერები შევიდნენ
მუშაობა მიმდინარეობს გზის განმენდის
მიმართულებით

ჯოგია:

სახელი, დიდება, ღირსება
მთავრობის მომავალი სხდომა
მეთვალყურე
ცდება, შეცდომა მოსდის
ქართველი საზოგადოება
ქართველი ინტელიგენცია
დასაცავი
სწავლა დაიწყო
დაკავშირება
შეტყობინება
საქართველოს უმუშევარი მოქალაქე
პრეზიდენტის ექვსი კანდიდატი
მისამართი შეიცვალა
იყიდება
ვაჭრობა არ შეწყდება
შეთანხმებოდათ თქვენ
გაცვალეს
ახლა იგი მოგიწოდებთ
სჩადის დანაშაულს
გაცვალეს
ედებენ დიდი ნაბიჯი გადადგა
დავუშვებ
ოცი წელი გავიდა მის შემდეგ
ციხიდან გაათავისუფლეს ბავშვები
ძეხვი გასანადგურებელია
ვერ შერიგდნენ
ვინ გააყალბა
დამნაშავე იძებნება
შევარჩიე
არ გავიმეორებ
ტყეში მეთვალყურენი (მეტყველები) შევიდნენ
მიმდინარეობს გზის განმენდის სამუშაო

ყოველივე ეს წვეთია ზღვაში. თუ მთავრობა და ენათმეცნიერები ენისათვის ამ საშემო მოვლენას წინ არ აღუდგებიან, აღსრულებდა გრ. ორბელიანის გამაფრთხილებელი სიტყვები: „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.

რედაქციისაგან: რედაქცია შეეცდება უფრო მეტად იზრუნოს მშობლიურ ი ენის დაცვისათვის. ჩვენი კარები ღიაა ყველასათვის, ვინც ამ მიზნით შემოგვთავაზებს წერილებს. ძნელია, მაგრამ მაინც ყველამ, დიდმა თუ პატარამ უნდა ვიზრუნოთ, დავხვეწოთ ჩვენი წერილობითი თუ ზეპირი მეტყველება.

ჩვენი გამოშენა

ჩვენმა ჟურნალმა გადაწყვიტა, გახსნას ახალი რუბრიკა: ჩვენი გამოშენა. ყველა გიგლიოთეკას თუ დაინტერესებულ პირს შეუძლია დასაბაძლად გამოგვიგზავნოს მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო მასალა კომენტარებით თუ უკომენტაროდ, მხოლოდ ჩვენი ჟურნალისათვის შესაფერის თემაზე - საბიბლიოთეკო ღონისძიებები, მწიგნობრობის გიგლიოთეკები, უნიკალური წიგნები და ჟურნალები, ვებთარანი მკითხველები, გავშვები, გიგლიოთეკების ხელები, წიგნის მაღაზიები, წიგნით ვაჭრობა ქუჩაში, „ფარული კამერები“ წიგნის კითხვასთან დაკავშირებით, საოჯახო გიგლიოთეკები, წიგნის რესტავრაცია და სხვა. დასაშვებია წიგნთან დაკავშირებული შემოქმედებითი ნახატები-პლაკატები, შარჟები, პორტრეტები, ჩანახატები და სხვა.

„ჩვენს გამოშენას“ ვხსენით ქ. ბათუმის აკ. წერეთლის სახელობის ცენტრალური გიგლიოთეკის საქმიანობის ამსახველი მასალით, რომელიც მცირე კომენტარებით მოგვანოდა ამ გიგლიოთეკის ღირებურობა გატონმა გენადი მახარაძემ, რისთვისაც რედაქცია მადლობას მოახსენებს მას და ბათუმელ კოლეგებს.

გენადი მახარაძე

ბათუმის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის დირექტორი

წიგნიერების გავრცელების უპირველესი საშუალება თავად წიგნია

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიბლიოთეკების ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო მოვალეობაა, იზრუნოს თავის სამომსახურეო უბანში წიგნიერი გარემოს შექმნაზე. ამ მიზნით ბიბლიოთეკა მკითხველებთან მუშაობის დროს მიმართავს ინდივიდუალურ თუ მასობრივ მეთოდებს. განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა ღონისძიებები, რომლებსაც ბიბლიოთეკები ატარებენ. მეთოდიკური თვალსაზრისით, ყველა ღონისძიება, რა ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, რა მიზნითაც არ უნდა ტარდებოდეს, წიგნთან უნდა იყოს დაკავშირებული. არ არსებობს თემა, რომლის გაშუქებისას წიგნი ვერ მოვიშველიოთ. კარგად მომზადებული, მაღალკვალიფიციურად შესრულებული ღონისძიება ყველაზე ეფექტური საშუალებაა მასების წიგნით დაინტერესების, ამა თუ იმ წიგნის პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის.


სწორედ ამას ითვალისწინებს ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკა, რომელიც სისტემატურად, წინასწარდაგეგმარებულად ატარებს ღონისძიებებს. გასულ წელს არაერთ

თი ამგვარი ღონისძიება ჩატარდა - წიგნების პრეზენტაცია, გარჩევა-განხილვები, საიუბილეო საღამოები, შეხვედრები მწერლებთან და სხვა თემატური ღონისძიებები. ისინი ხელს უწყობს ბიბლიოთეკაში მკითხველთა მოზიდვასა და წიგნების პოპულარიზაციას-გავრცელებას.

ამგვარი ღონისძიებები აქ ყოველთვის მაღალ დონეზე ტარდება, რაშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბიბლიოთეკის პროფესიონალ თანამშრომლებსაც და საზოგადოების აქტიურ წარმომადგენლებს, რომლებიც მუდამ ლებულობენ მონაწილეობას ამ ღონისძიებებში.

ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ამ ღონისძიებების ამსახველ რამდენიმე ფოტოასლს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რაოდენი პასუხისმგებლობით, მკითხველთა ყურადღებითა და ესთეტიკური თვალსაზრისით მაღალ დონეზე ტარდება ისინი. მივესალმებით ჟურნალის ინიციატივას, გახსნას ახალი რუბრიკა: „წიგნი გამოშენა“, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთგამოცდილების გაზიარებასა და ინფორმაციის გაცვლას.

ბათუმის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში





ჩვენ მიღწევა

წელს ძ. თბილისის მთავარ ბიბლიოთეკას არსებობის 100 წელი უმჯობესად. ამ ხნის განმავლობაში მან ურთულესი და ძნელი გზა სწავლად განვლო და დღეს მისი სახით მთელ საქართველოს აქვს ერთ-ერთი თანამედროვე ბიბლიოთეკა, რომელიც, გვჯერა, კიდევ უფრო მაღალ დონეს მიაღწევს. ამის იმედს იძლევა შესანიშნავი მაღალპროფესიული კოლექტივი და ხელმძღვანელობა, შესაფერისი შენობა-ნაგებობები, პერსონალი, რომლებიც მას გააჩნია.

მთავარი ბიბლიოთეკის მუშაკებთან ერთად ამ ღირსშესანიშნავ დღეს ვულოცავთ ქალაქის მთელი საბიბლიოთეკო სისტემის ბიბლიოთეკარებს და ვუსურვებთ მათ წარმატებებს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია
შურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“
რედაქცია.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

● მიმდინარე წლის 12-23 იანვარს ჩატარდა ქ. თბილისის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების ბიბლიოთეკართა ატესტაცია. საატესტაციო კომისიას ხელმძღვანელობდა ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ც. კალმახელიძე; კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები, ქ. თბილისის მერიის კულტურის სამსახურის წარმომადგენელი. ატესტაციის მიზანს შეადგენდა თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის ოპტიმიზაცია, ბიბლიოთეკართა პროფესიული დონის შემოწმება.

● 30 იანვარს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში (ტოვსტონოგოვის ქ. №2) გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ დაწესებული ლიტერატურული კონკურსის - „ბიბლიოთეკის რჩეულის“ შემაჯამებელი ღონისძიება. ლიტერატურული კონკურსი გამოცხადებული იყო ორი ნომინაციით - საუკეთესო ქართული ორიგინალური ნაწარმოები და საუკეთესო მხატვრული თარგმანი. ჟიურის წევრები იყვნენ ქ. თბილისის, გორის, ხაშურის, კასპის, რუსთავის, ხარაგაულის, თელავის მთავარი ბიბლი-

ოთეკების წარმომადგენლები. საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 78 წიგნი.

ლიტერატურული პრემია „ბიბლიოთეკართა რჩეული“ გადაეცა აკა მორჩილაძეს ორიგინალური ნაწარმოებისათვის „მესაიდუმლის ქამარი“, საუკეთესო თარგმნისათვის პრემია გადაეცა მერი ტიტვინიძეს მიგელ დე უნამუნოს ნაწარმოების „სიყვარული და პედაგოგიკა“ თარგმნისათვის. პირველ ადგილზე გასული ნომინანტები დაჯილდოვდნენ 500-500 ლარით.

● მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს შოტლანდიის ქ. აბერდენში რობერტ გორდონის უნივერსიტეტში ჩატარდა 3-დღიანი კონფერენცია ევროპული პროგრამის „ტემპუსის“ საორგანიზაციო საკითხებზე, რომელიც ითვალისწინებს დახმარება აღმოუჩინოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებს საბიბლიოთეკო-საარქივო სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბებაში. საქართველოდან მიწვეული იყვნენ ილ. ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წარმომადგენლები - ირაკლი ღარიბაშვილი და ინგა ფილაური-ლორია.

საცნობოდ საკითხავი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბ. ობამა ამერიკაში საჯარო ბიბლიოთეკების დახურვის წინააღმდეგია. როგორც ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაცია იუნყება, იგი მთავრობას ურჩევს თავი შეიკავოს საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირებისაგან. მისი აზრით, საჯარო ბიბლიოთეკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამერიკის ეკონომიკაში. საჯარო ბიბლიოთეკების 73% წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინტერნეტით თავისუფალი სარგებლობის ერთადერთ საშუალებას. სოფლის მოსახლეობას საჯარო ბიბლიოთეკები ეხმარებიან სამუშაო ადგილების მოძიებაში; ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში და, რაც მთავარია, ისინი აქტიურად უწყობენ ხელს მცირე ბიზნე-

სის განვითარებას ადგილებზე. ობამას აზრით, ფინანსური კრიზისის მიუხედავად, საჯარო ბიბლიოთეკების დაუსაბუთებელი დახურვა ზიანს მოუტანს მოსახლეობის ყველა ფენას.

ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, ობამა არის ყველაზე მეტად კითხვის მოყვარული აშშ-ს 44 პრეზიდენტს შორის. თავად ობამას განცხადებით, კითხვამ და ლიტერატურით დაინტერესებამ, საერთოდ, დიდი ზეგავლენა იქონია მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ობამა არის ორი ცნობილი ბესტსელერის ავტორი: „Dreams From My Father“ („ოცნებები მამაჩემისაგან“) და „Auda city of Hope“ („იმედის სითამამე (გამბედაობა“). ორივე ამ წიგნის აუდიო-ვერსიებმა მიიღო გრემის პრე-

მია. თავის წინასაარჩევნო კამპანიის დროს ობამა ხშირად მიმართავდა ზემოდასახელებული წიგნებიდან ამოღებულ ციტატებსა და გამონათქვამებს. მის ნაშრომებში ჩამოყალიბებულია სახელმწიფოს მართვის შესახებ მისი შეხედულებები. თავის საყვარელ ავტორებს შორის ობამა ასახელებს ემერსონს, ჯეფერსონს, ლინკოლნს, მ. ტვენს, მ. ლუთურ კინგს, სოლჟენიცინს, სტივენსკს, ჰემინგუეის, ა. სმიტს და სხვებს. იგივე ამერიკელი ანალიტიკოსების აზრით, აშშ-ში ამჟამად საგრძნობლად იზრდება საჯარო ბიბლიოთეკების როლი. ბიბლიოთეკების დახურვას აშშ-ი ეწინააღმდეგება მკითხველი საზოგადოება, მაგალითად, გასული წლის დეკემბერში აშშ-ის ქალაქ ორეგონში დახურული ბიბლიოთეკის აღდგენას მიესალმა 500-ზე მეტი მაცხოვრებელი, რომელმაც თავის დროზე აქტიური პროტესტი გამოხატა ამ ბიბლიოთეკის დახურვის გამო. აღდგენილი ბიბლიოთე-

კა ადგილობრივი საგრაფოს ადმინისტრაციისაგან ბიბლიოთეკამ მიიღო 300 ათასი დოლარი.

ბიბლიოთეკებისათვის თანხების მოძიების მიზნით, აშშ-ს საბიბლიოთეკო ასოციაცია (ASA) პერიოდულად მიმართავს ბიზნესმენებს, ცნობილ პიროვნებებსა და საზოგადო მოღვაწეებს, ასე მაგალითად, ამას წინათ ასოციაციამ ამ მიზნით მიმართა ცნობილ ამერიკელ კალათბურთელს კარიმ აბდულ-ჯაბარს. ინტერვიუებსა და პირად საუბრებში კალათბურთელი ხაზს უსვამს მის პირად ცხოვრებაში ბიბლიოთეკების როლს. კალათბურთელის შესახებ რეკლამის შემოსავალმა შეადგინა 900 ათასი დოლარი, რომელიც გადასცა ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციას.

ინფორმაცია მომზადდა ინტერნეტის მასალებით <http://www.biblider-ru/foreign-experience/413>

ნეკროლოგი

პოპი ბიბლიოთეკარის გზის დასასრული

ამ ცოტა ხნის წინათ ქ. თბილისის საბიბლიოთეკო საზოგადოებრივ ობამ, პოეტი-ბიბლიოთეკარის მეგობრებმა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებმა საგარეჯოს მინას მიაბარეს ზუმრუდ გოდერძიშვილი.

ზ. გოდერძიშვილი დაიბადა 1937 წელს ქ. საგარეჯოში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1956 წელს სწავლა განაგრძო თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოთეკათმცოდნეობის სპეციალობაზე. 1960-1973 წწ. ზ. გოდერძიშვილი



მუშაობდა საგარეჯოს საბავშვო და ქ. თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკებში; 1976-2007 წწ. მუშაობდა ქ. თბილისის ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში მთავარი ბიბლიოთეკარის, ხოლო შემდეგ განყოფილების უფროსის თანამდებობაზე; მინიჭებული ჰქონდა საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება, იყო მწერალთა კავშირის წევრი. მისი მოთხრობების პირველი კრებული გამოიცა 1971 წელს. ამის შემდეგ მან პოეზიაში მოიკიდა ფეხი და არც თუ წარუმატებლად. 1960-იანი წლების შემდეგ ზ. გოდერძიშვილი ლექსებს აქვეყნებდა პერიოდულ გამოცემებში. 1982 წელს გამოსცა პირველი პოეტური კრებული „მორეული ბილიკები“; თავის ლექსებში პოეტი გულწრფელად უმღერის სამშობლოს, მის ბუნებასა და იმ ადამიანებს, რომლებიც ალამაზე-ბენ ქვეყანას თავიანთი შრომით. პოეტი ღრმად

ემოციური პათოსით შეხვდა საქართველოში მიმდინარე პროცესებს და შეეცადა იგი პოეტური ფორმებით გადმოეცა. ამის ნათელი დადასტურებაა მისი პოეტური კრებულები: „ქარვის მთვარე“ (1989), „მარტოობის დღესასწაული“ (1997) და „ქარ-წვიმის ერთი წვეთი“ (1998);

ზ. გოდერძიშვილის პოეზიის ნიმუშები პერიოდულად იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალში. ლექსების გარდა, მის კალამს ეკუთვნის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები ქართველი მწერლების შესახებ, ჩანახატები, პუბლიცისტური ხასიათის მასალები; როგორც ბიბლიოთეკარი, იგი იყო ღრმად პროფესიონალი, ყურადღებიანი, სიახლეთა მძიებელი. მას, როგორც მეთოდისტს, დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდობასთან ბიბლიოთეკების მუშაობის ფორმების შერჩევა-დენერგვაში, წიგნზე მუშაობის თანამედროვე სტილისა და მიდგომის, მეთოდების დამუშავებაში ბიბლიოთეკარებსა და მისი პოეზიით დაინტერესებულ მკითხველს მარად ეხსომებათ ტანმორჩილი, სანდომიანი გამომეტყველების, ლამაზად ქართულით მოსაუბრე პოეტი-ბიბლიოთეკარი.

უფალმა დაუმკვიდროს მარადიული სასუფეველი ზეციურ სამყაროში, რომელთანაც მიახლოება პოეტური ფანტაზიით სცადა განსვენებულმა.

ჟურნალის რედაქცია
საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია



1954 წ.



გამომცემლობა

ანბანი

საყმაწვილო ბიბლიოთეკა ქართული კლასიკოსების ილუსტრირებული 40-ტომეული



იაკობ გომბაზვილი
ილია ჭავჭავაძე
აკაკი წერეთელი
ვაჟა-ფშაველა
ალექსანდრე ყაზვბი
დავით კლდიაშვილი
ეგნატე ნინოშვილი
შიო არაგვისპირელი
დანიელ ჭოქვაძე
ლავრენტი არღაზიანი
თედო რაზიკაშვილი
მიხეილ ჯავახიშვილი
რომანტიკოსები
ეკატერინე გაბაშვილი
ჭოლა ლომთათიკა
ლეო ქიანელი
ნიკო ლომოური
ნიკო ლორთქიფანიძე
სულხან-საბა ორბელიანი
გიორგი წერეთელი
კონდრატი თათარაშვილი
ლადო ასათიანი
ნოდარ დუმბაძე
გურამ რჩეულიშვილი
ბალაქტიონ ტავაძე
ჰაგიომგრაფია
კოლიპარკე კაკაბაძე
იოსებ ბრიშაშვილი
გურამ დოჩანაშვილი
კონსტანტინე გამსახურდიანი



გამომცემლობა „ანბანი“
თბილისი, კოსტავას 47
ტელ.: +995 32) 988 755
www.anbani.ge
E-mail: anbani@anbani.ge